

რედაქტორი პროფ. ილ. აბულაძე

წინასწარმოება

მეგლის დადება პარტიკულარული კანონმდებლობაა, რომელსაც ზუსტად განსაზღვრული ლოკალური დანიშნულება ჰქონდა. ადგილობრივი ხასიათის სჯულმდებლობის სხვა ასეთი საკანონმდებლო აქტი ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისა და კულტურის დონის მხრით მე-14 საუკუნის მთიულეთი დიდად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა დაწინაურებულ სამთავროებს, სადაც იმ დროს განვითარებული ფეოდალური წყობილება არსებობდა.

მეგლის დადებაში აღწერილი საზოგადოებრივი წყობილება, მოსვლეობა და ადამ-ჩვეულებები დამახასიათებელი იყო საქართველოს ამ ჩამორჩენილი კუთხისათვის. სამართლის წიგნში დადგენილ ნორმები გამოსატყვევს მთიულთა პატრიარქალურ ეოფას. მტკიცედ დამკვიდრებული თემური ურთიერთობითა და წესებით.

მეგლის დადებათ გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობანი ხასიათდებიან მთიულეთის თემური ეოფა-ცხოვრების თავისებურებით, სუსტად განვითარებული უფლებრივი შეგნებით, პრიმიტიული სამართლისათვის დამახასიათებელი შურისძიების უფლების დაკანონებითა და, საერთოდ, ხევის ადათობრივი სამართლის ძლიერი გავლენით.

შემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ მეგლის დადებას მიხედვით არ შეიძლება შეფასებულ იქნეს გიორგი ბრწყინვალის დროინდელი, სოციალურად და სახელმწიფოებრივად დაწინაურებული, ფეოდალური საქართველოს სამართლის განვითარების დონე.

მაგრამ ამავე დროს გიორგი ბრწყინვალის სამართალი შეიცავს რამდენიმე მეტად საეურადღებო ნორმას (მუს. 15, 16, 27, 45 და სხვ.), რომლებიც შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ განვითარებული ქართულ-ფეოდალური სამართლის ინსტიტუტებისათვის საერთოდ.

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ ვიხილავთ მეგლის და დების წარმოშობისა და შინაარსის ზოგიერთ დღემდე გაურკვეველ საკითხს. შრომის პირველ თავში დადგენილია მეგლის შედგენის დრო, მიზეზები და კანონთა მოქმედების ტერიტორიული ფარგლები; მეორე თავში განხილულია მეგლის წყაროები და სისტემა; მესამე თავში გარკვეულია მნიშვნელობა მეგლის რამდენიმე იურიდიული ტერმინისა, რომელთა შინაარსი დღემდე შეუსწავლელი და დაუდგენელი იყო; მეოთხე თავში მოცემულია მეგლის ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ გამოცემათა მოკლე მიმოხილვა.

ჩვენ საჭიროდარ მივიჩნიეთ წარმოდგენილ ნარკვევში მოგვეცა მეგლის და დებაში კათოლიკისწინებული სამართლის ინსტიტუტებისა და თანამდებობის პირების უფლებამოსილებათა განხილვა. ამ საკითხებს დაინტერესებული მკითხველი შეუძლია გაეცნოს ნ. ურბნელის შრომაში — „მეგლის დება გიორგი ბრწყინვალესი“, რომელიც კასული საეკლესიის 90-იან წლებში გამოქვეყნდა.

მეგლის და დების ტექსტის ამ გამოცემას საფუძვლად დავედეთ აკად. ს. ჯანაშიას სასელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სელნაწერთა განყოფილების S ფონდის 363 ნუსხა, რომელიც გავმართეთ ამავე მუზეუმის H ფონდის 3094 სელნაწერის მიხედვით. უკანასკნელი ნუსხა თუმცა ნაკლებია, მაგრამ ითვლება ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ნუსხად (XVII საუკ.).

ტექსტს დართული აქვს სამართლის წიგნის ლექსიკონი, სადაც შეტ-ნაკლები სიზუსტით დადგენილი და განმარტებულია მეგლის იურიდიული ტერმინების მნიშვნელობა.

სასიამოვნო მოკალებად ვთვლი გულითადი მადლობა მოვასხენო შრომის რედაქტორს პროფ. ილ. აბულაძეს.

ავტორი

I. ქველის შედგენის დრო და მოქმედების თარიღობა

1. ქველის შედგენის დრო

ქველის დადება შუა საუკუნეების ქართული სამართლის თავისებური იურიდიული ქველია, რომელიც საგანგებოდ შედგენილია მთიულეთის მცხოვრებთათვის გიორგი V-ის, ბრწყინვალედ წოდებულის, დროს (1314—1346).

მეფე გიორგი V საქართველოს ფეოდალური მონარქიის გამოჩენილი მოღვაწე და სახელმწიფო ხელმძღვანელი იყო. თაბარ მეფის შემდეგ ფეოდალურ საქართველოს არ ჰყოლია სახელმწიფოს ასეთი დიდი საქეთმპყრობელი. მისი სახელი და მოღვაწეობა ქება-დიდებათაა მოხსენიებული ქართულ მატრიანეებსა და საისტორიო წყაროებში. მონღოლობის დროინდელი ქართლის მემატრიანე ჟამთა აღმწერელი, რომელიც გიორგი V-ის თანამედროვე იყო, მას „მეფეთა შორის ბრწყინვალე, დიდ, სახელგანთქმულ გიორგი“-ს¹ უწოდებს და ასეთი სახელითვე დამკვიდრდა იგი საქართველოს ისტორიაში.

გიორგი V საქართველოს მეფის დიმიტრი თავდადებულისა და მესხეთის მთავრის ბექა I მანდატურთუხუცესის ასულის შვილი იყო. მას შემდეგ, რაც 1289 წელს მეფე დიმიტრის მონღოლი ყაენის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს, მცირეწლოვანი გიორგი თავისი პაპის ბექა I-ის სახლში იზრდებოდა. იმ დროს მესხეთი საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა და გაშლილი იყო „ტასისკართგან ვიდრე სპერამდე, ვიდრე ზღვამდე“. გიორგის პაპა ბექა I მანდატურთუხუცესი, სხვათა შორის, ცნობილია საქართველოს ისტორიაში თავისი „სამართლის

¹ ქართლის ცხოვრება, ხ. კიკინაძის გამოცემა, 1897 წ., გვ. 625.

მოქმედებითა“; მან შეადგინა სამცხის ფეოდალური სამთავროს შესანიშნავი სჯულმდებლობა—„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“, რომელიც წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული კანონმდებლობის ბრწყინვალე ძეგლს.

დიდ ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს თავის „საქართველოს ისტორიაში“ გიორგი ბრწყინვალის გამეფების შესახებ აღნიშნული აქვს შემდეგი: „დაჯდა მეფედ გიორგი ძე დიმიტრი მეფისა თავდადებულისა და იწყო მთიებმან აღმობრწყინებად. ხოლო მე არ ძალმიძს საკვირველებათა თქმად, თუ რაოდენ შეენიერად და გონიერად განაგებდა და ჰქმნა ანუ წყობანი და ბრძოლანი, ანუ შემატებანი სამეფოსა და ქვეყნისანი“¹.

გიორგი V-ის გამეფების თარიღად ვახუშტის 1318 წელი აქვს დადებული. მაგრამ ეს თარიღი სადავო შეიქნა მას შემდეგ, რაც ბორჯომის ხეობაში სოფელ დაბის მახლობლად მდებარე ტაძრის შესასვლელზე ამოკითხულ იქნა ასომთავრული წარწერა, რომელიც დათარიღებულია 1333 წლით. წარწერიდან ჩანს, რომ ეს თარიღი ყოფილა გიორგის მეფობის მე-19 წელი და, მაშასადამე, ის გამეფებულა 1314 წელს². ეს აზრი ეკუთვნის თ. ჟორდანიას, რომელიც 1318 წელს თელიდა გიორგი V-ის მეორედ გამეფების თარიღად.

1314 წლიდან გიორგი V აღმოსავლეთ საქართველოს მეფეა. 1316 წელს იგი მიემგზავრება ოქროს ურდოში, სადაც იმ დროს მცირეწლოვანი ყაენის აბუსაიდის ნაცვლად მისი აღმზრდელი და პირველი ვეზირი ჩოფან ნოინი მბრძანებლობდა. იგი გიორგი მეფეს თავის მომხრედ და ერთგულ კაცად თვლიდა. ამ რწმენით მან უფლება მისცა გიორგი მეფეს შემოეკრიბა საქართველოს სამთავროები, მათ შორის მესხეთიც, და ამრიგად მოესპო მრავალმთავრობა, რასაც წინათ მხარს უჭერდა ყაენის კარი. გიორგი მეფემ ეს ნდობა მოხერხებულად გამოიყენა თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ — დაქუცმაცებული

¹ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, 1885 წ., გვ. 276.

² თ. ჟორდანია, ქრონიკები, II. 1897 წ., გვ. 180.

საქართველოს გასაერთიანებლად და მონღოლთა ჯარის გასარეკად.

გიორგი V-ს მეტად მძიმე პირობებში მოუხდა ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში აღება. სახელმწიფოებრივი მთლიანობა და დამოუკიდებლობა საქართველოს უკვე დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა, ქვეყანა პოლიტიკურად დაშლილი და დაქუცმაცებული, ხოლო მეურნეობრივად დანგრეული და აოხრებული იყო.

„XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — მძვინვარე დიდი ეკონომიური კრიზისისა და დავით VI-ის დროს აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობისა და სახელმწიფოებრიობის სრული შერყევის გამო, ამასთანავე წლების განმავლობაში ქართლისა და მთიანეთის მონღოლთა ლაშქრისაგან დაწიოკება-აოხრების შედეგად, აღმოსავლეთ საქართველო უკიდურეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. ქვეყანა აირია, წესიერი და მყუდრო ცხოვრების ხსენებაც კი აღარ იყო, ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის შემაკავებელი ხელისუფლება აღარსად ჩანდა. მონღოლების თარეშს, ყიფილთა და ოსების მეკობრეთა თავაშეებულებას საზღვარი არა ჰქონდა. ერთმანეთზე თავდასხმა და ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თვით ქართველ ტომთა შორისაც კი ქიშპობა და შუღლიანობა იმდენად გახშირდა და ურთიერთშორის დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ უგუნური ძმათა შორის ბრძოლა და სისხლისღვრა, სოფლებისა და ციხეკოშკების დაუნდობელი განადგურება გამარჯვებულ მხარეს საქებურად და საამაყოდაც კი მიაჩნდა“¹.

გიორგი ბრწყინვალემ თავისი მეფობა ქვეყნის საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებით დაიწყო. სამი წლის ბრძოლის შემდეგ მოსპო ოსთა თარეში ქართლში, აიღო გორი და გაათავისუფლა იგი მათი ძალმომრეობისაგან. ოსების განდევნის შემდეგ ჩააქრო შურისძიების ნიადაგზე წარმოშობილი ბრძოლა ქსნისა და არაგვის საერისთაოებს შორის.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, :949 წ., №. 259.

საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის საჭირო იყო დათრგუნვა მონღოლების მომხრე, გათამამებული და საქართველოს მეფის მიმართ მტრულად განწყობილი ურჩი მთავრებისა. ამ მიზანს ემსახურებოდა გადამწყვეტი ღონისძიება, რომელიც გამოიყენა მეფემ ჰერეთ-კახეთისა და სომხეთის მოლაღატე ერისთავების მიმართ. ეს მოლაღატენი, „რომელნიც ჩინგიზთ ნიუღენენ, კახეთს ცივხედ მოიწვია და ანოსწყვიტა“. მთელი აღმოსავლეთი საქართველო უკვე მეფის მორჩილებაში იყო.

საქართველოს გაერთიანება მოითხოვდა ორმეფობის მოსპობას, ლიხთ-იმერეთის სამეფოს გაუქმებას და მის შემოერთიკებას საქართველოს სამეფო ტახტთან. 1329 წელს, როცა იმერეთის გარდაცვლილი მეფის მიქელის ადგილი მის მემკვიდრეს—მცირეწლოვან ბაგრატს დაჩა, გიორგი ბრწყინვალემ დროზე შენიშნა იმერეთში შექმნილი არეულობა, გამოიყენა მომენტი, აიღო ქუთაისი, იმერეთის მეფის მემკვიდრე თბილისში წამოიყვანა და მისცა შორაპნის საერისთავო. ამრიგად, ლიხთ-იმერეთიც აღმოსავლეთ საქართველოს შემოუერთდა. შემდეგ გიორგი მეფე წავიდა სამეგრელოსა და აფხაზეთში, შემოვლო გურია, მოაწესრიგა იქაური საქმეები და მივიდა სამცხეს.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან (1265 წ.) სამცხე-საათაბაგო საქართველოს ფეოდალური მონარქიიდან განდგომილ სამთავროს წარმოადგენდა. იგი დამოუკიდებელი იყო საქართველოს მეფისაგან არა მარტო ფაქტიურად, არამედ უფლებრივ-ადმინისტრაციულადაც. გიორგი ბრწყინვალე, როგორც ზემოთ ითქვა, მესხეთის მთავრის კარზე აღიზარდა. იგი სამცხის პატრონის სისხლით ნათესავი იყო და ამიტომ საქართველოს ამ კუთხის შემოერთებისათვის მას ძალის გამოყენება და სისხლისღვრა არ დასჭირვებია. 1334 წელს, როდესაც მესხეთის მთავარი სარგისი გარდაიცვალა, გიორგი მეფემ სამცხის მმართველობა თავის შვილს ყვარყვარეს ჩააბარა. ამით დამთავრდა საქართველოს გაერთიანება: აღდგა მისი სახელმწიფოებრივი მთლიანობა და ჩამოყალიბდა საქართველოს გაერთიანებული მონარქია.

გიორგი მეფემ ეფექტური ღონისძიებანი განახორციელა

ქვეყნის დანგრეული ნეურნეობის აღსადგენად. ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მან გაატარა ფულის რეფორმა: მონღოლური ფულის ერთეული — ყაზანური თეთრი — შეცვალა ქართული თეთრით, რომელსაც გიორგის თეთრი, ანუ გიორგაული ეწოდა. აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარი ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის შესავალში აღნიშნავს, რომ „ამა ეამსა შინა ყაზანურობა არლარა იყო, დიდისა მეფისა გიორგის ეამისა თეთრი გავაჩინეთო“. სჯულმდებელი ათაბაგის ეს სიტყვები XIV საუკუნის 80-იან წლებს მიეკუთვნება. ჩანს, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში იმდენად მტკიცედ დამკვიდრებულა გიორგი ბრწყინვალის მიერ შემოღებული ფულის ერთეული, რომ აღბულა იძულებული გამხდარა სამცხე-საათაბაგოს საკანონმდებლო ძეგლში დანაშაულობისათვის დაწესებული ფულადი საზღაური — სისხლი — გიორგის თეთრით დაეკანონებინა. ამ მნიშვნელოვანმა რეფორმამ მკვეთრად გააუმჯობესა ქვეყნის საფინანსო-ეკონომიური მდგომარეობა. ქვეყანა ეკონომიურად და ქონებრივად გაძლიერდა; ეს საქართველოს დედაქალაქსაც დაეტყო, რომელიც იმ დროს ერთ-ერთ შესანიშნავ და მდიდარ ქალაქად არის მოხსენიებული რომის პაპის ეპისტოლეებში.

XIV საუკუნის პირველ მეოთხედში მონღოლთა ბატონობა ძლიერ შესუსტდა. მას შემდეგ, რაც გიორგი ბრწყინვალემ საქართველო სახელმწიფოებრივად გააერთიანა და ეკონომიურად ააღორძინა, გიორგი მონღოლთა უღლის გადავდებისათვის ხელსაყრელ მომენტს ელოდა. ეს დროც დადგა. 1327 წელს აბუსაიდ ყაენმა თავის აღმზრდელსა და პირველ ვეზირს ჩოფანს ორგულობა დასწამა და იგი მის ორვაჟიშვილთან ერთად სიკვდილით დასაჯა. საყაენოში არეულობა დაიწყო, რამაც ბოლო მოუღო ილხანების ბატონობას. ამით ისარგებლა გიორგი ბრწყინვალემ, საქართველოში მყოფი მონღოლთა ლაშქარი დაამარცხა და საქართველოს ფარგლებიდან გარეკა. ამრიგად, საქართველო განთავისუფლდა მონღოლთა ბატონობის უღლისაგან და მან მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

როდის შეადგინა გიორგი ბრწყინვალემ ძეგლის დადება?

არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც ვახუშტის ისტორიასა და ქრონიკებში არ არის დატული რაინე ცნობა ამ საკანონმდებლო ძეგლის შედგენის თარიღის შესახებ. ამიტომ აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად უნდა გავითვალისწინოთ გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდი და ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა. ასეთ პირობებში კანონთა შედგენის დრო შეიძლება მხოლოდ მიახლოებით განისაზღვროს, რადგან თარიღის ზუსტად დადგენისათვის ამჟამად საკმაო მასალა არ მოგვეპოვება.

ძეგლის დადების შედგენის თარიღის შესახებ, თუ არ ვცდებით, პირველად აზრი თ. ჟორდანიამ გამოთქვა: „1344—1346 წლებში უნდა იყოს დაწერილი ცნობილი „სამართალი გიორგი მეფისა“ ანუ ძეგლი (ნნ მუხლად), მოხსენებული ქ-ცხბაში და შედგენილი მხოლოდ მთიელ თემთათვის...“¹ ამასთან იგი მიუთითებდა, რომ ვინაიდან ჩვენ ხელთ არა გვაქვს ეს ძეგლი, საჭიროდ ვთვლით აქ დავბეჭდოთ ამ ძეგლის შესავალი, რომელიც ფრანგულიდან თარგმნილია დ. ბაქრაძის მიერო.

ძეგლის დადების შესავლის თარგმანი ფრანგულიდან დ. ბაქრაძეს დაბეჭდილი აქვს მისი რედაქციით 1885 წელს გამოცემულ ვახუშტის „საქართველოს ისტორიაში“. როგორც დ. ბაქრაძის შენიშვნიდან ჩანს, მას არ ჰქონია ხელთ ძეგლის დადების ქართული ტექსტი, რის გამოც საჭიროდ მიუჩნევია ფრანგულიდან გადმოეთარგმნა კანონთა შესავალი, რომელიც 1850 წელს დაბეჭდა მ. ფ. ბროსემ „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანში².

გებოდა რა აღნიშნულ საკითხს, დ. ბაქრაძე წერდა: „აქ ვახუშტი უჩვენებს იმ სჯულდებას, რომელიც აქამომდე ცნობილია „გიორგი მეფის სამართლად“ და რომელიც შეიცავს ნნ მუხლს. საუბედოდ ეს სამართალი ჩვენ ხელში ვერ ჩავიგდეთ და ამის გამო იმის შინაარსზე ვერას ვიტყვიტ. ვთარგმნით მხოლოდ ფრანციცულიდამ ბროსესაგან შეტა-

¹ თ. ჟორდანია, ქრონიკები. II, 1397 წ., გვ. 182.

² Histoire de la Géorgie, I², 1850, გვ. 644—645 (სქოლიო).

ნილს... მის წინასიტყვაობას¹. მაგრამ წინასიტყვაობის ამ ქართულ თარგმანში მნიშვნელოვანი ხარვეზები და შეცდომებია.

ერთი სიტყვით, დ. ბაქრაძესა და თ. ჟორდანიას ხელთ არა ჰქონიათ ძეგლის დადების ტექსტი და არ იცნობდნენ მის შინაარსს. მხოლოდ ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ მ. ბროსეს მიერ დაშვებულ მექანიკურ შეცდომას, თითქოს პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერში ძეგლის დადება შედგება 66 მუხლისაგან, ნაცვლად 46-ისა, ისინი უკრიტიკოდ იმეორებდნენ.

როგორც აღნიშნული იყო, თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ ძეგლის დადება დაწერილი უნდა ყოფილიყო 1344—1346 წლებში. მაგრამ არ ჩანს, რა მონაცემებს ეყრდნობოდა მისი ეს მოსაზრება. არაერთად დამოწმება წყაროებისა თავისი ამ მოსაზრების გასამაგრებლად მას მოცემული არა აქვს. ამიტომ ეს წლები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძეგლის დადების დადგენილ თარიღად.

ძეგლის დადების თარიღის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა ს. კაკაბაძემ. ამ საკანონმდებლო ძეგლის შედგენის თარიღს იგი უკავშირებს გიორგი ბრწყინვალის მეფობის წლების თავის საკუთარ განსაზღვრას, რომელიც განსხვავდება ვახუშტის ისტორიაში მოცემული ქრონოლოგიისაგან.

უხედა რა კანონთა შედგენის დროს, ს. კაკაბაძე წერს: „გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ტახტი დაიპყრა საბოლოოდ ჩემის გამოანგარიშებით 1316 წელს და გარდაიცვალა 1339 წ. ან 1338 წლის დასასრულს. როგორც ქსნიის ერისთავთა ძეგლიდან ჩანს, გიორგი ბრწყინვალის მიერ მთიულების დამორჩილებას — ძეგლის დადება კი დაწერილია ამის შემდეგ — წინაუძლოდა გორის აღება. გორს გიორგი მეფე ბრძოდა სამ წელს (ქრონიკ., II, 8). ამასთანავე სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ მთიულებთან ბრძოლაში მონაწილეობას ლებულობს მეფის ძე დავით (იქვე, 9—10), რომელიც, მაშასადამე, ამ დროს პატარა არ იქნე-

¹ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 1885 წ., გვ. 278—279.

ბოდა. თვით გიორგი ბრწყინვალე დაიბადა 1286 წლ. ახლოს. ამისდა მხედვეთ შეიძლება ითქვას, რომ ძეგლის დადება არ უნდა იყოს 1325 წელზედ უფრო ადრე დაწერილი, ის უნდა იყოს დაახლოებით 1325—1338 წლებში შედგენილი¹.

ავტორის მოსაზრება გიორგი ბრწყინვალის მეფობის წლების შესახებ არაფრით დასაბუთებული არ არის. გიორგის გამეფების თარიღი ვახუშტის ქრონოლოგიისგან განსხვავებით შეიძლება 1318 წლიდან გადაწეულ იქნეს 1314 წელს, როგორც ამას თ. ჟორდანიას ფიქრობდა, მაგრამ მეფის გარდაცვალების თარიღად საყოველთაოდ აღიარებულია 1346 წელი. ზემოთ აღნიშნულის გამო ს. კაკაბაძის აზრი ძეგლის დადების შედგენის თარიღის შესახებ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დასაბუთებულად.

ძეგლის შედგენის თარიღის თუნდაც დაახლოებით განსაზღვრისათვის, რაკი სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით განვიხილოთ თვით სამართლის წიგნის შესავალში დაცული ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა.

კანონთა შესავლიდან ჩანს, რომ გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი მაშინ შეუდგენია, როცა საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობა უკვე დაძლეული და ქვეყანა ერთ სამეფოდ გაერთიანებული ყოფილა. ერთიანი და განუყოფელი მონარქიული ხელისუფლების არსებობა მკაფიოდ დასტურდება ძეგლის დადების შესავლიდან, სადაც ნათქვამია: შევედით მთიულეთში „ყოვლგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობად ტახტისა და სკიპტრისასა“. კანონმდებლის ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ ძეგლის შედგენისას მას ხელთ უპყრია მთელი საქართველო.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შემოერთება და მისი ერთ სამეფოდ გაერთიანება გიორგი ბრწყინვალემ, როგორც ზემოთ დავინახეთ, 1334 წელს დაამთავრა, როდესაც დასავ-

¹ ს. კაკაბაძე, ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ, 1913 წ., გვ. 3.

ლეთ საქართველოსა და სამცხის საქმეები მოაწესრიგა. მაშასადამე, მთიულთა საქმეების მოწესრიგებას მეფე 1334 წლის შემდეგ უნდა შესდგომოდა, როცა გაერთიანებული საქართველოს ტახტი და სკიპტრა ხელთ ეპყრა „ყოვლგნით უცილებლად“.

სამართლის წიგნის შესავალში დაცულ ამ ცნობას ვახუშტის „ისტორიაც“ ამაგრებს. ვახუშტი მოკლედ, მაგრამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველოს ცალკეული კუთხეების გაერთიანების პროცესს, რომელიც მთავრდება სამცხის შემოერთებით 1334 წელს. ვახუშტი წერს, რომ მეფე გიორგი მთიულთა საქმეების მოწესრიგებას ამის შემდეგ შეუდგაო. „მერმე კვალად განიხილნა მეფემან მთიულთა და კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჯერონი იქმნებოდნენ, რომლისათვისაც შემოიკრიბნა მან სპანი, შვეიდა და დაიბორჩილნა ყოველნი უმეტეს პირველისა კავკასისა შინა მყოფნი. ხოლო მუნიდამ ჩამოვლო ცხრა ზმასა ზედა, მოვიდა მუხრანსა და ჩამოიყვანნა მუნ რომელნიცა კავკასიასა შინა ქრისტიანენი იყვნენ თავნი მათნი და ხევისბერნი. შემოვიდა ტფილისს და შემოიყვანნა იგინიცა და განუჩინა მათ სამართალი და წესი და უხსნა წიგნით, რათა ჰყოფდნენ წალმართ ეგრეთ“¹.

ამრიგად, ვახუშტის ცნობიდან ჩანს, რომ ძეგლის დადება შედგენილია 1334 წლის შემდეგ. მაშასადამე, ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ ძეგლის დადების *terminus ante quem* non ზღვარად, რომელზე ადრეც არ შეიძლება იგი შედგენილი იყოს.

რაც შეეხება ძეგლის დადების *terminus post quem* non-ს, ე. ი. მიჯნას, რომელზე გვიანაც არ შეიძლება იგი შედგენილი იყოს, კვლავ სამართლის წიგნის შესავალში დაცულ ერთ მნიშვნელოვან ცნობას უნდა მივმართოთ და გავითვალისწინოთ ის ამ თარიღის დასადგენად. კანონთა წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ სახელმწიფო დარბაზის საკანონმდებ-

¹ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, 1885 წ. გვ. 278.

ბლო კრებაზე, რომელიც საგანგებოდ იყო დანიშნული, სჯულმდებელ მეფეს ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლებიც მიუწვევია: „დავსხედით და დავსჯთ წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ევფთვიმე; დავსხით ვეზირნი და ეპისკოპოზნი და მოურავნი და გავიგონეთ“, რომ დიდი უსამართლობა და ძალმომრეობა გავრცელებულიყო მთიულეთშიო.

ზემოთ მოტანილი ადგილიდან ამჟამად ჩვენ გვინტერესებს ქართლის კათალიკოსი ევფთვიმე და მისი კათალიკოსობის დრო. პ. კარბელაშვილის ცნობით, იგი კათალიკოსობდა 1298—1310 და 1319—1335 წლებში, ხოლო 1344 წელს მან მონაწილეობა მიიღო მეფე გიორგის ძეგლის დების შედგენაში¹. არ ჩანს, რა წყაროებს ეყრდნობოდა ავტორი ძეგლის შედგენის ამ თარიღის განსაზღვრისას. მაგრამ თვით მის მიერ მოცემული ცნობიდან ირკვევა, რომ ძეგლის დადება არ შეიძლება შედგენილი იყოს 1344 წელს. ექვთიმეს კათალიკოსობის უკანასკნელი წელი ავტორს დათარიღებული აქვს 1335 წლით. აქედან ცხადია, რომ 1344 წელს იგი კათალიკოსი ვერ იქნებოდა და საკანონმდებლო კრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, როგორც საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელი—„წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი“.

იოანე ბატონიშვილი თავის „ქართლის ისტორიაში“, რომელიც „კალმასობაშია“ შეტანილი, ამბობს, რომ ექვთიმემ აკურთხა გიორგი V 1318 წელს და გარდაიცვალა 1335 წელს². ამრიგად, ორივე წყარო ექვთიმეს კათალიკოსობის უკანასკნელ წლად 1335 წელს თვლის. ამას თითქოს ვახუშტის ცნობაც ამაგრებს. ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია გიორგი ბრწყინვალის მიერ მთიულთათვის „სამართლის გაჩენაზე“, უშუალოდ მოსდევს ასეთი წინადადება: „არამედ მოკვდა კათალიკოსი ევთიმე და

წმინდა პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1900 წ., გვ. 78—79.

² კ. ქეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945 წ., გვ. 315.

დასვა ვასილი“. თუ ზემოთ დამოწმებულ წყაროებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, სხვა რამ ცნობა კი არ გაგვაჩნია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ძეგლის დადება არ შეიძლება შედგენილი იყოს 1335 წლის შემდეგ.

ამრიგად, ძეგლის დადება შედგენილი უნდა იყოს 1334 — 1335 წლებში. მაგრამ ვინაიდან 1334 წელს გიორგი ბრწყინვალე სამცხის სამთავროს საქმეებს აწესრიგებდა, საფიქრებელია, რომ მთიულთა მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლას ვეღარ მოასწრებდა. ამიტომ მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძეგლის დადება შედგენილი უნდა იყოს 1335 წელს, როცა გიორგი ბრწყინვალეს უკვე საქართველოს ტახტი და სკიპტრა „ყოვლგნით უცილებლად“ ხელთ ეპყრა და საკანონმდებლო კრებაზეც უკანასკნელად მონაწილეობდა ექვთიმე, როგორც „წმინდა მეუფე და ქართლის კათალიკოზი“.

2. ძეგლის შედგენის მიზეზები

ძეგლის დადების შედგენა მთიულეთში შექმნილი მდგომარეობით იყო გამოწვეული. თემის ერთობის რღვევისა და სოციალური უთანასწორობის პროცესი გაღრმავებულა და შორს წასულა. მეფის ადგილობრივი მოხელეები — არაგვის ერისთავი. ხევის გამგებელი და ხევისბერნი — ცდილობენ იძულებით დაამკვიდრონ მთიულეთში ფეოდალური წესები, შემოიღონ ბეგარა და სალაშქრო სამსახური მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ. მთის მოსახლეობა ცდილობს თავი დააღწიოს ასეთ მდგომარეობას.

ამ ნიადაგზე მეტისმეტად გამწვავებულია ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასა და მეფის მოხელეებს შორის. საქმე იქამდე მისულა, რომ მოსახლეობას ბრძოლის უკიდურესი საშუალებისათვის მიუმართავს — დაუწყია ადგილობრივ მოხელეებზე თავდასხმები. მოხელეთა მკვლელობაში ზოგჯერ მონაწილეობას ლებულობდა მთელი სოფელი. თემი და ხევი: „განმგებელი თუ ქუეყანამ მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან ჳევმან“, დამნაშავეს ასეთი სასჯელი დაედოსო, ნათქვამია კანონში.

კანონთა ცალკეული მუხლებიდან ჩანს, რომ ხევის მოსახლეობის მიერ მეფის მოხელეთა მიმართ წინააღმდეგობის გაწევა სხვა ფორმებითაც ვლინდებოდა. ერთ-ერთ ასეთ ფორმას სალაშქრო სამსახურზე უარისთქმა წარმოადგენდა. სამხედრო სამსახურს გაუტროდნენ არა მარტო ერთეულები, არამედ ხშირად მთელი სოფლები და თემები: თუ „ქუყყანა და თემი არ გამოვიდეს“, ასეთი სასჯელი დაედოსო, აღნიშნულია ძეგლში. ამიტომ კანონმდებელი იძულებულია საგანგებოდ შეჩერდეს ამ საკითხზე და დააკანონოს სალაშქრო სამსახურის სავალდებულო ხასიათი, ხოლო სამსახურზე თავის არიდებისათვის როგორც ცალკე პირის, ისე მთელი სოფლის მიმართ დააწესოს სასჯელი.

საყოველთაო არეულობა და ურთიერთმტრობა გავრცელებულა ხევის თემებსა და სოფლებში. შერისძიების მძვინვარება იქამდე მისულა, რომ ცალკეულ პირებზე და სოფლებზე თავდასხმასთან ერთად ციხეების დანგრევისა და განადგურებისთვისაც მიუყვიათ ხელი. ერთი სოფელი და თემი „მტრობისათვის“ ციხეს უქცევს მეორე სოფელსა და თემს — „ქუყყანამან ქუყყანასა დაუქციოს“-ო. ასეთ მასობრივ უწყესრიგობას კანონმდებელმა მძიმე სასჯელი დაუწესა. დამნაშავეს, რომელმაც ციხე დაანგრია, ციხის პატრონისათვის, მისი საგვარეულო ღირსების მიხედვით, ნახევარი სისხლი უნდა გადაეხადა და დაქცეული ციხეც აეგო.

ძეგლში აღნიშნულია აგრეთვე, რომ იმ დროს მთიულეთში ადგილი ჰქონია მეკობრეობის გავრცელებას მთელ სოფლებს შორის. ქურდობა-მტაცებლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ცალკეული პირები, ისე მთელი სოფელი: „ქუყყანა იყოს მეკობრე, თუ ერთი კაცი“, ასეთი სასჯელი შეეფარდოსო, ნათქვამია კანონში. ძარცვა-მტაცებლობის მიზნით ხევის სოფლებში დაძროდნენ ბოროტმოქმედთა — „ასაბიათა“ — რაზმები, რომლებიც „ასაბიობენ“ ქონების დატაცებისათვის, „სანიეთოს შოვნისათვის“. ალაფობა, სხვის ქონებაზე ნადირობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა მთიულეთში.

შერისძიების ნიადაგზე მომხდარი თავდასხმა, შებმა და იარაღის ტრიალი იმდენად გავრცელებულა, რომ მასში შუ-

რისმაცხებელთა გარდა მონაწილეობას ლებულობდნენ გარეშე პირებიც და თვით შეიარაღებული ქალებიც. ასეთი შემბა სოფლისა და თემის ასპარეზზე, როგორც ჩანს, ხშირად ხდებოდა და შემბის დროს სისხლიც უხვად იღვრებოდა: იულიტებოდნენ კაცები, ქალები, მღვდლები, ბერები და მონაზონი ქალებიც კი.

ურთიერთმტრობა და შურისძიება გავრცელებული ყოფილა არა მარტო ერთი ხევის სოფლებსა და თემებში, არამედ სხვადასხვა ხეევებს, გამოღმა და გაღმა — „ამიერ და იმიერ“ — ხეევებს შორის. ამ ჩხუბსა და დავაში მონაწილე მხარეებს აქაური და იქაური ხევისბერნი და ჰეროვანნი ესარჩლებოდნენ და უერთდებოდნენ, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა დამოკიდებულებას ამიერთ და იმიერთ შორის.

ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მთიულეთში ძეგლის შედგენის მომენტში. აჯანყებული მოსახლეობის დასანშვილებლად, არეულობის, შურისძიებისა და შეუღლის ჩასაქრობად მეფე იძულებული გაიხდარა თავის თანხმლებ პირებთან ერთად უშუალოდ, ადგილზე გასცნობოდა შექმნილ მდგომარეობას. საქმის ვითარების შესწავლის შემდეგ მეფე თავისი თანხმლები პირებით ქალაქში დაბრუნებულა და საკანონმდებლო კრება მოუწვევია.

ძეგლის დადების შესავლიდან ჩანს, რომ საკანონმდებლო კრებას შექმნილი მდგომარეობის კონსტატაცია მოუხდენია და აღუნიშნავს, რომ მთიულეთში მეტად გავრცელებულა „ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა და ყოლ სამართალი აღარ იყოლა“.

სახელმწიფო დარბაზის მონაწილეებს შექმნილი მდგომარეობის მიზეზებზეც უმსჯელიათ და ასეთად რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება მიუჩნევიათ. ძალმომრეობის, შურისძიებისა და სხვადასხვა დანაშაულობათა გავრცელებას ერთ-ერთ მიზეზად საკანონმდებლო კრების მიერ მიჩნეულია ის გარემოება, რომ წინა დროის მეფეების მიერ მთიულეთის მცხოვრებთათვის არ ყოფილა შედგენილი კანონმდებლობა.

არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა და დადებ-

ბითა“-ო. ამ მომენტს კანონმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს სამართლის წიგნის შესავლის სხვა ადგილასაც და ამბობს, რომ ვინაიდან „განაჩენ-დაუდებლობა ექმნათ“, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას განვსაზღვროთ სასჯელები წინათ ჩადენილი დანაშაულობისათვისო. ამრიგად, დარბაზში მონაწილე პირთა აზრით, განაჩენ-დაუდებლობა, ანუ კანონთა დაუდგენლობა ყოფილა შექმნილი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი.

საკანონმდებლო კრება სხვა მიზეზებზეც მიუთითებს. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად მიჩნეულია „სისხლის მსუბუქობა“, ანუ სასჯელის სიმსუბუქე, რომელიც გათვალისწინებული იყო სხვადასხვა დანაშაულობისათვის მთიულეთის ადათობრივი სამართლის მიხედვით. სისხლის მსუბუქობა ნიშნავს იმ საზღაურის სიმცირეს, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა დაზარალებულის ოჯახისათვის ფულადი ან ქონებრივი სახით. ბოროტმოქმედების ჩადენისათვის სასჯელად დაწესებული მსუბუქი სისხლი, ანუ მცირე საზღაური ვერ უზრუნველყოფდა დანაშაულობასთან ეფექტურ ბრძოლას და არაპირდაპირ ხელს უწყობდა მათ გავრცელებას.

სჯულმდებელი მეფის აზრით, მთიულეთის მოსახლეობისათვის მანამდე იმიტომ არ იყო შედგენილი კანონები, რომ წინაპარ მეფეებს ჰსურდათ მთიულთა „აღრევით ყოფა ერთმანეთსა შიგან“, ე. ი. არეულობისა და უწესრიგობის არსებობა მოსახლეობაშიო. მაგრამ ეს აზრი სხვა მონაცემებით დადასტურებული არ არის. ცხადია მხოლოდ ის, რომ გიორგი ბრწყინვალემდე მთიულეთისათვის საგანგებოდ დადგენილი კანონები არ არსებობდა, სამეფო ხელისუფლებაც ნაკლებად იყო დაინტერესებული მთიულეთით, რომელთა იურიდიული ცხოვრება ადათ-ჩვეულებებით წესრიგდებოდა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი V-ის დროს, როგორც ეს მკაფიოდ ჩანს ძეგლიდან, მთიულეთში მდგომარეობა მეტისმეტად გამწვავებულა სოციალურ ნიადაგზე უმთავრესად ამ ორი გარემოებით უნდა აიხსნას მთიულთა „აღრევით ყოფა“, რომლის დასაცხრობად საჭირო გამხდარა მეფის საგანგებო ექსპედიცია და მოსახლეობისათვის სპეციალური კანონების შედგენა.

სავესებით საფუძვლიანად უნდა მიეჩინოთ საკანონმდებლო კრების მიერ აღნიშნული მეორე გარემოება იმის შესახებ, რომ ესაა ვითარების გამო კანონთა შედგენა ვერ მოხერხდა — „ჟამისა შემოსრულობისათჳს უკუე გაჩენა ვერ სწრებოდესღა“. თავისთავად ცხადია, რომ მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წლებში ქართველ მეფეებს აღარ შეეძლოთ ეზრუნათ მთიულთა ცხოვრების მოწესრიგებაზე და მათთვის სჯულის დადებაზე. ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო მხოლოდ მონღოლთა უღლის გადაგდებისა და საქართველოს გაერთიანების შემდეგ, რაც ასეც მოხდა.

ძეგლის დადების შესავალში აღნიშნულია, რომ დღემდე ჩადენილ დანაშაულთა გამო სასჯელები არ შემოგვიღია, რადგან წინათ განაჩენ-დაუდებლობას, ე. ი. კანონთა დაუდგენლობას ჰქონდა ადგილი და ამიტომ „ერთმანეთის ამოსულა არ იქნებოდა“-ო. ამ შემთხვევაში ერთმანეთის ამოსულა ნიშნავს ერთმანეთს შორის სისხლის დაურევებას, საზღაურის გადახდას, ურთიერთ ანგარიშსწორებას იმ დანაშაულობათა გამო, რომლებიც ჩადენილი იყო აღნიშნული კანონების გამოცემამდე.

ძეგლის დადება მხოლოდ იმ დანაშაულებრივ მოქმედებებზე ვრცელდებოდა, რომლებიც ჩადენილი იქნებოდა კანონთა მიღების დღიდან: „აწ ყუელა გავაჩინეთ, ვის რა ეყოს ერთმანეთის ავი“, ე. ი. დავადგინეთ კანონები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამიერიდან დანაშაულს ჩაიდენენო.

ძეგლის დადების შედგენის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს გავლენის დამკვიდრება და განმტკიცება მთიულეთში.

ასეთია ძეგლის შედგენის ძირითადი მიზნები.

3. აზრი გიორგი ბრწყინვალის სჯულმდებლის შესახებ

ქართულ საისტორიო მწერლობაში გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ გარდა ძეგლის დადებისა მეფე გიორგი V-მ შეადგინა მთელი საქართველოს სჯულმდებლობა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენის ისტორიისა და სჯულმდებლობის მკვლევარისათვის, — წერდა

ნ. ურბნელი, — ეხლა შეურყეველ ქეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ ბრწყინვალე მეფემ საერთო სჯული დაუდგინა მთელს თავის სამეფოს., სამწუხაროდ, დროთა და ჟამთა ბრუნვის გამო, იგი საერთო სჯული დაიკარგა¹. მაგრამ ავტორის ასეთი კატეგორიული განცხადება არავითარი წყაროებით დამოწმებული არ არის.

ვახტანგის კანონთა კრებულის მეორე რუსული გამოცემის რედაქტორი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ძეგლის დადების შესავლის შენიშვნებში აღნიშნავდა, რომ „გიორგი მეფის საკანონმდებლო როლი არ განისაზღვრებოდა აღნიშნული კანონებით, მაგრამ მათი დიდი ნაწილი დაკარგულია“-ო. და იქვე ნიუთითებდა: რომ ცნობები გიორგი ბრწყინვალის საკანონმდებლო მოღვაწეობის შესახებ დაცულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნისა და დასტურლამალის სათანადო მუხლებში².

ვახტანგის სამართლის 102-ე მუხლში, რომელსაც დ. ბაქრაძე იმეორებს, ნათქვამია: „საშუალო ასრე არის: აქამდინ შუას ძმას არას მისცემდენ, თუ არ დიდად მოქირანხულესა; მაგრამ ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა, რომე შუათანა ძმებსაც ერთს რასმე მისცემენო“. დ. ბაქრაძე ფიქრობდა, რომ აქ კანონმდებელს მხედველობაში ჰყავს მეფე გიორგი ბრწყინვალე. მაგრამ ეს აზრი მცდარია. ვახტანგის კანონების შედგენამდე ქართული სამართლისათვის უცნობი იყო ძმების გაყრის შემთხვევაში საშუალო ძმისათვის ქონების განსაკუთრებული, ზედმეტი წილის, ე. წ. საშუალოს გამოყოფა, რაც ნათლად ჩანს ზემომოყვანილი მუხლის შინაარსიდან. მაშასადამე, ამ ინსტიტუტს არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა გიორგი ბრწყინვალის დროს. მართლაც, მე-14 საუკუნის ქართული სამართლის წიგნებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

გარდა ამისა, ვახტანგის სამართლის 102-ე მუხლის სიტყვები — „ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა“ — პირდაპირ მიუთითებს, რომ აქ კანონმდებელს

¹ ნ. ურბნელი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, 1890 წ., გვ. 1.

² Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, гл. 81.

ნხედველობაში ჰყავს მისი თანამედროვე მეფე-პატრონი გიორგი XI. დასტურლამლის იმ მუხლებშიც, რომლებსაც დ. ბაქრაძე იმოწმებს, ყოველგვარ ეჭვს გარეშე იგულისხმება მეფე გიორგი XI და არა გიორგი V ბრწყინვალე.

ვახტანგ VI თავისი სამართლის წიგნის პირველ შესავალში მიუთითებს, რომ სხვა ქვეყნების სამართლის ძეგლებთან ერთად ქართული სამართლის ძეგლებიც შევკრიბეთო: „ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული საქართლები შევკრიბეთ“-ო. აქ კანონმდებელი მეფე გიორგის მიერ განჩინებულ სამართალს უწოდებს ძეგლის დადებას, რომელიც შეტანილია ვახტანგის კანონთა კრებულის ნუსხებში ასეთი სათაურით: „სამართალი მეფის გიორგისა“.

მოსეს სამართლის შესავალში, რომლითაც იწყება ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი კანონთა კრებულის უძველესი, N 3683 ვახტანგისეული ხელნაწერი, აღნიშნულია, რომ ბატონი-შვილმა ვახტანგმა შეკრიბა: პირველი — მოსეს სამართალი, მეორე — ბერძნული სამართალი, მესამე — სომხური სამართალი, ხოლო მეოთხე — „დიდის მეფეთ მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი... , რომლითა სჯიდნენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“¹.

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ზემოხსენებულ წინასიტყვაობას ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ჩამატებულ ადგილად თვლიდა, მაგრამ, როგორც ამჟამად უკვე დადგენილია, ცდებოდა, რადგან N 3683 ნუსხაში, რომელიც გადაწერილია ვახტანგის დროს და რომელსაც ვახტანგის მინაწერები აქვს, მთლიანად დაკულია აღნიშნული წინასიტყვაობა.

მოსეს სამართლის შესავალში აღნიშნული „დიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი“ ის საკანონმდებლო ძეგლია, რომელსაც ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერებში „სამართალი მეფის გიორგისა“

¹ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა, 1955 წ., გვ. 10.

ეწოდება. ხსენებულ შესავალში რომ სიტყვა „სამართალი“ მრავლობით რიცხვშია მოცემული, ეს სავსებით გასაგებია და ასეც უნდა იყოს, რადგან ეს სიტყვა გამოხატავს იმ წესებს, ნორმებსა და კანონებს, რომლებიც გადმოცემულია ძეგლის დადებაში.

უფრო საყურადღებოა წინასიტყვაობის ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ დიდის მეფეთ-მეფის გიორგის სამართლით „სჯიდნენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“-ო.

ძეგლის დადება ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლია, რომელიც შედგენილია მთიულთათვის; ამ კანონების მოქმედების ტერიტორიული სფერო ზუსტად განსაზღვრულია ძეგლის შესავალში. ძეგლის დადების სამოქმედო ასპარეზი მხოლოდ მთიულეთით, არაგვის რამდენიმე ხეობით, შემოიფარგლებოდა.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, შეუძლებელია იმ აზრის გაზიარება, თითქოს გიორგის სამართლით „სჯიდნენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“. ძეგლის დადებაში აღწერილი საზოგადოებრივი წყობილება, მოხლეობა და ადათ-ჩვეულებები დამახასიათებელი იყო მხოლოდ საქართველოს ამ ჩამორჩენილი კუთხისათვის, სადაც პრიმიტიულ-თემური წყობილების ნიშნები და ჩვევები შენარჩუნებულ იქნა თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. საქართველოს სხვა სამთავროებში იმ დროს განვითარებული ფეოდალური წყობილება არსებობდა. მეფე გიორგი ბრწყინვალე გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური მონარქიის უზენაესი წარმომადგენელი იყო. ცხადია, ისეთი ადგილობრივი მნიშვნელობის სამართლის წიგნი, როგორცაა ძეგლის დადება, არ გამოდგებოდა საქართველოს სოციალურად და კულტურულად დაწინაურებული სხვა კუთხეებისათვის.

გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ მონარქიას გიორგი ბრწყინვალემდე ჰქონდა მთელი სამეფოსათვის შედგენილი სამართლის წიგნი, რომლითაც წესრიგდებოდა მაშინდელი იურიდიული ურთიერთობანი. ეს ნათლად ჩანს ძეგ-

ლის დადების შესავლიდან, სადაც გიორგი ბრწყინვალე აზრობს: „ესცანით ესე, რომელ ღმრთივ გვრგვინოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა ნეფეთაგან არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა“. აქედან ცხადია, რომ გიორგი ბრწყინვალემდე მხოლოდ მთიულებს არ ჰქონიათ საკუთარი სჯულმდებლობა. საერთოდ, საქართველოს სამეფოში კი გიორგის დროსაც მოქმედებდა განსვენებულ „ღმრთივ გვრგვინოსანთა“ მიერ შედგენილი სამართლის წიგნები. რაკი გიორგი ბრწყინვალის დრომდე კანონები მხოლოდ მთიულებს არ ჰქონიათ, მეფესაც ამ მიზნით შეუდგენია მათი სოციალური წყობისა და ყოფა-ცხოვრებისათვის შესაფერისი სამართლის წიგნი — ძეგლის დადება.

თავისთავად ცხადია, საქართველოს იმ დროს მთელი სამეფოსათვის განკუთვნილი საკანონმდებლო ძეგლები რომ არ ჰქონოდა, გიორგი მეფე პირველად მთიულებისათვის კი არ შეადგენდა სამართლის წიგნს, არამედ მთელი სამეფოსათვის. საქმეც ის იყო, რომ გიორგი V-ის დროს საქართველოში მოქმედებდა გაერთიანებული საქართველოს პერიოდის (XI — XII საუკ.) სამართლის წიგნები, მაგრამ ისინი შეუსაბამონი და განოუსადეგარნი იყვნენ ჩამორჩენილი, განვითარების პატრიარქალურ საუფხურზე მდგომი მთიული მოსახლეობისათვის.

ცხადია, რაკი გაერთიანებული სამეფოს სჯულმდებლობა შეუსაბამო იყო მთიულებისათვის, მით უფრო მეფუერეაღლი და გამოუსადეგარი იქნებოდა ჩამორჩენილი მთიულების ადგილობრივი ხასიათის საკანონმდებლო ძეგლი საქართველოს დანარჩენი სამეფოს სოციალურად, კულტურულად და სახელწიფოებრივად დაწინაურებული მოსახლეობისათვის.

4. ძეგლის მოქმედების ტერიტორია¹

სამართლის წიგნის მოქმედების ტერიტორიული საზღვრები განხილული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს. მისი აზრით,

¹ ზოგიერთი ტერიტორიული პუნქტის (ცხატო, ზანდუკის ჰევი, კიბენი) ადგილმდებარეობის შესახებ ცნობა მომავლად ფასანაჯრის ყოფილმა სახალხო მოსამართლემ ი. ა. გვათუაშ. რომელსაც ძადლიობა ეუძღვნა.

ძეგლის სამოქმედო ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად დარიალი უნდა მივიჩნიოთ, ხოლო სამხრეთის საზღვრად შეიძლება სოფელი არანისი ჩავთვალოთ. განსვენებული მეცნიერი იქვე შენიშნავს, რომ ძეგლის სამოქმედო ასპარეზის საზღვრების შემოფარგვლა ძნელდება იმას გამო, რომ ძეგლის შესავალში მოხსენიებული ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი არც ვახუშტის გეოგრაფიაში გვხვდება და არც სხვა ძველ წყაროებში¹.

სამართლის წიგნის შესავალში კანონთა სამოქმედო ასპარეზი განსაზღვრულია ასეთი თანამიმდევრობით: „ჯუართა ყელს აქეთ, ჯადა-ცხაოტს, ზანდუკის ქევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დაედევით“-ო. ძეგლის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები აქ ზუსტად არის განსაზღვრული. ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მთიულები და, მაშასადამე, მთიულეთის საზღვრები ზემოხსენებულ გეოგრაფიულ პუნქტებში თავსდება. ძეგლში ნახსენები ტერიტორია ამჟამადაც მთიულეთად იწოდება.

დღევანდელი მთიულეთი ადმინისტრაციულად დუშეთის რაიონში შედის და შედგება ქართლის, ფასანაურის, გუდამაყრის და მლეთის სასოფლო საბჭოებისაგან. მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით—ფშავეხევესურეთი; დასავლეთით—ლომისის და ხანდოს ქედი, რომლითაც იგი ქსნის ხეობისაგან განიყოფება; ჩრდილოეთით—ყაზბეგის ხევი და დვალეთის ტერიტორია; სამხრეთით—ანანურის სასოფლო საბჭოს ტერიტორია.

ძეგლის დადების მოქმედების ერთ-ერთ საზღვრად აღნიშნულია ჯუართა ყელი და მითითებულია, რომ კანონების მოქმედება ვრცელდება „ჯუართა ყელს აქეთ“. ეს ადგილი, რომელსაც ამჟამადაც ჯვრის გადასავალი, ანუ უღელტეხილი ეწოდება, მთიულეთისა და ყაზბეგის რაიონის საზღვარია. ჯვრის გადასავალს იქეთ ყაზბეგის რაიონი იწყება, ხოლო ჯვრის აქეთ—მთიულეთი. მაშასადამე,

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928 წ., გვ. 99—100.

ძეგლის დადების ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენს ჯუართა ყელი, ანუ ჯვრის გადასავალი.

ძეგლის დადების მოქმედების შემდეგ ტერიტორიულ პუნქტებად იხსენიება ჯადა-ცხაოტი. „ლულის-ჭევის ჩრდილოთ, არაგვის გადაღმა, არს დაბა ჯადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე“¹. ჯადა მთიულეთის ჩრდილო მხარეშია. ამ ტერიტორიაზე მდებარეობენ სოფლები: ჯალუმიანი, სეთურნი, შარუმიანი, ზაქანი, ქორლო და სხვა. ჯადას დასავლეთით ეკვრის კაიშაურთ ველი, რომელიც არაგვის ფლეშეებით თავდება.

რაც შეეხება ცხაოტს, იგი ვახუშტის გეოგრაფიაში აღნიშნული არ არის. „მატიანე ქართლისა“ იხსენიებს ცხავატს², რომელიც ქსნის ხეობაში მდებარეობს. მაგრამ ცხავატი და ცხაოტი ერთი და იგივე არ არის. ცხაოტი მდებარეობს არაგვის ხეობაში და ეწოდება მთიულეთის იმ ნაწილს, რომელიც მოიცავს ტერიტორიას ფასანაურიდან ზადას მიმართულებით ვიდრე სოფელ ჩირიკამდე.

ფასანაურიც რომ ცხაოტელთა სამკვიდრო ადგილი ყოფილა. ეს კარგად ჩანს ბატონიშვილ ლეონისადმი წარდგენილ ცხაოტელთა 1776 წლის 4 მაისის არზასაჩივრიდან, რომელშიც ნათქვამია: „ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის ლეონის ქირი მისცეს მთიულს ცხაოტელთ, ფასანაური ჩვენის სამკვიდრო მამული არის და ქავთარაშვილისათვის გიბოძებიათ“-ო³.

ჯადა-ცხაოტი ძეგლში მოხსენიებულია, როგორც კანონთა მოქმედების სამხრეთ-დასავლეთ მხარის ვრცელი ტერიტორიული პუნქტების მაჩვენებელი ხაზი ჯადიდან ფასანაურამდე.

სამართლის წიგნის მოქმედების ერთ-ერთ საზღვრად „ზანდუკის ჭევი“ იხსენიება, რომელიც მდებარეობს გულდამყრის ხეობაში სოფელ ზანდუკის გასწვრივ. ამ ხევიში მომდინარე წყალი სათავეს იღებს შირიმის მთისა და ნისახლოს

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941 წ., გვ. 65.

² ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1955 წ., გვ. 256.

³ ეს არზასაჩივარი გადმოგვცა იურისტმა იბ. გვათუამ.

მდებარე ქვენა მთის ქიუხებთან და სოფელ ბოსელის მიხედვით მას ბოსლის წყალს ეძახიან. ეს მდინარე სოფელ კიტოხთან „თორელაანთ წყალს“ უერთდება და ამის შემდეგ იწოდება შავ, ანუ გუდამაყრის არაგვიად. ფასანაურთან შავი, ანუ გუდამაყრის არაგვი ერთვის თეთრ, ანუ მთიულეთის არაგვს. მანძილს, რომელზედაც ხევი მომდინარეობს სოფელ ბოსლიდან ვიდრე თორელაანთ ადგილამდე, ეწოდება ზანდუკის ტევი. მისი სიგრძე დაახლოებით 10 კილომეტრს უდრის. სწორედ ეს ზანდუკის ტევია აღნიშნული ძეგლის დადებაში და იგი წარმოადგენს კანონთა მოქმედების აღმოსაველეთ საზღვარს.

კანონთა მოქმედების შემდეგ საზღვრად დასახელებულია „კიბეთ ქუეშეთი“. ადგილი კიბენი მდებარეობს გუდამაყრისა და ყაზბეგის რაიონის მიჯნაზე, იქ, სადაც ქვენამთის ერთი მხარე შედარებით დაბლდება. იგი წარმოადგენს ვიწრო ჩასასვლელ გზას, რომელიც ჩვეულებრივ კიბეს მოგვაგონებს. ამ გზით გუდამაყრის ბეობა უკავშირდება ყაზბეგის რაიონის სოფლებს: სნოს, კაკუჩას და ახალციხეს. კიბენი მდებარეობს მთიულეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეს იყო რუსეთ-საქართველოს ძველი გზის ყველაზე ვიწრო და ძნელად გასავლელი ადგილი.

საზღვარი კიბეთ ქუეშეთი ვრცელდება კიბენის ქვემოთ მდებარე ადგილებზე (ზანდუკის ხევი) ვიდრე მენესომდე. ქვეშეთი სოფელიცარის მთიულეთში. იგი მდებარეობს მლეთის ტერიტორიაზე თბილისის მიმართულებით 4 კილომეტრზე. მაგრამ კანონმდებელს აქ სოფელი არ უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რადგან სოფ. ქვეშეთი ჯადა-ცხაოტის, ანუ ძეგლის დასავლეთის სასაზღვრო ხაზში შედის და ამიტომ მისი ცალკე მოხსენიება ზედმეტი იქნებოდა. ანტიკომ გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ კიბეთ ქუეშეთი ნიშნავს კიბენის ქვემოთ მდებარე ზანდუკის ხევსა და მის სოფლებს, ვიდრე სოფ. მენესომდე.

ძეგლის დადების მოქმედების უკანასკნელ საზღვრად აღნიშნულია ადგილი „მენესოს ზემოთ“. სოფელი მენესო მდებარეობს თბილისიდან ფასანაურის მიმართულ-

ბით 76 კილომეტრზე, ხოლო ფასანაურიდან თბილისისაკენ — 13 კილომეტრზე, მდინარე არაგვის მარჯვენა მხარეს. გენესო ითვლება მთიულეთის დასაწყისად, თბილისიდან იგი მთიულეთის პირველი სოფელია. სწორედ ეს არის ძეგლის დადების მოქმედების უკიდურესი სამხრეთი საზღვარი. ძეგლიდანაც კარგად ჩანს, რომ კანონების მოქმედება იწყებოდა ამ სოფლიდან, ე. ი. „მენესოს ზემოთ“.

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ ძეგლის ჩრდილოეთის საზღვარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო დარიალი, როგორც ამას განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა. მართალია, სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში სჯულმდებელი მეფე ამბობს, რომ „მივედით დარიელამდის“-ო, მაგრამ მარტოოდენ ეს ცნობა საკმარისი არ არის ძეგლის მოქმედების ჩრდილოეთის ტერიტორიული საზღვრის დასადგენად. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად მოგზაურობის დროს მეფეს დაუთვალეირებია სხვა ადგილებიც (ქინვანი, ცხრაზმის ხევი და მუხრანი), რომლებიც, ისე როგორც დარიალი, მთიულეთის საზღვრებში არ შედიოდა და, მაშასადამე, ამ ტერიტორიაზე ძეგლის დადებას არ შეიძლებოდა ჰქონოდა სავალდებულო ძალა და მოქმედება. სამართლის წიგნის შესავლის ამ ნაწილში მეფე აღნიშნავს მისი მოგზაურობის გეოგრაფიულ პუნქტებს და არა ძეგლის მოქმედების საზღვრებს. შეზღვევ, რაც მთავარია, ძეგლის დადების იმავე წინასიტყვაობის სხვა ადგილას, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი, კანონმდებელი დაწერილებით ჩამოთვლის და ზუსტად განსაზღვრავს მის მიერ დადგენილ კანონთა მოქმედების ტერიტორიულ საზღვრებს. დასახელებულ პუნქტებს შორის პირველ რიგში აღნიშნულია „ჯუართა ყელი“, როგორც ძეგლის მოქმედების უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი.

ასევე არ შეიძლებოდა ძეგლის დადების სამხრეთი საზღვარი ყოფილიყო სოფელი არანისი, რომელიც ძეგლში მითითებულ სოფელ მენესოდან 17 კილომეტრითაა დაშორებული თბილისის მიმართულებით. ამას გარდა, არანისი საერთოდ არ იხსენიება ძეგლში, მაშინ როცა ადგილი

„ქენესოს ზემოთ“ მკაფიოდ აღინიშნება, როგორც ძეგლის დადების უკანასკნელი საზღვარი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი შეცდომა წარმოიშვა ვახუშტის შრომის სათანადო ადგილის არასწორი გაგებიდან. ვახუშტი წერს: „ოხერ ხიდის ჩრდილოთ არს ბოდორნას ქვაბნი გამოკვეთილნი... ჩრდილოთ მისა, არანისთან, ზანდუკლის ქევი“¹. ეს ცნობა ვახუშტის მოცემული აქვს თავისი შრომის იმ ადგილას, სადაციფი აღწერს არაგვისპირისა და ბაზალეთის მხარეს, და არა იქ, სადაც აღწერს მთიულეთსა და გუდამაყარს. მაშასადამე, არანისი და ზანდუკლის ქევი მთიულეთის ტერიტორიად არ იყო მიჩნეული თვით ვახუშტის მიერ. გარდა ამისა, ვახუშტის აღნიშნული აქვს „ზანდუკლის ქევი“, ხოლო ძეგლის დადებაში აღნიშნულია „ზანდუკის ქევი“, რომელიც გუდამაყარის ხეობაში მდებარეობს და 50 კილომეტრითაა დაშორებული „ზანდუკლის ქევიდან“ (არანისიდან). რაკი ვახუშტის ცნობითაც „არანისთან ზანდუკლის ქევი“ იყო, ცხადია, არანისის მიჩნევა ძეგლის დადების სამხრეთის საზღვრად შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

აქედან ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ძეგლის დადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქსნისა და არაგვის ხეობის სჯულმდებლობად, როგორც ეს დღემდე აღიარებული იყო ლიტერატურაში². ძეგლის მოქმედება ქსნის ხეობაზე არ ვრცელდებოდა და არაგვის ხეობის ზემოაღნიშნული ზუსტად განსაზღვრული პუნქტებით შემოიფარგლებოდა.

ამგვარად, ძეგლის დადების მოქმედების ტერიტორიული საზღვრებია: ჩრდილოეთით—ჯვრის გადასავალი, ანუ ჯუართა ყელი, სამხრეთით—სოფელი მენესო, აღმოსავლეთით—ზანდუკის ქევი, სამხრეთ-დასავლეთით—ჯადა-ცხაოტი. ამავე დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჯუართა ყელი, კიბენი და მენესო აღნიშნულია, როგორც კანონთა მოქმედების ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის უკიდურესი სასაზღვრო პუნქტები.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 65.

² ნ. ურბნელი, ძეგლის დება, 1890 წ., გვ. 2.

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949 წ., გვ. 270.

II. ძეგლის წყაროები და სისტემა

გიორგი ბრწყინვალის სამართალი ფეოდალური ეპოქის კანონმდებლობაა, მაგრამ მას ბევრი თავისებურება აქვს, რითაც იგი განსხვავდება იმ პერიოდის ქართული ფეოდალური სამართლის სხვა საკანონმდებლო ძეგლებისაგან. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული კანონები შედგენილი იყო არაგვის ხეობის მცხოვრებთათვის, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისა და კულტურის დონის მხრით დიდად ჩამორჩებოდნენ იმდროინდელი საქართველოს სხვა ფეოდალურ სამთავროებს. სამართლის წიგნში დადგენილი ნორმები გამოხატავენ მთიულთა პატრიარქალურ ყოფას, მტკიცედ შენარჩუნებული ძველი თემური ურთიერთობითა და წეს-ჩვეულებებით.

ფეოდალურ დაქსაქსულობას ახასიათებს სამართლის პარტიკულარიზმი და ადათობრივი სამართლის ბატონობა. დაქუცმაცებული ფეოდალური სისტემის პირობებში ადათი სამართლის მთავარ წყაროდ ითვლება. ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სხვა ქვეყნების სამართლის ისტორიაში და ასე იყო ჩვენშიც.

1. ძეგლის წყაროები

ა. ადათობრივი სამართალი. ძეგლის დადების წყაროების გარკვევისას საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ძველი და შუასაუკუნეების საკანონმდებლო ძეგლების ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენს. მხოლოდ ფეოდალიზმის უკანასკნელ პერიოდში, ამსოლუტიზმის დროს, კანონი იკავებს პირველ ადგილს სამართლის სხვა წყაროებს შორის.

ძველის დადება უმთავრესად სისხლის სამართლის კანონმდებლობაა. სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობას მხოლოდ რამდენიმე მუხლი ეხება. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა ინსტიტუტები შეიტანა კანონმდებელმა ადათობრივი სამართლის სფეროდან სამართლის წიგნის სისხლის სამართლის მუხლებში. ადათი განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული კანონმდებლის ძიერ სასჯელთა დარგში, რაც ცხადად ჩანს კანონთა მუხლების შინაარსიდან. ადათობრივი სამართლიდანაა ძველში 'ნესული' და დაკანონებული შურისძიების უფლება, სისხლის დაურევება, გაძევება, გაპარსვა და სხვა. მართალია, კანონმდებელი ცდილობს ერთგვარად შეზღუდოს შურისძიების დრო და ფარგლები, მაგრამ კანონთა მთელ რიგ მუხლებში (22, 25, 28, 29, 48) პირდაპირ აღიარებს შურისძიებას, როგორც დაზარალებულის კანონიერ უფლებას დამნაშავეს მიმართ.

შურისძიების ინსტიტუტი განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ხევის ადათობრივ სამართალში. ეს სავესებით ბუნებრივი იყო იმ დროისათვის, რადგან, როგორც ცნობილია, ამ ძველმა საგვარეულო წესმა მთიელ ტომებში XX საუკუნემდეც შეინარჩუნა თავისი ძალა. შურისძიების დაკანონება მოწმობს სასამართლო წარმოებაში კერძო ინიციატივისა და ინტერესების აღიარებას, სამართლის განუვითარებლობასა და სახელმწიფო ძალაუფლების სუსტ გავლენას იურიდიულ ურთიერთობაზე. შურისძიება ბოროტმოქმედებისათვის სამაგიეროს მიზღვას ნიშნავს. იგი სისხლისათვის სისხლს მოითხოვს, მტრობას მტრობით უპასუხებს.

თავდაპირველად შურისძიებას ადგილი ჰქონდა მთელ გვარეულობას შორის. გვარის წევრის მოკვლა, დაჭრა, შეურაცხყოფა მთელი გვარის შეურაცხყოფად ითვლებოდა. ამიტომ შურისმაძიებლის როლში მთელი გვარი გამოდიოდა გვარის წინააღმდეგ. აქ აღიარებული იყო ე. წ. ურთიერთ თავდადებობის პრინციპი—მთელი გვარი მფარველობს თავის წევრს, ხოლო გვარის თვითეული წევრი იცავს გვარის ინტერესებს და შურს იძიებს გვარის ინტერესების შელახვისათვის.

სახელმწიფო ორგანიზაციის განმტკიცების შემდეგ შურისძიების ასპარეზი თანდათან მცირდება. შურისძიება გვარის ნაცვლად ბოროტმოქმედის ოჯახსა და ახლო ნათესავებს დევნის, ხოლო უფრო გვიან პირადად დამნაშავეისა და მისი ქონების წინააღმდეგ არის მიმართული.

შურისძიების მოედანი ძველის დადების მიხედვით შევიწროებული ჩანს. აქ შურისძიება მთელი გვარის მოვალეობას არ წარმოადგენს. შურისმაძიებლად უშუალოდ დაზარალებული ან მისი ბეჰკეიდრე გამოდის. შურისძიებაც მხოლოდ დამნაშავეის პიროვნებისა და მისი ქონების წინააღმდეგაა მიმართული. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ე. წ. სასისხლო, ანუ პიროვნულ და ქონებრივ შურისძიებასთან. დაზარალებულს შეუძლია შური იძიოს როგორც თვით დაცნაშავეის პიროვნებაზე, ისე მის ქონებაზე. არჩევანი აქ თვით შურისმაძიებლის ნებაზეა დამოკიდებული.

საძარტლის წიგნის 22-ე მუხლის მიხედვით მას, ვისაც ცოლი მოსტაცეს, უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში თავს დაესხას დამნაშავეს და ყოველგვარი ზიანი მიაყენოს: „იგი ცოლწაგურილი კაცი რასაც ვის ეპტეროს ერთს წლამდის — დაწვასა, მოტაცებასა, დარბევასა, — არა მიეფასოს“ ო, ე. ი. დანაშაულად არ ჩაეთვალოსო, ამბობს კანონმდებელი. 25-ე მუხლის თანახმად კი, თუ დაზარალებული თავს დაესხა დამნაშავეს, როცა ჯერ კიდევ ისინი „არც შეზავებულ იყვნენ, არც დანდობილ იყვნენ, არც სისხლი აღებულ იყოს, დამსხმელი არ იქნების“. თუ მომჩივანმა მოპასუხე სამჯერ გამოიწვია სასამართლოში, მაგრამ ის მაინც არ გამოცადა, მაშინ მომჩივანს უფლება აქვს თავს დაესხას მოპასუხეს. როცა ვინმე რაიმეს მოიპარავს და მას საქონლის პატრონი აღმოაჩენს, ქურდმა უნდა დაუბრუნოს მოტაცებული ნივთი მის პატრონს, მაგრამ თუ, მიუხედავად არა ერთგზის მოთხოვნისა, ნივთს არ დაუბრუნებს, ამის შემდეგ საქონლის პატრონს უფლება აქვს თავს დაესხას დამნაშავეს და მას „დამსხმელი არა ჰქვან“.

ზემოთ მოტანილი მუხლებიდან ჩანს, რომ კანონმდებელი თუქცა აღიარებს შურისძიების უფლებას, მაგრამ მას ზღუდავს განსაზღვრული პირობებით. შურისძიება აქ უპი-

რობო და შეუზღუდველი არ არის. შურისძიების ერთ ერთ პირობად განსაზღვრული დროა დაწესებული. შემდეგ, შურისძიება დასაშვებია, თუ დანაშავე და დაზარალებული ჯერ კიდევ არ არიან შეზავებულინი ან არ არიან დანდობილნი, ან დამნაშავის მიერ სისხლი, ე. ი. საზღაური არ არის გადახდილი. მაშასადამე, თავდასხმასა და შურისძიებას გარკვეული პირობები აქვს დადგენილი. თვითნებობა და თვითგასწორება ყოველ შემთხვევაში არ არის მიჩნეული კანონიერ შურისძიებად.

იგივე უნდა ითქვას შურისძიების კანონიერი საფუძვლების შესახებ 28-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, „მოსაქმე კაცს“, ანუ მომჩივანს, უფლება აქვს თავს დაესხას მოპასუხეს იმ შემთხვევაში, „თუ სამჯერ სამართალი ითხოვა და არ გამოჰყოლოდეს“. მაშასადამე, სამჯერ სამართლის თხოვნა, ანუ სასამართლოში დაბარება, და სამჯერვე მოპასუხის მხრით სამართალში გასვლაზე უარისთქმა უფლებას აძლევს მოსაქმე კაცს თავს დაესხას ურჩსა და კანონისადმი თავის ამრიდებელ მოპასუხეს. განსაზღვრული პირობაა დაწესებული იმ შემთხვევისთვისაც, როდესაც საქმე ეხება მოპარული ნივთის დაბრუნებას პატრონისათვის. ნივთის პატრონს მხოლოდ მაშინ ეძლევა დამნაშავეზე თავდასხმის უფლება, თუ „ეთხოოს ორჯერ, სამჯერ“ მოპარული ნივთის დაბრუნება დამნაშავისაგან.

ამრიგად, ძეგლის დაღება დასაშვებად თვლის შურისძიებით სისხლის აღებას, ე. ი. პიროვნულ შურისძიებას, მკვლელობისათვის დამნაშავის მოკვლას, ხოლო სხვა დანაშაულისათვის ქონებრივ შურისძიებას, ე. ი. დამნაშავის ოჯახის დაწვას, დარბევასა და აწიოკებას. მაგრამ ამავე დროს შურისძიებას კანონის მიხედვით გარკვეული პირობები აქვს დადგენილი.

განსხვავებულ სურათს ვხედავთ ამავე პერიოდის გეორგ საკანონმდებლო ძეგლში — ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართალში, რომელიც კრძალავს შურისძიებით სისხლის აღებას, სასისხლო, ანუ პიროვნულ შურისძიებას. საათაბაგოს სამართლის მიხედვით, მკვლელობისათვის დამნაშავის მოკვლა არ შეიძლებოდა. ასეთ შურისძიებას კანონ-

მდებელი დანაშაულებრივ მოქმედებად თვლის. დამნაშავემ დაზარალებულის მემკვიდრეებს მკვლელობისათვის სისხლი უნდა აუნაზღაუროს, ე. ი. გადაუხადოს ფულადი ან ქონებრივი საზღაური. მიუხედავად ამისა, ე. წ. ქონებრივი შურისძიების ნიშნები ბექას სამართალშიცაა შენარჩუნებული. სანამ შურისმაძიებელს დანაშაულის ადგილას მიუსწრებენ ათაბაგის ან მაწყურელის კაცები, მანამდე დამნაშავეს ქონებისადმი მიყენებული ზიანი და მტრობა—„დაწუას თურასაც ემტეროს“— მას დანაშაულად არ ეთვლება¹.

ძეგლის დადებაში შურისძიების უფლების საკითხთან დაკავშირებით აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ერთ უცნაურ და სრულიად უსათუძვლო მოსაზრებაზე.

დიდი ხანია ცნობილია, რომ უხეირო და უმადური მამულიშვილი ცდილობს თავი გამოიჩინოს თავისი ხალხის ისტორიული წარსულის გაყალბებითა და დამცირებით. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებზე თავისი ვულგარობატორული და ნიჰილისტური აზრებით მკითხველისათვის ცნობილია გ. სოსელია. არ იჭუბებს რა თავს საკითხის შესწავლისა და გარკვევისათვის, იგი ყოველგვარი მტკიცების გარეშე კმაყოფილდება მეცნიერების იერ დადგენილი და აღიარებული დებულებების უბრალო უარყოფით, თანაც ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ასეთი უარყოფა მხოლოდ უშინაარსო, ცარიელი წამოძახილია.

XI—XVIII საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლების შესახებ იგი წერს: „Характерна для грузинского феодального права вплоть до XVIII в. система композиции, а вместе с тем господство частного начала. В этом отношении памятники грузинского права XI—XVIII в. в. не стоят даже на уровне „Русской Правды“. Во многих случаях узаконена кровная месть, в то время как Пространная редакция „Русской Правды“ зафиксировала отмену кровной мести“².

¹ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 188.

² იხ. ევრნ. „Вопросы истории“, № 10, 1956 წ., გვ. 82; გ. სოსელიას სტატია.

ყოველივე ზემონათქვამი სრული გაუგებრობაა და მხოლოდ მისი ავტორის უცოდინარობას მოწმობს. ავტორის მიერთავის სტატიაში დამოწმებული კანონთა მუხლებიდან ჩანს, რომ იგი ვერ ერკვევა ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლების ორიგინალში, რის გამო იძულებულია მიმართოს 70 წლის წინათ გამოქვეყნებულ დამახინჯებულ რუსულ თარგმანს.

ქართული სამართლის ჩამორჩენილობა რომ დაამტკიცოს, ავტორი მიუთითებს ძეგლის დადების იმ მუხლებზე, რომლებშიც დაწვებულია შურისძიების უფლება. ამავე დროს რუსი მკითხველის წინაშე შეგნებულად ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ძეგლის დადება საქართველოს ერთი ჩამორჩენილი კუთხის — მთიულეთისათვის საგანგებოდ შედგენილი სჯული იყო, რომელიც საქართველოს განვითარებულ ფეოდალურ სამთავროებში არ მოქმედებდა და, მაშასადამე, ამ კანონების მიხედვით შეუძლებელია ქართული სამართლის განვითარების დონეზე მსჯელობა. ზენოაღნიშნულის გამო დაუშვებელია ძეგლის დადებისა და „რუსსკაია პრავდას“ ერთმანეთთან შედარება.

რაც შეეხება ავტორის მიერ ქართული სამართლის სხვა ძეგლების დამოწმებას ამ საკითხზე, ეს გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. ბეჟა მანდატურთუხუცესის კანონთა პირველი მუხლის გარდა, ქართული სამართლის სხვა საკანონმდებლო ძეგლებში მკვლევლობისათვის სისხლის აღება კანონით დაშვებული არ არის.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის აღების ადათი მეტად მკაუთოდ გამოხატული და დაკანონებულია ძველი რუსეთის სამართლის ძეგლში — „რუსსკაია პრავდაში“, რომლის პირველივე მუხლში ნათქვამია შემდეგი: „Если человек уььет человека, то мстит брат за (убийство) брата, или отец, или сын, или двоюродный брат, или племянник со стороны брата“¹. რუსული სამართლის აღნიშნულ ძეგლში შურისძიება დაკანონებულია როგორც მკვლევლო-

¹ Памятники русского права, выпуск первый, под ред. проф. С. В. Юшкова, 1952 г., гл. 121.

ბის, ისე დასახიჩრების, პიროვნების ჯანმრთელობასა და ღირსებაზე ხელყოფისათვის. შურისძიება არა მარტო უფლებათა, არამედ კანონით დაკისრებული ვალდებულებათა— „месть не только признава, но и предписана законом“¹, ამბობს რუსეთის სამართლის ისტორიის დიდი მკვლევარი, პროფესორი ვლადიმირ სკი-ბუდანოვი.

თუმცა „რუსეთის პრაქტიკის“ მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ თავადი იაროსლავის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილებმა ბოიარებთან ერთად გააუქმეს სასისხლო შურისძიება და შემოიღეს ფულადი გამოსასყიდო, მაგრამ, როგორც ცნობილია, სინამდვილეში სისხლის აღება რუსეთში კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა თავის ცხოველმყოფელ ძალას².

ასევე უსაფუძვლოა გ. სოსელიას ცდა დაასაბუთოს ქართული სისხლის სამართლის ჩამორჩენილობა კომპოზიციების სისტემის არსებობის ფაქტით. სისხლის სამართლის განვითარების დონის მაჩვენებელია, უწინარეს ყოვლისა, დანაშაულის სუბიექტური ნხარის—ბრალის საკითხის დამუშავება და არა კომპოზიციების არსებობა, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების დაქსაქსულობითა და სისუსტით აიხსნება. კომპოზიციების სისტემა საერთოდ დამახასიათებელია ფეოდალური ხანის სამართლის ძეგლებისათვის.

ბრალის საკითხი ქართულ სამართალში, როგორც ცნობილია, საფუძვლიანად აქვს განსილული დიდ განმანათლებელს ექვთიმე მთაწმიდელს (955—1028), რომელიც ასხვავებს დანაშაულის ჩადენას „ნებსით“, ანუ „განზრახვით“, და „უნებლიეთ“, ანუ „შემთხვევით“. ქართული იურიდიული აზროვნების წარმატებაზე მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი (XI საუკ.) იცნობს დანაშაულის მკდრობას (მუხ. 133, 134)³.

სხვა ქვეყნების ხალხთა სამართალში ბრალისა და მკდრობის საკითხები, როგორც ცნობილია, გაცილებით უფრო

¹ Владими́рски́й-Бу́данов, Обзор истории русского права, 19.9 №., გვ. 324.

² იქვე, გვ. 326.

³ იბ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 339.

გვიან იქნა დაძუშავებული. დანაშაულის მცდელობა გერმანიისა და საფრანგეთის კანონმდებლობაში XIV—XV საუკუნეებიდან, ხოლო რუსეთში XVII საუკუნიდან (1649 წ.) გეხვდება. ყოველივე ეს მოწმობს ქართული სამართლისა და იურიდიული აზროვნების განვითარებას და არა მის ჩამორჩენილობას.

ჩვენ არ შევხებით გ. სოსელიას სხვა სრულიად დაუსაბუთებელ აზრებს ძველი საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ.

დავუბრუნდეთ ძეგლის დადების წყაროების განხილვას.

ხვეის ადათობრივი სამართლიდან არის შეტანილი ძეგლის დადებაში აგრეთვე სისხლის დაურევება. შურისძიება სისხლის დაურევებამ შეცვალა. თუ შურისძიება სისხლისათვის სისხლს მოითხოვდა, ე. ი. მკვლელობისათვის დამნაშავის ნოკვლას და ა. შ., სისხლის დაურევება, რომელმაც შურისძიების ადგილი დაიკავა, გულისხმობს დანაშაულის გამოსყიდვას ფულადი ან ქონებრივი საზღაურის გადახდით, რომელიც დამნაშავემ უნდა მისცეს დაზარალებულს ან მის ნათესავეებს. ამ გაგებით სისხლის დაურევების საფუძვლებს მომაკვდავი შურისძიების ინსტიტუტში ხედავენ. მაგრამ ეს ორი ინსტიტუტი—შურისძიება და სისხლის დაურევება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან და კაცობრიობის უფლებრივი შეგნების ორ სხვადასხვა საფეხურს გამოხატავს.

შურისძიება ჩამორჩენილი და განუვითარებელი სამართლის თვისებაა, მისი პირველყოფილი და პრიმიტიული ბუნების გამომხატველია. სისხლის დაურევება, ანუ კომპოზიციების სისტემა უფრო განვითარებული სამართლისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია, რომელიც ასახავს საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების წოდებრივსა და უფლებრივ მდგომარეობას. ამ მხრივ სისხლის დაურევება ისტორიულად გაცილებით უფრო პროგრესული და დაწინაურებული სისტემაა, ვიდრე შურისძიება მისი ყოველგვარი გამოვლინებით.

თავის პირველდაწყებით ფორმაში კომპოზიცია კერძო საზღაურის ხასიათს ატარებდა, იგი იყო ქონებრივი სასჯელის სახე, რომლითაც დამნაშავე დაზარალებულს ან მის ნათესავებს, დანაშაულის გამოსყიდვისა და შურისძიების მოსპობის მიზნით, კანონით დადგენილ ქონებრივ საზღაურს უხდოდა. ამავდროს, როგორც ეს სხვა ქვეყნების¹ ხალხთა სამართლის ძეგლებიდან ჩანს, კომპოზიცია საჯარო ხასიათის ელემენტსაც შეიცავდა, ე. ი. კომპოზიციის განსაზღვრული ნაწილი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ იყო განკუთვნილი¹.

ძველის დადება განსაზღვრავს სისხლის ოდენობას დაზარალებული პირის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. სისხლის დაურევება ხდება ფულადი ან ქონებრივი საზღაურის სახით დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. სისხლი მთიულების სამართალშიც სასჯელის ძირითადი სახეა. ვინც ერისთავს მოკლავს. მან „სისხლი მისი გაუარსა ზედა დაიურვოს“-ო. სამართლის წიგნის 31-ე მუხლიდან ჩანს, რომ ხევის ზოგიერთი წარჩინებული და საპატიო პირის სისხლი 12.000 თეთრს შეადგენდა. გამგებლის, ხევისბერისა ან ხევისბერის გაუყოფარი კაცის მოკვლისათვის დამნაშავემ დაზარალებულის ოჯახს 6.000 თეთრი უნდა გადაუხადოსო, ციხისთავის მოკვლისათვის—3500, ხევისბერის „განაყოფი“ კაცის მოკვლისათვის—3000, ლომისის გლეხის მოკვლისათვის—1500, ჰეროვანის მოკვლისათვის—1200; ამდენივე სისხლი იყო დაწესებული „უციხისთავო“ კაცის, ყოფილი ციხისთავისა თუ მისი ძმისა ან შვილის მოკვლისათვის. ამრიგად, სისხლის დაურევება გვარისა და სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით ხდებოდა.

ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით სამართლის წიგნი აწესებს ორმაგის, ერთის, ნახევრის, მესამედის, მეოთხედის, მეხუთედისა და მეექვსედის სისხლის დაურევებას დაზარალებულის ან მისი ოჯახის სასარგებლოდ.

¹ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 202—203.

ორკეცი სისხლის დაურევება გათვალისწინებულია ცოლის გატაცების მიზნით თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობისათვის. ასეთი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებად ითვლება და ამიტომ დამნაშავემ ორმაგი ქონებრივი პასუხისმგებლობა უნდა გასწიოს.

ერთი, ანუ სრული სისხლის დაურევება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ჩადენილი არ არის დამამძიმებელ გარემოებაში. ყველა წოდების წარმომადგენელს მათი გვარისა და ღირსების მიხედვით სრული სისხლი აქვს გაჩენილი. მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავემ სრული სისხლი უნდა დაუურვოს დაზარალებულს, გაძევებულ უნდა იქნეს და მისი „მამული სასეფოდ დაიდვას“.

ნახევარი სისხლის დაურევება გათვალისწინებულია შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის; ასეთია მაგალითად: ცოლის უმიზეზოდ მიტოვება, ჯვარდაწერილი ცოლის მოტაცება, ციხის დაქცევა, ორივე ხელის ან ორივე ფეხის დაშავება და სხვა.

მესამედი სისხლის დაურევება გათვალისწინებულია მარჯვენა ხელის მოკვეთის ან დაშავებისათვის. მეოთხედი სისხლის გადაბდა დაწესებულია თვალის ან ფეხის დაშავებისათვის, მეხუთედი სისხლი—ცხვირის მოკვეთის ან სახეზე წარუხოცელი კრილობის დაჩენისათვის, ხოლო მეექვსედი სისხლი—დანიშნული საცოლის მოტაცებისათვის.

ძეგლის დადების სისხლის დაურევებას ბევრი ხარვეზი აქვს. სისხლის დაურევების ნიხრი არასრულია, იგი უყურადღებოდ ტოვებს მთელ რიგ შემთხვევებს, არ ითვალისწინებს ცალკეულ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა კომპოზიციას კაზუისტიკური პრინციპის მიხედვით, რაც საერთოდ დამახასიათებელია სისხლის დაურევების, ანუ კომპოზიციების სისტემისათვის. მიუხედავად ამისა, ძეგლის კომპოზიციები ძირითადად ზაინც ასახავს ხევის პრიმიტიული სოციალური ყოფისა და უფლებრივი ურთიერთობის სურათს.

სისხლის დაურევება ადათობრივი სამართლის სფეროდანაა შეტანილი ძეგლის დადებაში.

ადათობრივი სამართლის ინსტიტუტს წარმოადგენს აგრეთვე ძეგლით გათვალისწინებული სასჯელის ის სახე, რომელსაც გაძევება ეწოდება. სასჯელის ამ სახეს იცნობს ძველი და შუა საუკუნეების სხვა ხალხთა სამართლის ძეგლებიც.

გაძევება, როგორც სასჯელი, ძველი ჩვეულებაა. მისი საწყისები თემური წყობილებიდან მომდინარეობს და კლასობრივ საზოგადოებაში ღებულობს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კანონით სანქცირებული სასჯელის სახეს. თავდაპირველად გაძევება დაკავშირებული იყო სისხლის აღების ადათთან. შურისმაძიებელი ცდილობს სისხლი აიღოს დამნაშავისაგან. ეს უკანასკნელი კი ერიდება შურისმაძიებელთან შეხვედრას, გაურბის შურისძიების მრისხანებას, და ამის გამო იძულებულია განშორდეს მოსისხლე მტერს. მაგრამ გაძევება, როგორც სასჯელი, განსხვავდება დამნაშავის თვითგარდახვეწისაგან იმით, რომ გაძევება დამოკიდებული არ არის მის ნება-სურვილზე. ამ შემთხვევაში დამნაშავეს არა მარტო დაზარალებული ან მისი მემკვიდრე სდევნის, არამედ თვით სახელმწიფო ხელისუფლებაც, რომელიც დამნაშავის გაძევებით ცდილობს უვნებელყოფს დამკვიდრებული საზოგადოებრივი მართლწესრიგი.

ძეგლის დადება დამნაშავეთა მიმართ სასჯელის ზომად ფართოდ იყენებს გაძევებას. გაიყვება მძიმე სასჯელია, რომელსაც კანონმდებელი უფარდებს დამნაშავეს სხვა დამატებით სასჯელებთან ერთად (მამულისა და თანამდებობის ჩამორთმევა).

გაძევება, როგორც სასჯელის ზომა, ცნობილია ქართულ სამართალში უძველესი დროიდან. საკანონმდებლო ძეგლებიდან ყველაზე უფრო ფართოდ სასჯელის ამ ღონისძიებას ძეგლის დადება იყენებს.

ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, რომ, ქართული სამართლის მიხედვით, სისხლის დაურევბასთან ერთად გაძევებას იმ შემთხვევაში იყენებდნენ, როცა ქონებრივად და უფლებრივად დაბლა მდგომი წოდების წარმომადგენელი მოკლავდა მასზე პალა მდგომ პირს. ხოლო თუ უმაღლესი მოკლავდა ჰემდგომს. მაშინ მსოლოდ სისხლი უნდა გადაეცადაო:

„უკეთუ უმაღლესჲან მოკლის უმცირესა. დაუურვის სისხლი, ხოლო უმდაბლესჲან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა“¹. მაგრამ ეს განმარტება სწორი არ არის. ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, დამნაშავის გაძევება. როგორც სასჯელის ზომა, გათვალისწინებულია არა მარტო მკვლელობის, არამედ სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევებშიც (მუხ. 40, 48, 58, 59, 66). ამავე კანონთა მიხედვით, მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავის გაძევება მაშინ ხდება, თუ იგი სისხლს ვერ გადაიხდის: თუ დიდებული დიდებულს ან აზნაური აზნაურს მოკლავს, დამნაშავემ დაზარალებულის ნათესაეებს კანონით განსაზღვრული სისხლი უნდა დააურვოს. მაგრამ თუ ვერ გადაიხდის სისხლის ფასს, გაძევებულ უნდა იქნეს: „თუ ვერ ამოუვიდეს, გარდაიხუეწოსო“ (მუხ. 1, 4).

ძეგლის დადებაც გაძევებას ითვალისწინებს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა „უმდაბლესჲან თუ მოკლის უმაღლესი“. დამნაშავის გატყუება მაშინაც ხდება, როცა მკვლელი უმაღლესია, ხოლო დაზარალებული უმდაბლესი (მუხ. 12, 13, 14), ან როცა მკვლელი და დაზარალებული თანაბარი უფლებრივი მდგომარეობისა არიან (მუხ. 5, 6, 11). მაშასადამე, გაძევებას კანონი მოითხოვს როგორც ზემდგომი და ქვემდგომი პირების, ისე თანასწორი მდგომარეობის დამნაშავე პირების მიმართაც.

ამიტომ სწორი არ არის ის აზრი, თითქოს ძეგლის დადების მიხედვით დამნაშავის გაძევება „მაღალი მოსილევების მკვლელობის შემთხვევაშია გათვალისწინებული“² და რომ გაძევებას დამატებითი სასჯელის მნიშვნელობა აქვს. მაშინ როგორ გავიგოთ ის აზრი, რომ „გაძევება ძეგლის დადებით უმაღლესი სასჯელია“³. ცხადია, უმაღლესი სასჯელი არ შეიძლება იმავე დროს დამატებითი სასჯელიც იყოს.

¹ ვანუშტი, აღწერა სამეფოთა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 15.

² ივ. სუოგულაძე, საქართველოს სახელმწიფოთა და სამართლის ისტორიისათვის, 1952 წ., გვ. 70.

³ იქვე, გვ. 68.

ძეგლის დადების მთელი რიგი მუშალები (1-3, 5-7, 9, 11-15, 17) ითვალისწინებენ დამნაშავის გაძევებას სავადასხვა კატეგორიის და უზღუებრივი მდგომარეობის მქონე პირების მოკვლისათვის. გაძევებას თან ახლავს „მამულის სასეფეოდ დადება“, ე. ი. ქონების კონფისკაცია და სახელმწიფოსათვის მისი გადაცემა. კანონი ასხვევებს ორი სახის გაძევებას—ვადიანსა და უვადო გაძევებას. დამნაშავის უვადოდ გაძევება გათვალისწინებულია ძძიმე დანაშაულის ჩადენის შემთავევაში. ერასთავი საერისთავოს ბატონპატრონი და უმაღლესი თანამდებობის პირია. ამიტომ მისი მოკვლა ითვლება მეტად მძიმე დანაშაულად, „უსახომო შეცოდებად“, რომელიც „აროდეს კადრებულა“-ო. მაგრამ თუ ვინმეს ღმერთი შერისხდეს და ასეთი „უმსგავსო“ დანაშაული ჩაიდინოს, მას შეუფარდეთ უვადოდ „გარდახუეწა და მამულის წაღება“-ო. ხევის მმართველის, ანუ განმგებლის მოკვლისათვისაც უვადო გაძევებაა დადგენილი; დამნაშავე „მამულისაგან გაიძოს და შეუნდობლად მამული სასეფეოდ დაღვას“-ო (მუხ. 3).

შვილისაგან მამის მოკვლა ხომ ყოვლად უმსგავსო და გაუგონარი დანაშაულია „და ღმერთმან ნუ იყოფინოს ამის კადრება“-ო. მაგრამ თუ ასეთი უბედურება მოხდეს, დამნაშავეს ყველაფერი უნდა დაემართოს: უვადოდ „გაძება, შეუნდობლად შემოუშვებლობა, აღმოთაურა და აღმოწყუეტა“. დამნაშავის უვადოდ გაძევება, მისი თემიდან მოკვეთა, კანონის მიხედვით ზემოხსენებული სამი უმძიმესი დანაშაულის გამო არის გათვალისწინებული.

ძძიმე დანაშაულად ითვლება აგრეთვე ძძის მიერ ძძის მოკვლა. მაგრამ ამ შემთხვევაში კანონმდებელი მაინც შესაძლებლად თვლის დამნაშავის თუმცა ხანგრძლივი დროით, მაგრამ განსახლვრული ვადით გაძევებას — „მკულელი ათს წელიწადს მამულიდგან გაიძოს“-ო. სხვა შემთავევაში სამართლის წიგნი დანაშაულის სამძიმის მიხედვით ითვალისწინებს სამი, ორი ან ერთი წლის ვადით გაძევებას სამშობლოდან და მამულის შესაბამისი ვადით ჩამორთმევას.

ძველი არათერს ამბობს განსაზღვრული ვადით გაძევებული დამნაშავის მდგომარეობის შესახებ. რაც შეეხება უვადოდ გაძევებულ მკვლელს, იგი კანონისა და ყოველგვარი მფარველობის გარეშე გამოცხადებულ პირად ითვლებოდა; მშვიდობას აღკვეთილი და თემიდან გაძევებული. იგი ყოველგვარი დაცვის გარეშე იმყოფებოდა და მისი მოკლა ყველას შეეძლო პირველი შეხვედრისთანავე. ეს არ შეიძლება ითქვას განსაზღვრული ვადით გაძევებული დამნაშავის მიმართ, რომლის პიროვნება, ალბათ, მთლიანად ბედის ანაბრად არ იყო მიგდებული, რადგან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ კანონი შესაძლებლად თვლიდა. სისხლის დაურევების შემთხვევაში, დამნაშავის დაბრუნებას ხევისა და თემის ფარგლებში და მისთვის ჩამორთმეული მამულის მიცემას.

ძველის დადება აღნიშნავს ერთ ძველ ჩვეულებას. გამაწბილებელი, ანუ დამამცირებელი სასჯელის ერთ თავისებურ სახეს, რომელსაც „გაპარსვა“ ეწოდება. მეორე მუხლის თანახმად, თუ თემის, სოფლის ან ხევის მცხოვრებნი თავიანთ გამგებელს მოკლავენ, სხვა სასჯელებთან ერთად. მკვლელობაში მონაწილე თვითელი სოფლის თავკაცი — „სოფლის თავადი“ უნდა „გაიპარსოს“. გამაწბილებელი სასჯელის ეს სახე ადათობრივი სამართლიდან არის აღებული და იგი ცნობილი იყო სხვა ძველ ხალხთა სამართალშიც.

ძველი ადათ-ჩვეულებების ნიშნებს კანონთა სხვა მუხლებშიც ვხვდებით, მაგრამ ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ სამართლის წიგნის მთავარ წყაროს ხევის ადათობრივი სამართალი შეადგენდა. მთიულეთის ძველი წეს-ჩვეულებების შერჩევა-დამუშავებისათვის, მათი საკანონმდებლო წესით სანქციონებისათვის სჯულმდებელ მეფეს საკანონმდებლო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად სხვა პირებთან ერთად მოუწვევია „ერისთავნი, ჯევისბერი და ჯევისთავნი და ჰეროვანი“, რომლებიც კარგად იცნობდნენ ხევის მკვიდრთა წეს-ჩვეულებებს, მათს ადათობრივ სამართალს.

ბ. კანონმდებლობა. ძველის დადებას მეორე მნიშვნელოვან წყაროს კანონმდებლობა შეადგენს.

მთიულეთის მოსახლეობას XIV საუკუნემდე დაწერილი სჯული არ ჰქონდა. ეს ცხადად ჩანს ძეგლის დადების შესავლიდან. სჯულმდებელი მეფე სამართლის წიგნის შესავალში ამბობს, რომ მთიულეთში „განაჩენ-დაუდებლობას“ ჰქონდა ადგილიო. „ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთაგან... არ გასჩენოდა ძეგლითა, გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა უწესოთა მომძღაგრებულთა საქმეთა“. მაშასადამე, გიორგი ბრწყინვალემდე მთიულეებს ძეგლის დადება, ანუ დაწერილი სამართალი არ ჰქონდათ. მათი იურიდიული ცხოვრება ადათობრივი სამართლით წესრიგდებოდა.

ამავე დროს სამართლის წიგნში დაცულია რამდენიმე არაპირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ მთიულეთში გამოყენებული იყო ძველად დადგენილი ზოგიერთი საკანონმდებლო ნორმა, რომელთა საფუძველზე წესრიგდებოდა განსაზღვრული იურიდიული ურთიერთობანი. მაგრამ ეს ნორმები, როგორც ჩანს, მხოლოდ ცალკეულ ადგილობრივ საკითხებს შეეხებოდა. როგორც ძეგლიდან ჩანს, ცალკეულ საკითხებზე ზოგიერთი განაჩენი, ანუ კანონი მანამდეც ყოფილა გაჩენილი, ანუ დადგენილი. სამართლის წიგნის მე-2 მუხლის მიხედვით, თუ თემის, სოფლის ან ხევის მცხოვრებნი გამგებელს მოკლავენ, სისხლის გადახდის გარდა, მკვლელობაში მონაწილე თვითეულ ოჯახს ბეგარად უნდა დაედვას წელიწადში თითო ცხენის გამოყვანა სასეფოდ, „ვითა ძველითგან გაჩენილი არის“. მაშასადამე, სახელმწიფოს სასარგებლოდ ასეთი ბეგარის დაკისრება ძველთაგანვე ყოფილა დადგენილი, როგორც საჯარო ხასიათის სასჯელი, სახელმწიფოს წარპომადგენლის გამგებლის მოკვლისათვის.

ძეგლის დადებაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განსაზღვრულია ხევის ხელისუფალთა სისხლი. ხევის მოხელეთა სისხლის ნიხრი გიორგი ბრწყინვალის მიერ პირველად უნდა იყოს დადგენილი ადათობრივი სამართლის მიხედვით, რადგან არაერთი ცნობა მათი სისხლის ფასის ოდენობის შესახებ სხვა ადრინდელ ან იმდროინდელ წყაროებში არ მოგვეპოვება. მაგრამ ძეგლის დადებაში არის

კროი დამოწმება, რომელიც ლომისის ეკლესიისადმი შეწირული გლეხის ნოკვლას შეეხება. კანონთა 41-ე მუხლში სათქვამია: ვინც ლომისის ეკლესიისადმი შეწირულ გლეხს მოკლავს. 1500 თეთრი უნდა გადაიხადოს, რაც „თავით ძუელთგან გაჩენილი არის და აგრევე გაჩენით იყოს-ო“. მაშასადამე, დადგენილებანი ლომისის ეკლესიის გლეხების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ძველად გაჩენილი ყოფილა. რაც დაუმტკიცებია გიორგი ბრწყინვალესაც.

ცნობა ძველი კანონმდებლობის არსებობის შესახებ შეინახულია სამართლის წიგნის უკანასკნელ. 45-ე მუხლში. რომელიც სესხის ხელშეკრულებას აწესრიგებს. კანონთა აღნიშნული მუხლის თანახმად, სესხზე პროცენტის აღება ქართული სამართლის მიხედვით უწესო და უმართებულო არის — „სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა უწერია“-ო. ამ ცნობიდან ჩანს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო კრების მონაწილეებს სამართლის წიგნის შედგენისას ხელთ ჰქონიათ არა მარტო ქართული, არამედ სხვა ქვეყნების კანონებიც, რომელთაც მხედველობაში იღებდნენ და ანგარიშს უწევდნენ.

ასეთია ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა, რომლებიც დაკულია ძეგლის დადებაში მანამდე დადგენილი კანონმდებლობის არსებობისა და გამოყენების შესახებ მთიულეთის სინამდვილეში.

ფეოდალურ საქართველოში ძეგლის დადების შედგენამდე დიდი ხნით ადრე მოქმედებდა მთელი, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა, რომლის ნაშთი შემორჩენილია ბექა-აღბუღას კანონების ბოლოში ბაგრატიკურაპალატის სამართლის სახით. სხვა საკანონმდებლო ძეგლები XI—XII საუკუნეების გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქიის პერიოდისა და ჩვენამდე არ შემონახულა და, სამწუხაროდ, საბოლოოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ამევე დროს ასეთი საკანონმდებლო ძეგლების არსებობა იმ დროისათვის სრულიად უდავოდ უნდა მივიჩნიოთ.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შემდეგ ქართული საერო სამართლის უძველეს ძეგლად ითვლება ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, რომელიც შედგენილია XIII საუკუნის დასასრულს ან XIV საუკუნის დასაწყისში (1308 წლამდე). ბექას კანონები სამცხე-საათაბაგოს სჯულმდებლობას წარმოადგენდა, მაგრამ ამჟამად დადგენილად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ეს კანონები მნიშვნელოვანწილად გამოყენებული იყო საქართველოს სხვა ფეოდალურ სამთავროებშიც, რომელთა საზოგადოებრივი წყობილება ასევე ფეოდალური იყო. ბექა-ალბულას კანონებმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე და განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე, რომელშიც სათანადო რედაქციით შეტანილია ბექა-ალბულას კანონთა მნიშვნელოვანი ნაწილი¹.

ძეგლის დადება ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნზე გვიანდელი საკანონმდებლო ძეგლია. იგი ადგილობრივი ხასიათის სჯულმდებლობაა. რომელიც შედგენილი იყო მხოლოდ მთიულთათვის. ხევის მოსახლეობათათვის საზოგადოებრივი ყოფითა და კულტურის დონით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სამცხე-საათაბაგოს მკვიდრთაგან. სამცხე ფეოდალური საქართველოს განვითარებულ სამთავროს წარმოადგენდა. მიუხედავად ასეთი სხვაობისა, ამჟამად დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ბექა მანდატურთუხუცესის კანონები ძეგლის დადების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა². ხევის პირობებისა და ადათობრივი სამართლის გათვალისწინებით ძეგლში შესაბამისი რედაქციით შეტანილია ბექას სამართლის მთელი რიგი მუხლები. შედარებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე პარალელს აღნიშნული ძეგლებიდან.

¹ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 107—108.

² ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 104—106.

ძეგლის დაღება

17. თუ „ძმამ ძმა მოკლას, იგი მკულელი ათს წელიწადს მამულიდანჯ გაიძმოს და მამული სასეფოდ დაიდვას“.

21. „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ..., ნახევარი სისხლი დაუურვოს“.

24. „კაცმან თუ ჯუარგაცულილი ცოლი წაგვაროს, სისხლის მეექუსედი დაიურვოს მათსა გუარსა ზედა“.

25. „შუად მონაზონი, ანუ მწირველი ხუცესი, ანუ დიაცი მივიდეს, ესრეთ რომე აბჯარი არა ჰქონდეს, და ასეთი მოკლან, ვინც მოკლას, ორკეცა სისალი დაიურვოს მისსა გუარსა ზედა...“

და თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაცუდდეს მის დიაცისა სისხლი“.

31. „გერშის საქმე ასრე იქმნას: ვისცა პირსა ზედა გერში აჩნდეს სადალედ..., სისხლის მეხუთედი დაიურვოს“.

თუ გერში სად საჩინოდ იყოს, ასრე რომე არ დაშავდებოდეს და დააჩნდეს..., ამდენი დაუურვოსო.

32. „მარჯუენა ველი ვისაც მოეკუეთოს ანუ დაუ-

ბექას სამართალი

22. „თუ ძმამან ძმა მოკლას..., ამა სოფელს ძლივლა ინახვის კაცთაგან..., ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწა“.

29. „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს“.

39. „თუ კაცმან კაცს ჯვარგაცულილი საცოლე წაგვაროს, სამდურავისა კიდე დასაურვებლად არას ემართლების“.

16. „შუა მისრულისა კაცისა ასრე იქნას: მონაზონისა და დიაცისა, ხუცისა, თუ შუად მოსრული იყოს და ესეთი რომელი მოკვდეს, ორკეცა სისალი დაიურვოს, რისაც გვარისა იყოს“.

და თუ მეომარი ყოფილიყოს, მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაჯდეს ასრე, ვითა ძალის ყეფა“.

5. „გერშისა ასრე იქმნას: თუ პირსა ნაკრავი იყოს და ესრე აჩნდეს, ათას ხუთასი თეთრი დაუურვოს“

6. „თუ ესეთი რამე დაეკოდოს, რომე არ დაუშავდეს და აჩნდეს... დაუურვებინონ, ვითარცა მართებდეს“.

5. „ველი თუ ან ფეკი მოეკუეთოს, ანუ ერთობ დაუ-

შავდეს დაკოდლობითა, სისხლის მესამედით დაიურვოს“.

36. „და სხუა რომელიც თითი მოეკუეთოს და ანუ დაუშავდეს, ჯელის მესამედი სისხლი დაუურვოს“.

38. „კაცმან თუ კაცს კბილი ჩააგდებინოს, ოთხთა წემოთ წინათ, ოთხთა ქუემოთ, საჩინოთა კწილთა ჩაყრევიწებისათჳს თჯოს კბილისათჳს“... აწდენი დაუურვოსო.

40. „ვისიც ასაბია ყოფილა, მათი საქმე ასრე იჭმნას: თუ ერთმანეთის ასაბიანი იყვნენ.., სისხლის დაუურვება მის გუარსა ზედა“.

43. „მეკობრე რაზომიცა მოკლან, სისხლი გაუცუდდეს ყუელასი.., და საქონლის პატრონი თუ მოკლან.., სისხლი სრული დაუურვონ“.

შავდეს, სისხლის მესამედი დაუურვოს“.

5. „თუ ჯელის თითი მოეკუეთოს, ჯელის გერშის მებუთედი დაუურვოს, თუ ორნი მოეკუეთნეს თუ რაზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონ“.

8. „თუ კაცმან კაცს წინა ანუ უკანა კბილი წთააგდებინოს, ერთის თითის ოდენი გერში დაუურვოს“.

15. „ასაბია თუ მოკვდეს, ასრე იქნას: რომელისაცა ასაბია იყოს. მან უზლოს სისხლი და გერშიცა“.

22. „ზედა დამსხმელისა სისხლი და გერში არა არის. თუ კიდეცა იგივე მოკვდეს, რომელსა დაესა, ორკეცი სისხლი დაუურვოს“.

ბექა მანდატურთუაუცესის სამართლის 62-ე, 63-ე და 65-ე მუხლებით ქურდობისათვის გათვალისწინებული სასჯელები სათანადო რედაქციითა და შემოკლებით აღნიშნულია ძველის დადების 43-ე და 44-ე მუხლებში. ზემოაღნიშნულიდან ცხადად ჩანს, რომ ბექას კანონებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ძველის დადებაზე. გიორგი ბრწყინვალის საკანონმდებლო კრებამ გამოიყენა საათაბაგოს სამართლის სათანადო ნორმები მთიულთა სჯულმდებლობისათვის.

უეჭველია, ძეგლის დადების შედგენისას ხევის სასამართლო პრაქტიკაც იქნებოდა გათვალისწინებული. როგორც სჯულმდებლობის ერთ-ერთი წყარო.

ძეგლის დადება საერო სამართლის, ანუ „მსოფლიოსა ამისი“ წიგნია. საეკლესიო სჯულმდებლობის საკითხებს იგი არ ეხება. კანონთა შესავლიდან ჩანს, რომ პთელი რიგი დანაშაულობანი საეკლესიო სასამართლოებს ექვემდებარებოდა და საეკლესიო კანონმდებლობით ისჯებოდა. საეკლესიო სასამართლოების იურისდიქცია გამოყოფილია საერო სასამართლოების იურისდიქციიდან. „სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისაც გინდა სასაქმოსა..., რაც სასჯულო საკითხავი იყოს“, კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს ჰკითხონ და მათი კანონმდებლობის, ანუ „განაჩენთა“ მიხედვით განიხილონ და გადაწყვიტონო.

2. ძეგლის სისტემა

ძეგლის დადება შედგება შესავლისა და 45 მუხლისაგან. იგი სისხლის სამართლის კანონმდებლობას — „სისხლის განაჩენს“ წარმოადგენს. სამოქალაქო სამართლის საკითხებს მხოლოდ ორიოდ მუხლი ეხება.

XVII საუკუნის უძველეს ხელნაწერში, რომელიც „ველმწითის კარის გარიგებასთან“ ერთად აკად. ექვ. თაყაიშვილმა აღმოაჩინა, ძეგლის დადების ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის. ეს სამუშაო, როგორც ჩანს, ვასტანგ ბეფის საკანონმდებლო კომისიას შეუსრულებია და კანონთა ტექსტი მისი შინაარსისა და აზრის მიხედვით ცალკეულ მუხლებად დაუყვია. ვასტანგის კომისია სწორედ ასევე მოექცა ბექა-ალბუღას კანონების ტექსტს, რომელიც, როგორც ცნობილია, 1672 წლის უძველეს ნუსხაში მუხლებად გაკვეთილი არ არის.

ძეგლის დადების ტექსტის გულდასმით შესწავლა, წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი¹, ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო კრებას ეს ძეგლი რამდენიმე მთავარ ნაწილად დაუყვია

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928 წ., გვ. 100-103.

და თვითეული ნაწილისათვის მისი შინაარსის მიხედვით ახალი საკითხის დასაწყისის აღმნიშვნელი წინადადება წარუძღვარება. ზოგიერთი ასეთი, ქვესათაურის მაუწყებელი. წინადადება, რომელიც კანონთა ერთ თავს ან განყოფილებას შეესაბამებოდა, დროთა განმავლობაში, ნუსხის გადაძწერთა მიერ, ალბათ. გამოტოვებულ იქნა. კანონთა ახალი თავის აღმნიშვნელი წინადადებანი ამჟამად შენარჩუნებულია მხოლოდ ხელნაწერთა რამდენიმე მუხლის დასაწყისში (6, 11, 19, 29, 31, 32, 33, 44, 46). საფიქრებელია, განაგრძობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ თავდაპირველად ეს კანონები სულ დაახლოებით 18 ნაწილად უნდა ყოფილიყო დაყოფილი და თვითეულ ნაწილს თავთავისი შესავალი წინადადებები უნდა ჰქონოდაო.

ძეგლის დადების წინამდებარე გამოცემისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით განსვენებული მეცნიერის აღნიშნული სქემით და კანონთა ტექსტი მათი შინაარსის შესაბამისად შემდეგ ძირითად ნაწილებად დაყავით:

- ერისთვისა ასრე გავაჩინეთ (მუხ. 1);
- განმგებლისა ასრე გავაჩინეთ (მუხ. 2—5);
- წვეისბერთა ასრე გავაჩინეთ (მუხ. 6—10);
- ჭეროვანთა ასრე გავაჩინეთ (მუხ. 11, 12);
- ციხისთავთა ასრე გავაჩინეთ (მუხ. 13, 14);
- დედ-მამათა და ძმათა სიკუდილისა ასრე გავაჩინეთ (მუხ. 15, 17, 18);
- სალაშქროს საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხ. 19, 20);
- ცოლის დაგდებისა და წაგურისა საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხ. 21—25);
- ციხის დაქცევისა საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხ. 26);
- ბეთალმანისა საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხ. 27);
- დამსხმელისა ასრე გავაჩინეთ (მუხ. 28, 29);
- უარზანგობისა საქმე ამ წესით გაგვჩენია (მუხ. 30);
- გერშის საქმე ასრე იქმნას (მუხ. 31);
- ასოთ საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხ. 32—39);
- ასაბიათა საქმე ასრე იქმნას (მუხ. 40, 42);
- სამეკობროს საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხ. 43, 44);
- ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხ. 45).

სამართლის წიგნის ამგვარი სისტემა თითქმის მთლიანად მოიცავს კანონთა ყველა მუხლს. რჩება მხოლოდ ორიოდ მუხლი (16 და 41), რომლებიც არ თავსდება ზემოთ მიღებულ სისტემაში. მე-16 მუხლი მამა-შვილთა გაყრისა და სამამულო მფლობელობის საკითხებს ეხება, ხოლო 41-ე მუხლი ლომისის ეკლესიისადმი შეწირული გლეხის მკვლელობის სისხლს განსაზღვრავს. ეს ორი მუხლი უალაგო ადგილას ჩართული ჩანს და, ალბათ, კანონთა თავდაპირველ ტექსტში სხვა ადგილას იყო მოცემული. შეიძლება ამ მუხლების შესაავალი ასეთი იყო: „მამულისა საქმე ასრე არის“ (მუხ. 16), „ლომისის გლეხისა ასრე იყოს“ (მუხ. 41).

ამრიგად, ძეგლის დადება შედგენილია გარკვეული სისტემით, იგი შინაარსის მიხედვით დაყოფილია რამდენიმე მთავარ ნაწილად და თვითეულ ნაწილში გადმოცემულია სისხლისა და სამოქალაქო სამართლის შესაბამისი საკითხები.

ნიშანდობლივია, რომ ვახტანგის კანონთა კრებულში შესული ქართული სამართლის სხვა საკანონმდებლო ძეგლებიც — ბექა-ალბუღას, კათალიკოსთა და თვით ვახტანგის სამართალიც — შედგენილია განსაზღვრული სისტემით, საკითხები დალაგებულია გარკვეული შინაარსისა და თანმიმდევრობის მიხედვით, რაც გამოხატავს ქართული იურიდიული აზროვნების საკმაოდ განვითარებულ დონეს.

ამიტომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მკითხველისათვის უკვე ცნობილი გ. სოსელიას ფშუტე წამოძახილი. ეხება რა ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლების სისტემის საკითხს, იგი აკეთებს ასეთ დამამცირებელ დეკლარაციას: „Показательны памятники права XI—XVIII веков. Они внешне совершенно не разработаны. Не говоря о казуистическом характере норм, отдельные статьи разбросаны в Судебнике без всякой системы“¹. ასეთი სრულიად დაუსაბუთებელი განცხადება, როგორც ზემოთაც დავინახეთ, წარმოადგენს სამწუხარო გაუგებრობას და აიხსნება იმით,

¹ ჟურნ. „Вопросы истории“, № 10, 1956 წ., გვ. 82.

რომ მისი ავტორი არ იცნობს ქართულ კანონმდებლობას ორიგინალში.

ქართული სამართლის ძეგლები როგორც მათი გარეგანი დამუშავების, ისე კანონთა ცალკეული მუხლების შინაარსობლივი დალაგების მხრივ ფეოდალური ეპოქის სხვა ხალხთა საკანონმდებლო აქტების კოდიფიკაციისა და იურიდიული აზროვნების დონეზე დგას. ეს სრულიად უდავოა ყველასათვის, ვინც ზერელედ მაინც იცნობს სხვა ქვეყნების სამართლის ძეგლებს და განზრახ არ ცდილობს დაამციროს თავისი ხალხის ისტორიული წარსული.

ძეგლის დადების ნუსხებში 25-ე მუხლი 21-ე მუხლის გამეორებას წარმოადგენს, რაც გადამწერთა უყურადღებობითა და შეცდომით აიხსნება. ამის გამო 25-ე მუხლი კანონთა ტექსტიდან ამოვიღეთ და სქოლიოში ჩავიტანეთ სათანადო შენიშვნით. ამის შედეგად ხელნაწერის მუხლების ნუმერაცია ჩვენს გამოცემაში შეიცვალა: 26-ე მუხლი წარმოდგენილია 25-ედ და მისი მომდევნო მუხლებიც სათანადო თანმიმდევრობით არის აღნიშნული; ძეგლი მთავრდება 45-ე მუხლით და არა 46-თი, როგორც ეს ნუსხებშია მოცემული.

ჩვენი გამოცემის 29-ე და 30-ე მუხლები კანონთა ტექსტის ვახტანგისეულ ხელნაწერებში შეცდომით ერთ მუხლად (მუხ. 31) არის წარმოდგენილი. სინამდვილეში აღნიშნული მუხლები სრულიად სხვადასხვა საგანს შეეხება და თავისი შინაარსით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მითითებული მუხლის პირველ ნაწილში ლაპარაკია სივისი ცოლის მოტაცებასა ან მკვლელობაზე, ხოლო მეორე ნაწილი უარზანგობის საკითხს ეხება, ე. ი. განსაზღვრავს საუპატიოს (уаага за невестуе) ოდენობას სხვადასხვა წოდების მქონე პირთა მოკვლისათვის. ამის გამო პართებულად მივიჩნიეთ აღნიშნული მუხლის სათანადო ადგილას გაკვეთა.

ვახტანგისეულ ხელნაწერებში 32-ე მუხლი შეცდომით გამოყოფილია ცალკე მუხლად. კანონთა ტექსტში აღნიშნულ ადგილას ჰეროვანთა უარზანგობის ოდენობა არის განსაზღვრული და იგი პირდაპირ აგრძელებს მის წინა,

ე. ი. 31-ე მუხლს. ჩვენს გამოცემაში ხელნაწერის ეს ორი მუხლი ერთ მუხლად (მუხ. 30) არის შეერთებული.

ძველი და შუა საუკუნეების სამართლის საკანონმდებლო ძეგლები უმთავრესად შედგენილია კაზუისტიკური პრინციპის, ე. ი. ცალკეული შემთხვევის მიხედვით. ამავე პრინციპითაა შედგენილი ძეგლის დადებაც.

სამართლის წიგნის მუხლები დანაშაულთა და სასჯელთა სახეების მიხედვით შეიძლება შემდგენიარად დაიყოს:

დანაშაულობანი: მკვლელობა—მუხლები: 1—15, 17, 25, 41, 44; სხეულის დაზიანება—25, 31—39; ცოლის ან საცოლის მოტაცება—22—25; ცოლის დაგდება—21; ქურდობა და ძარცვა—43—44; თვითნებობა—25, 26, 42; საღაშქრო სამსახურზე თავის არიდება—19; თანამონაწილეობა დანაშაულში—40; უპატიობა (უარზანგობა)—30, 31, 37—39.

სასჯელები: სისხლის დაურეება—მუხლები: 1—15 და სხ.: დამნაშავის გაძევება და მამულის სასეფოდ დადება (კონფისკაცია)—1, 3, 5—7, 9, 11—15, 17 და სხ.; გერში—25, 31—39; ბეგარა—2, 8; გაპარსვა—2; სახლის დაწინდვა—5, 6, 7; საუპატიო (უარზანგობის გადასახადი)—30, 31, 37—39; ციხის დაქცევა—26, 42; ნაპარევის სამკეცი საზღაური—43, 44; შურისგება (სისხლის აღება)—22, 25, 28, 29, 44; დასტაქართა წამლის ფასი—31, 35, 37; თანამდებობის (ხევისბერობის) ჩამორთმევა—5, 6, 19.

საშოქალაქო სამართლის ინსტიტუტები: მამულის მფლობელობა მოხუცებული მამისა და შვილის გაყრის შემთხვევაში—16; ბეთალმანი ქონება—27; მეშკვიდრეობა მოკლული ძმის სისხლისა—18; სესხი—45.

სასამართლო წყობილება: 5—7, 9; სასამართლო წარმოება: 28, 44.

ასეთია სამართლის წიგნის სისტემა და ძეგლში გავალისწინებული სამართლის ცალკეული ინსტიტუტები.

III. ძეგლის ზოგიახტი იურიდიული ტერმინი

ძეგლის დადებაში გვხვდება რამდენიმე ძველი იურიდიული ტერმინი, რომელთა შინაარსი ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ამავე დროს მათი მნიშვნელობის გარკვევა აუცილებელია ქართული სამართლის ისტორიის საკითხების შესწავლისათვის საერთოდ და სამართლის წიგნში გათვალისწინებული იურიდიული ინსტიტუტების დახასიათებისათვის კერძოდ.

რადგან წინამდებარე შრომას დართული აქვს სამართლის წიგნის ლექსიკონი, ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთი იურიდიული ტერმინის მნიშვნელობის დადგენაზე, რომლებიც უფრო ვრცელ განმარტებას მოითხოვს.

1. საქონელი

ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტერმინის „საქონელი“. „სასაქონლო“-ს მნიშვნელობის დადგენას. ძეგლის დადების 43-ე მუხლში ნათქვამია: „ვინც რა ვინ მოიპაროს: ცხენი, ცხუარი, ძროხა ანუ სასაქონლო რამე... ნაპარევი ყველა ამ განაჩენით იზღვევოდეს: ერთი, თუთ რაც წარტდომოდეს, და ორი სხუა“. მაშასადამე, ცხენის, ცხვრის, ძროხის ან რაიმე სასაქონლოს მოპარვის შემთხვევაში დამნაშავემ საქონლის პატრონს თვით ნაპარევი უნდა მისცეს და ჯარიმის სახით ორი იმდენი კიდეც სხვა გადაუხადოს.

შუა საუკუნეების ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებსა და წყაროებში დაცული ცნობების შესწავლის საფუძველზე ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ტერმინი საქონელი მხოლოდ უსულო მოძრავი კონეების მნიშვნელობით იხმარება.¹

¹ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 144 — 147.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი აზრი საქონლის მნიშვნელობის შესახებ ზოგიერთს მაინც სადავოდ მიაჩნია. ეხება რა საქონლის მნიშვნელობას, ჩვენთვის უკვე ცნობილი გ. სოსელია წერს: „არ ჩანს, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა—მარტო მოძრავ (უსულო ან სულიერ) ქონებას, თუ უძრავსაც. ერთ ადგილას „საქონელი“ უქონლობასთან არის დაკავშირებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ - „საქონლის“ ქვეშ იგულისხმება ყველაფერი ის, რაც ადამიანს აქვს (შეიძლება ჰქონდეს)“¹. ამრიგად, გ. სოსელიას აზრით, საქონელი გულისხმობს ყველაფერს, რაც ადამიანს აქვს, ე. ი. როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებას. მაშასადამე, მამულიც საქონელი ყოფილა, რადგან მამულიც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს. ქართული საისტორიო წყაროების ელემენტარული ცოდნაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დაერწმუნდეთ ავტორის ზემოთ მოტანილი აზრის სრულ უსაფუძვლობასა და მცდარობაში.

ჩვენ დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმე ცნობას საისტორიო წყაროებიდან და საკანონმდებლო ძეგლებიდან.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც დაწერილია X საუკუნის პირველ მეოთხედში, აღნიშნულია, რომ უშვილო გიორგი ჩორჩანელმა სიკვდილის წინ თავის დისწულებს უანდერძა „აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლესაჲ საჯედართა და მროწეულთაჲ“.² აქ აგარაკნი ნიშნავს სახნავ-სათეს მიწებს, საჯედარი—შესაჯდომ პირუტყვს (ცხენი, ჯორი, აქლემი და სხვა), მროწეული -- მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. ამათგან გამოყოფით აღნიშნულია საქონელი მრავალფერი. მაშასადამე, პირუტყვი არ შედის საქონლის ცნებაში. ეს უკანასკნელი უნდა გულისხმობდეს ყოველგვარ უსულო მოძრავ ქონებას, ყოველგვარ ნივთს.

¹ გ. სოსელია, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, სოხუმი, 1956 წ., გვ. 165.

² ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, 1946 წ., გვ. 96.

ქართული სამართლის მიხედვით სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ნივთების კლასიფიკაციის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული „გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონში“, რომელიც შედგენილია 1084 წელს და ამ სამი წლის წინათ გამოქვეყნდა. წესდების მეორე თავიდან ჩანს, რადარა სახის ქონება შეუწირავს პეტრიწონის სავანისათვის გრიგოლ ბაკურიანისძეს და მის ძმას აბასს. ტიპიკონში აღნიშნულია, რომ შემოგწირეთ ყოვლითა ქონიერებითა მათითა და შემოსავლითა შინა და გარე ძრავადითა და უძრავითა და თვთმოდრავითა ყოვლითა“ - ო.¹ მაშასადამე, ქართული სამართალი XI საუკუნეში და, საგულისხმებელია, უფრო ადრეც იცნობდა ნივთების კლასიფიკაციას უძრავ, მოძრავ და თვითმოძრავ ნივთებად. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება მოწმობს ქართული სამოქალაქო სამართლის განვითარების მაღალ დონეს. ტიპიკონის ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან ირკვევა, რომ „თვთმოდრავი“ ქონება გულისხმობს ყოველგვარ პირუტყვს, სულდგმულ ქონებას.

საქონელი რომ ქართულ სამართალში უსულო მოძრავ ქონებას აღნიშნავდა, ეს კარგად ჩანს თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებიდან, სადაც ნათქვამია: „აღივსნეს ცხენითა, ჯორითა, აქლემითა, საქონელი თვთ მათვე სიკედართა ძლითა აჰკიდეს და წარმოეპართნეს“.... „აღივსნეს საქონლითა, აჰკიდეს საქონელი მათი მათსავე საკედარსა“.² თავისთავად ცხადია, რომ საქონელი არ შეიძლება აქ პირუტყვს გულისხმობდეს, რადგან პირუტყვის სახედარზე (ცხენზე, ჯორზე, აქლემზე) აკიდება უაზროა და წარმოუდგენელი. მემატიაანის სიტყვები აქ სავსებით ნათელია: იგი ამბობს, რომ აჰკიდეს სახედარს ყოველგვარი საქონელი, ე. ი. უსულო მოძრავი ქონება, ანუ ნივთებიო. ასეთსავე ცნობას იძლევა თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი — ბასილი ეზოსმოდვარი: „თუით მოიღებდეს საქონელთა მათთა და

¹ გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონი. ლუვენი, 1954 წ., გვ. 16.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, აკად. კორნ. კეკელიძის გამოცემა. 1941 წ., გვ. 131, 135.

„უით მოასხმიდეს აქლემთა და ჯორთა კიდებულ-
ლა“-ო¹.

„ვეფხისტყაოსანშიც“ საქონელი ყოველგვარი ნივთის უსულო მოძრავი ქონების აღმნიშვნელი ტერმინია. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავიმოწმოთ თუნდაც ორიოდ სტროფა. ავთანდილი თავის ანდერძში როსტევან მეფის წინაშე ამბობს: „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები“ (803), ხოლო ფატმანი ტირილით მოთქვამს: „იავარ-ყვავ საქონელი, უსაბონი თვალნი თლილნი“ (1103). „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულსა და სხვა სტროფებშიც საქონელი უსულო მოძრავ ქონებას ნიშნავს.

მთელი რიგი სიგელ-გუჯრებიდანაც ნათლად ჩანს მნიშვნელობა საქონლისა, როგორც უსულო მოძრავი ქონებისა:² ამ აზრის დასადასტურებლად მოვიტანთ მხოლოდ ორიოდ ცნობას წყაროებიდან.

1460 წლის სიგელში აღნიშნულია: „თუ ვინ ანუ ჯოგი ანუ საქონელი გაგიცეს მტერთა ზედა, თხუთმეტი ათასი დაგიუროს“³. მაშასადამე, ჯოგი სხვაა და საქონელი — სხვა. 1620 წლის ცნობილ განჩინებაში დიდი მოურავისა და ქიხოსრო ჯავახიშვილის სარჩელის გამო ნათქვამია: „სარჩლა ბატონმან მოურავმან: ცალქალამანიძეს მამულიცა ჰქონდა, საქონელიც ჰქონდა და პირუტყვიცა ჰყავდაო“... განჩინების ბოლოში დადგენილია: „რაც ბატონის მოურავის ყმათ გამოიფიცოს..., ის საქონელი და პირუტყვი მისცენო“⁴. როგორც ვხედავთ, განჩინებაში მკაფიოდ გამოყოფილია ერთიმეორისაგან საქონელი და პირუტყვი. რაც უდავოდ იმას ნიშნავს, რომ პირუტყვი არ შედის საქონლის ცნებაში.

ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლები (ბექა ალბულას, გიორგი ბრწყინვალისა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები) საქონლისა და პირუტყვის ასეთსავე მკა-

¹ ბასილ ეხოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, 1944 წ., გვ. 21.

² თ. ქორდანია, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 212, 279, 299, 314, 394, 426, 435 და სხ.

³ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 5.

უიო გამიჯვნას იძლევა და მკვეთრად ასხვავებს ამ ორ ცნებას ერთიმეორისაგან. კანონთა მუხლებში საქონელი უპირისპირდება პირუტყვს, სულადს, ე. ი. სულდგმულ ქონებას.

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის 46-ე მუხლი ადგენს, რომ გათხოვილი ქალის მოტაცების შემთხვევაში დაწნაშავემ ყოფილ ქმარს ორკეცი სისხლი უნდა დაუურვოს და მოტაცებული ქონებაც უნდა დაუბრუნოს. მაგრამ, თუ ქალს თავისი მზითვეიდან რაიმე ქონება — გინა სასაქონლო, გინა პირუტყვი გაეტანოს, მის დაბრუნებას ქმარი ნუ მოითხოვსო.

აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის 92-ე მუხლიც მკაფიოდ ასხვავებს ამ ორ ცნებას: „თუ კაცმან კაცისა დაკარგული პოოს, პირუტყვი თუ საქონელი“, საქონლის პატრონმა მპოვნელს შესაფერი ჯილდო უნდა მისცესო.

XVIII საუკუნის დასაწყისშიც ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში საქონელი და პირუტყვი განსხვავებულია ერთიმეორისაგან. საქონელი ძველში უსულო მოძრავ ქონებას აღნიშნავს, რომელიც უპირისპირდება სულადს, ანუ პირუტყვს: „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას, — მამული, სოფელი, საქონელი, თუ პირუტყვი, — ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის“ (მუხ. 160). სამართლის წიგნის 219-ე მუხლში ნათქვამია, რომ ძმამ ან სახლისკაცმა „საქონლისა და სულადის მესამედი მისცენ“-ო, ე. ი. უსულო მოძრავი ქონებისა და პირუტყვის მესამედიო. ასევე დაქვრივებულ ქალს შეუძლია წაილოს მესამედი „თავის ქმრის კერძი საქონელი და სულადი“ (მუხ. 231), ე. ი. ნივთები და პიოუტყვი. კანონთა 249-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელს პიოუტყვის ან სხვა რამ ქონების — „პირუტყვისა თუ საქონლისა“ მოპარვისათვის. 191-ე მუხლი სახლისა და ქონების დაწვას ეხება და მიუთითებს, რომ დაწნაშავემ დაწარალებულს, რაც „სახლი და საქონელი დასწოდეს“, უკლებლივ უნდა მისცესო. ცხადია, აქ საქონლის სახით ლაპარაკია მოძრავი ქონებისა (ნივთებისა) და არა პირუტყვის დაწვაზე.

დასასრულ, დავიმოწმებთ განმარტებას დიდი ქართველი-ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანისას, რომელიც ამბობს: საქონელი „უსულო ხვასტაგი.“ ე. ი. უსულო ქონებააო, ხოლო ხვასტაგი „საქონელი და საყოლე-ლი“ არისო, ე. ი. როგორც უსულო, ისე სულიერი ქონებააო. მაშასადამე, ხვასტაგი უფრო ფართო ცნებაა. ვიდრე საქონელი, რომელიც ერთ ნაწილს გამოხატავს ხვასტაგისას, რომლის მეორე ნაწილი გულისხმობს პირუტყვს, ანუ სულდგმულ ქონებას — საყოლელს.

ამრიგად, ზემოთ დამოწმებული წყაროების მიხედვით ნათელი ხდება, რომ საქონელი ქართულ სამართალში გულისხმობს ყოველგვარ უსულო მოძრავ ქონებას, ყოველგვარ ნივთსა და განძეულობას. რაც შეეხება სულდგმულ ქონებას — პირუტყვს, იგი არ შედის საქონლის ცნებაში და ამიტომაც ცალკე იხსენიება საისტორიო წყაროებში და საკანონმდებლო ძეგლებში.

2. სანივთო

ძველი ქართული სამართლის მეორე ტერმინი, რომლის მნიშვნელობა დღემდე დაუდგენელია; არის სიტყვა სანივთო. ეს ტერმინი გვხვდება ძეგლის დადების მე-40 მუხლში, სადაც ნათქვამია: თუ მეკობრეთა თავდასხმის დროს მათი ასაბნია (ამხანაგი, თანაშემწე) მოკვდეს, „და მისთა ყმათა სანივთო რა ეშოვნოს, სისხლსა შიგან მიეთასოს“-ო, ხოლო „თუ სანივთო არ იყოს, ნურა მიეთასების“-ო. აღნიშნულ კონტექსტში ამ ტერმინის მნიშვნელობა მეტად ბუნდოვანი და ძნელად გასაგებია. ამიტომ საჭიროა მოვძებნოთ ეს ტერმინი სხვა საისტორიო წყაროებში და საკანონმდებლო ძეგლებში.

ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის 59-ე მუხლში სიტყვა სანივთო გვხვდება ზედსართავი სახელის ფორმით. თუ მამამ რაიმე დანაშაულისათვის ოჯახიდან ნაშვილები გააძევოს და გაძევებული ნაშვილებისაგან მამის მიმართ „გამოჩნდეს სანივთო ღალატი და შეცოდება“, ნაშვილები ჰკარგავს უფლებას მემკვიდრეობაზეო. აქაც გაუგებარია, თუ რას ნიშნავს სანივთო ღალატი.

კანონიკური სამართლის მე-8 მუხლში, რომელიც ბექა-აღბულას სამართლის 168-ე მუხლად არის წარმოდგენილი, ნათქვამია: „რომელმანცა კაცმან, დიდმან ანუ მცირემან, რაისა გინდა ნივთიანისა საქმისათჳს“ ეკლესია გატეხოს ან დაწვას, კრულ, წყეულ და შეჩვენებულ იყოსო. ნივთიანი საქმე აქ დანაშაულის ჩადენის მოტივად არის აღნიშნული, მაგრამ არ ჩანს, რა შინაარსს გულისხმობს კანონმდებელი ამ ცნებაში.

სულხან-საბა ორბელიანს სიტყვა სანივთო არა აქვს ლექსიკონში, ხოლო სიტყვა ნივთი განმარტებული აქვს თანამედროვე მნიშვნელობით და ამბობს: „ნივთი არს ყოველივე საქმარი“ -ო. მაგრამ ეს არ შევლის ტერმინ სანივთოს მნიშვნელობის გაგებას, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სიტყვის ფუძე ერთი და იგივეა. ცხადია, რომ ტერმინი სანივთო წარმოქმნილია სიტყვიდან ნივთი და როგორც ზედსართავი სახელი შეიძლება ნივთისადმი საკუთვნელს ნიშნავდეს. მაგრამ ეს სიტყვა ზემოთ მოტანილ ტექსტებში არსებითი სახელის სახით გვხვდება.

ცნობილ ლექსიკოგრაფს დ. ჩუბინაშვილსაც „ნივთი“ განმარტებული აქვს თანამედროვე მნიშვნელობით. ხოლო ფრაზები: „დაეახელებ ნივთს“ — *иметь под руку*; „რამდონიც კვერცი ინივთო“ — *сколько ящ будеть иметь под рукою*, ე. ი. ნივთება უნდა ნიშნავდეს რაიმეს „ხელთ ქონებას“, „ხელთქერას“. რაც შეეხება ბექას სამართლის 59-ე მუხლის ზემოთ მოტანილ ფრაზას — „სანივთო დალატი“, დ. ჩუბინაშვილს გაგებული აქვს, როგორც *«намена в самом деле»*, მაგრამ ეს განმარტება არ შეესაბამება აღნიშნული მუხლის შინაარსს და მცდარი უნდა იყოს.

საკიროა აღინიშნოს, რომ საერთოდ სიტყვა ნივთი ქართულ საისტორიო წყაროებში იშვიათად გვხვდება. დავით აღმაშენებლის თხზულებაში „გალობანი სინანულისანი“ მოხსენიებულია „ნივთი შეცოდებისაჲ“, რაც, ალბათ, გულისხმობს „ობიექტს დანაშაულისა“ და არა დანაშაულის არსებას, შედგენილობას, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახი-

წვილი ფიქრობდა¹. „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა მხოლოდ ღრჯეოა მოხსენიებული. „მიმდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან“ (347); „იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი“ (147). აქ ნივთი განძის, ქონების მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

თამარ მეფის მიერ 1202 წელს შიო-მღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ სიგელში ნათქვამია: „უკეთუ ნივთიერი რაიმე საკაზნავი იყოს... მოვიდოდით და მოქირვებით ჩუენ კრებულობით ვკაზნიდეთ“. სხვა ადგილას აღნიშნულია: „და თუ დიდი და ნივთნი რაიმე საქმე გამოჩნდეს, რომელი მათგან არ იქნებოდეს, მონასტერი დაუღებდეს, ანუ თუით მემლუიმე და კრებული ჩამოვიდოდეს და ყოვლითურთ უნაკლულოდ ჰკაზმვიდენ“². საფიქრებელია, რომ ნივთიერი საქმე აქ მნიშვნელოვან, ღირებულ, დიდ საქმეს უნდა გულისხმობდეს, რომელსაც ქონებრივი შინაარსი აქვს.

კანონიკური სამართლის ზემოთ მოტანილი ადგილი, სადაც ეკლესიის გატეხის მოტივად აღნიშნულია ნივთიანი საქმე, გულისხმობს ისეთ ქმედობას, რომელიც მიზნად ისახავს სხვისი ქონების დაუფლებას, ქონების ხელში ჩაგდებას. ნივთიანი საქმე ანგარებაა, რომელიც ჩადენილია მატერიალური გამორჩენის, ქონების დაუფლების მიზნით. იმდროინდელი კანონმდებლობიდან ჩანს, რომ ასეთი საქმის ჩადენა ხდებოდა როგორც ფარული — „იდუმალი“, ისე აშკარა — „ცხადად“ გატაცების გზით. უფრო ხშირად „ნივთიანი საქმე“ აშკარა გატაცების, ე. ი. ხელდახელ ძარცვისა და ძალადობის გამოყენებით ხდებოდა.

ნივთიანი საქმე რომ ანგარებას ნიშნავს, ეს მტკიცდება საისტორიო წყაროებში შემორჩენილი ორიოდ ცნობითაც. 1428 წელს მეფე ალექსანდრე და დედოფალი თამარი სწირავენ სვეტიცხოველს საგარეჯოს სოფლებს, „რათამცა მცირედითა რათმე და უნივთოთნაღუაწითა

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეოთხე, ნაკვეთი მეორე, 1929 წ., გვ. 264.

² თ. ყორღანიძე, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა. 1896 წ., გვ. 27, 28.

გუემსახურა ჩუენისა საპატრიარქოსა საყდრისა დედა-ქალაქისა მცხეთისათვის“ - ო.¹ „უნივეთოთ ნალუაწი“ ნიშნავს უანგარო სამსახურს, რომელიც მეფესა და ღვდოვალს გაუწევიათ სვეტიცხოვლის მიმართ. 1537 წლის სიგელში კახთა მეფე ლეონი ჩამოთვლის სვეტიცხოვლისადნინ მუწირულებას და ამბობს: „უნივეთოთა ნალუაწითა მესახურა ჩუენისა განმადლიერებელისა და მცველ-მფარველისა“ მცხეთის ეკლესიისათვის². აქაც, ცხადია, უნივეთო ნალუაწი წმინდა, უანგარო სამსახურს ნიშნავს. ამრიგად, ნივეთიანი საქმე ნიშნავს ანგარებას, ხოლო უნივეთო საქმე — უანგარო, უმწიკველო საქმეს.

ახლა საკიროა დავუბრუნდეთ ტერმინ სანივეთოს. გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის ზემოაღნიშნულ მე-40 მუხლში საქმე ეხება გაძარცვის მიზნით მეკობრეთა მიერ მოწყობილ თავდასხმას. ასეთ ბოროტმოქმედებას, კანონის სიტყვით რომ ვთქვათ, მიზნად აქვს „სანივეთოს შოვნა“. კანონი ამბობს, რომ შეიძლება თავდასხმის დროს ასაბია (თანამონაწილე) მოკვდეს, და მაშინ, თუ „სანივეთო რა ეშოვნოს, სისხლსა შიგან მიეთასოს“-ო, ე. ი. თუ მეკობრეებმა სანივეთო იშოვეს, მოკლული ასაბიის ნათესაეებს სისხლის ანგარიშში სანივეთოდან წილი გამოუყონო. მაგრამ თუ „სანივეთო არ იყოს. ნუ რა მიეთასების“-ო, ე. ი. თუ თავდამსხმელებმა სანივეთო ვერ იშოვეს, დაზარალებულის ოჯახს მოკლული ასაბიის სისხლის ფასად არაფერი არ მიეცემაო.

კანონთა ტექსტის ამგვარი გაგების შემდეგ ბუნდოვან ტერმინ სანივეთოს შინაარსი უფრო ნათელი ხდება. სანივეთო აქ ნიშნავს ნადავლს, ნაძარცვ ქონებას, ყოველგვარ საქონელს, რომელიც მეკობრეებმა ჩაიგდეს ხელში ძარცვა-გლეჯის შედეგად. ზმნა ნივეთება, როგორც დ. ჩუბინაშვილი განმარტავს, ნიშნავს иметь под рукой. ე. ი. რაიმე ნივეთის ხელთ ქონებას, ხელში ჩაგდებას, რაც სავსებით ეთანხმება სიტყვა სანივეთოს მნიშვნელობის ჩვენს

¹ თ. ეორდანი, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 231.

² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი II, 1913 წ., გვ. 34 -- 35

მეორე მოცემულ განმარტებას. მაშასადამე, ბეკა მანდატურთ-
უხუცესის სამართლის 59-ე მუხლში აღნიშნული ს ა ნ ი ე თ ო
დ ა ლ ა ტ ი ისეთ ბოროტმოქმედებას ნიშნავს, რომელიც მი-
მართულია სხვისი ქონების ძალით ხელში ჩაგდებასაკენ, ე. ი.
გამოხატავს იმ დანაშაულს, რომელსაც დღეს ჩვენ ძარცვას
ვუწოდებთ. ასეთია ძველი ქართული სამართლის ტერმინ
ს ა ნ ი ე თ ო ს მნიშვნელობა.

3. სასაქმო

გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის შესავალში და
თვით კანონთა ტექსტში (მუხ. 26) მოხსენიებულია სიტყვა
„სასაქმო“. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა აღნიშნუ-
ლი ტერმინის მნიშვნელობას, წერს: „ეს ტერმინი საბა ო რ-
ბ ე ლ ი ა ნ ს ლექსიკონში შეტანილი არა აქვს და შედარებით
იშვიათად გვხვდება, ამიტომ მისი მნიშვნელობის გამოკვლევა
ისე ადვილი არ არის“¹.

ცნობილ ლექსიკოგრაფს დ. ჩუბინაშვილს თავის ლექსი-
კონში შეტანილი აქვს სიტყვა „სასაქმო“ ძეგლის დადებ-
ის 2ა-ე მუხლის დამოწმებით და განმარტავს, რომ სასაქ-
მო ნიშნავს საქმესო. მაგრამ ეს განმარტება სწორი არ
არის, რადგან სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში საქმე
და სასაქმო ცალ-ცალკეა მოხსენიებული: „გავიგონეთ მათ-
ნი საქმენი, დაეხედით მათსა სასაქმოსა“-ო. ამი-
ტომ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, „საქმე
და სასაქმო ერთი და იგივე არ იყო, არამედ თვითეულს
განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონია“². აკად. ივ. ჯავახიშვილის
აზრით, სასაქმო სასამართლო საქმის, შემთხვევის, კაზუსის
აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს (მკვლევობა, მკრეხელო-
ბა, ცოლის წაგვრა და სხვა)³.

ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში, გარ-
და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნისა, სიტყვა „სასა-

¹ ივ. ჯავახიშვილი; ქართული სამართლის ისტორია, წიგნი
პირველი, 1928 წ., გვ. 98.

² იქვე.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი
პირველი, 1928 წ., გვ. 98—99.

ქმო* აღნიშნული არ არის. სხვა საისტორიო წყაროებში ეს ტერმინი იშვიათად გვხვდება. სანამ უშუალოდ ამ ტერმინის შინაარსის გარკვევას შევუდგებოდეთ, საჭიროა შევჩერდეთ ზოგიერთი მონათესავე ტერმინის მნიშვნელობაზე, რომელთა ფუძე დაკავშირებულია სიტყვასთან „საქმე“.

აქ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ სიტყვიდან წარმოდგება ტერმინი მოსაქმე, რომელიც საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც „საქმის მოქმედი“. მაგრამ ეს განმარტება ჩვენს ძეგლს არ შეესაბამება. მოსაქმე და საქმის მოქმედი ერთი და იმავე მნიშვნელობის ცნებები არ არის.

მეფე ბაგრატ IV-ის (1027 — 1072) ცნობილ სიგელში ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტერთა დავის გამო აღნიშნულია, რომ ვინც ჩვენს შემდეგ ეს განჩინება ნახოთ, — მეფემ, ერისთავმა, თუ ყოველთა კელისუფალთა და საქმის მოქმედთა*, — დაამტკიცეთ და ნუ შეცვლითო. როგორც ტექსტიდან ირკვევა, საქმის მოქმედი გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია, ის აქ მოხელედ ჩანს. ასეთსავე კონტექსტშია ნახსენები საქმის მოქმედი XI — XIII საუკუნეების სხვა სიგელებშიც¹.

უფრო გვიან (XIV — XVIII საუკ.) საქმის მოქმედის ნაცვლად იხსენიება მოსაქმე, როგორც სამეფო კარიდან წარვლენილი მოხელე: „ყოველნო კარისა ჩვენისა მოსაქმენო და ხელისა მქონებელნო“, ესა და ეს გვიბრძანებიაო?; „სხუანო მოხელენო და კარისა ჩვენისაგან წარვლენილნო მოსაქმენო“², ბრძანება ასე შეასრულეთ და ნუ შეცვლითო.

ვახტანგ მეფის სამართლის წიგნიც ამტკიცებს, რომ მოსაქმე მეფის გარკვეული დავალების შემსრულებელი პირი იყო: „თუ ბატონის გაგზავნილი მოსაქმე და მოსამართლე მომჩივართ შუა იჯდეს, ბქობდეს და არიგებდეს“... ასე უნდა მოიქცესო (მუხ. 267).

¹ თ. ყორდანიას, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, 1896 წ., გვ. 4, 9, 12, 26.

² ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, გვ. 16 და 22.

³ ვ. ყუთუაიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955 წ., გვ. 9 და სხ.

ზემოთ დამოწმებული საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ საქმის მოქმედი და მოსაქმე საჯარო, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია, გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილი მოხელეა, რომელსაც დაკისრებული აქვს ამა თუ იმ მოვალეობის შესრულება.

სრულიად განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობა აქვს მოსაქმეს გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებისა და ბექას სამართლის წიგნის მიხედვით. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 48-ე მუხლში ნათქვამია, რომ, როცა შამულიდან გაყენებული ძმასახლში დაბრუნდება, „მამულისა ეგრევე მოსაქმე იყოსო“. მამულის მოსაქმე აქ შამულის კანონიერი მოსარჩლეა, მფლობელობის უფლების მქონე პირია, რაც ნათლად ჩანს სამართლის წიგნის სხვა მუხლებიდანაც. იმავე კანონების 58-ე მუხლის თანახმად, რაინე დანაშაულის გამო მამის მიერ ოჯახიდან გაძევებულ შვილს მამის გარდაცვალების შემდეგ ვერავინ წაართმევს მამულის მფლობელობაზე სარჩელის უფლებას — „მამულისა მოსაქმობასა ვერავინ მოუშლის“. იგივე დებულებაა აღიარებული სამართლის წიგნის 42-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ, თუ მამულის მფლობელს საპატიო მიზეზები აქვს, ხანდაზმულობის გამო ვერავინ წაართმევს სარჩელის უფლებას მამულის მფლობელობაზე — „ხანის გამოსვლისათვის უსაქმობასა არაეინ ეპართლების“. აქრივად, კანონთა დამოწმებული ტექსტის მიხედვით მამულის მოსაქმე არის მამულის მოსარჩლე, მამულის ფლობის უფლების მქონე პირი. მამულის მოსაქმობა — მამულის მფლობელობის უფლებას, ხოლო უსაქმობა მამულის მფლობელობის უფლების დაკარგვას ნიშნავს. მაშასადამე, ამ ტერმინებს აქ განსაკუთრებული შინაარსი და მნიშვნელობა აქვთ.

გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში სიტყვა მოსაქმე მხოლოდ ერთ ადგილას არის მოხსენიებული (მუხ. 28). მაგრამ კანონმდებელი იქვე განმარტავს ამ ტერმინის მნიშვნელობას: „კაცსა ვისმე სხუას კაცთანა საქმე ედვას. და მივიდეს იგი მოსაქმე კაცი და მას კაცს სამართალი სთხოოს“, კანონით დაუგენილი წესის მიხედვით უნდა იმოქმედოსო. აქ ნათლად არის ახსნილი მოსაქმე კაცის მნიშ-

ენელობა. მოსაქმე კაცი ის არის, ვისაც სხვა კაცთან საქმე აქვს („საქმე ედვას“), ვისაც დავა და პრეტენზია აქვს სხვასთან. მაშასადამე, მოსაქმე კაცი მომჩივანია, მოდავე და მოსარჩლე, რომელიც ეძებს და ცდილობს აღადგინოს თავისი პირადი ან ქონებრივი უფლება, რომელიც შელახული და დარღვეულია სხვის მიერ.

ასეთივე შინაარსი აქვს მოსაქმე კაცს აღბუღას სამართალშიაც (მუხ. 87). უკეთუ ვინმემ თავისი ნივთი მიაბარა შესანახად სხვას, ხოლო ამ უკანასკნელს ეს ნივთი „მისმან მოსაქმემან კაცმან წაუღოს“, საქონლის პატრონი ნივთის წამლებს არაფერს ემართლება და მას უნდა მოსოხოვოს, ვისაც შესანახად მიაბარაო. ეს იმიტომ, რომ მოსაქმე კაცს—მომჩივანს, რომელმაც შესანახად მიბარებული ნივთი მოპასუხისაგან წაიღო, როგორც ჩანს, კანონიერი დავა და პრეტენზია აქვს მასთან.

მოსაქმე კაცთან ერთად სამართლის ძეგლებსა და წყაროებში მოხსენიებულია უსაქმო კაციც. დ. ჩუბინა შვილი განმარტავს: უსაქმო—უქმი, *ураждынъ, без дела*; უსაქმოდ—უქმად, *уражди*. მაგრამ ეს განმარტება არ შეესაბამება ამ ტერმინის იურიდიულ შინაარსს. უსაქმო კაცს სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს სამართლის ძეგლებში და სიგელებში. უსაქმო ის არის, ვისაც „საქმე არ ედვას“, ვისაც „არაჲ უც საქმე და სასარჩელოჲ“¹, ე. ი. ვისაც დავა და პრეტენზია არა აქვს სხვასთან, ვისაც კანონიერი სარჩელისა და მოთხოვნის საფუძველი არ გააჩნია. ასეთი მნიშვნელობითაა აღნიშნული უსაქმო კაცი აღბუღას სამართლის 97-ე მუხლში. ამრიგად, „უსაქმო კაცი“ დაპირისპირებული ცნებაა „მოსაქმე კაცისა“, რომელიც მოცილე, მოსარჩლე და მოდავე კაცია. ასეთი მნიშვნელობა აქვს მოსაქმეს და უსაქმოს ძველ ქართულ საპროცესო სამართალში.

ქვათახევის მონასტრის 1299 წ. სიგელში ნათქვამია: „გამოვილე ნოსტე სრული სრულად უსაქმოდ და შეუვა-

¹ თ. ქორდანია, ისტორიული საბუთები..., გვ. 9, 64; ქრონიკები. II, გვ. 241 და სხ.

ლად¹. აქ სიტყვა უსაქმოდ ნიშნავს უდავოდ, უსარჩლელად, მოუდევრად, უცილებლად. ვაჰანის ქუაბთა განგების ერთ-ერთ წარწერაში აღნიშნულია, რომ შემოგწირეთ მამული, რომელიც „ყოვლისა კაცისაგან მოუდევარი და უსაქმო არს“². მოუდევარი და უსაქმო მამული ნიშნავს ისეთ მამულს, რომლის მფლობელობა უდავო და უსარჩლოა, რომელიც არავისგან საცილობელი არ არის. ასეთ ქონებას „მოუდევარ-მოუსარჩლელი“ ქონება ეწოდება. მაშასადამე, ტერმინს უსაქმო, უსაქმოდ ზუსტად განსაზღვრული პროცესუალური მნიშვნელობა აქვს ქართულ სამართალში და სარჩლის უფლების უქონლობას გამოხატავს. ზუსტად ამავე მნიშვნელობით არის ნახმარი ბექას სამართლის ზემოთ მოტანილ 42-ე მუხლში ტერმინი უსაქმობა: აქაც იგი ნიშნავს სარჩლის უფლების უქონლობას, მამულზე მფლობელობის უფლების დაკარგვას.

ზემოთ აღნიშნული ტერმინების (მოსაქმე, უსაქმო, მოსაქმობა, უსაქმობა) შინაარსის დადგენის შემდეგ შედარებით ადვილი ხდება სიტყვა სასაქმოს მნიშვნელობის გამოკვლევა. სამართლის წიგნის შესავალში გიორგი ბრწყინვალე ამბობს: კადა-ცხაოტში რომ შევედით, შევეკრიბეთ იქაურნი ხელისუფალნი, მოვისმინეთ მათი საქმეები და „დავსხედით მათსა სასაქმოსა“-ო; როცა დარიალიდან დავბრუნდით, ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევი და „მოვიკულივეთ მუნებური სასაქმო“. დაბოლოს, თბილისში რომ შემოვედით, საკანონმდებლო კრება მოვიწვიეთ და „ყველა გავაჩინეთ სასაქმო, რა გინდა რა იყოს“. წინასიტყვაობის დასასრულს სჯულმდებელი მეფე ამბობს: „ჩუენ მსოფლიოსა ამისი სისხლი, პატიჟი და სასაქმო გაგჳჩენია“-ო, ე. ი. საერო სჯულმდებლობა შევადგინეთ, რომლითაც განესაზღვრეთ სასჯელები სხვადასხვა დანაშაულობისათვისო. რაც შეეხებინან საეკლესიო სამართლის საქმეებს და „რისაც გინდა სასაქმოსა“, ისინი საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარ-

¹ თ. ქორდანი, ქრონიკები, II, გვ. 170.

² თ. ქორდანი, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, 1896 წ., გვ. 45.

რებიან და მათი სამართალი კათალიკოზსა და ეპისკოპოზებს ჰკითხონო.

თვით კანონთა ტექსტში სიტყვა სასაქმო მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული. სამართლის წიგნის 26-ე მუხლი აწესებს სასჯელს „დარბაზის უბრძანებლად“ ციხის დაქცევისათვის, ე. ი. სამეფო საბჭოს განკარგულების გარეშე ციხის თვითნებურად, შურისძიებითა და მტრობით დანგრევისათვის. ამასთან დაკავშირებით კანონმდებელი აღგენს: ბოროტმოქმედსა და დაზარალებულს შორის „სხვა რაც სასაქმო იყოს“, მათი სამართალი როგორც გავიჩინია, ისე გარდაწყდესო. ასეთია ყველა ჩვენება, რომლებიც დაკულია „სასაქმოს“ შესახებ ძეგლის დადებაში.

ახლა საჭიროა შევეხოთ იმ ორიოდ ცნობას, რომელიც შემორჩენილია სიტყვა სასაქმოს შესახებ სხვა საისტორიო წყაროებში.

მეფე გიორგი I-ის (1565 — 1583) ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნულია, რომ თუ ბატონმა „საქმე სასაქმოთ ჩაუგდოს,“ ასე მოიქცნენ, ხოლო თუ ბატონმა „საქმე სასაქმოთ არ ჩააგდოს, მაშინ არა ზედა აც“-ო¹. „სასაქმოთ ჩაგდება“ ნიშნავს საქმის სადავოდ, სასარჩლოდ გახდომას. ქვათახევის 1299 წლის სიგელში ნათქვამია: „უსაქმო და სასაქმოდ“² გამხდარიყო, ე. ი. უდავო საქმე სადავოდ, საცილობლად შექმნილიყო. ლევან დადიანისადმი (1611 — 1657) მიცემულ ფიცის წიგნში დადებულია პირობა, რომ „არც იქაური მოხელის შეუკითხავად სასაქმოდ მივიდეთ, არც ძალი და უსამართლო უყოთ“-ო³. მაშასადამე, მოხელის უნებართვოდ სასაქმოდ, ე. ი. სადავოდ, სასარჩლოდ არ მივალთო. რუსეთში მოწყენით მყოფი არჩილ მეფე ამბობს: „სასაქმო და სასამართლო სადღა მაქვსო“⁴. ზემოაღნიშნული ცნობებიდან ჩანს, რომ სასაქმო დაკავშირებულია სადავო, საცილობელ საქმესთან. მართლაც, საისტორიო წყაროებიდან ირკვევა სასაქმოს ამგვარი მნიშვნელობა.

¹ საქ. მუხუდმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდი Hd — 1797.

² ქრონიკები, II, გვ. 170.

³ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, გვ. 33.

⁴ თ. ყორღანიძე, ქრონიკები, II, გვ. 517.

სასაქმო ეწოდება ყოველგვარ სადავო, სასარჩლო საქმეს, როგორც სისხლის სამართლის საქმეს, ისე სამოქალაქო ხასიათის დავას. სასაქმოს ასეთი ფართო მნიშვნელობა კარგად ჩანს გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის ზემოთ მოტანილი ადგილებიდან, სადაც სჯულმდებელი მეფე ჩამოთვლის მთიულეთში გახშირებულ სხვადასხვა დანაშაულს: „ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება“ და მრავალფერი „სხუა სასაქმო რა გინდა რა იყოს“-ო. მაშასადამე, სასაქმო ფართო ცნებაა, რომელიც გულისხმობს როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს, ისე სამოქალაქო ხასიათის დარღვევას, ყოველგვარ სადავო და სასარჩლო საქმეს.

სხვა, უფრო გვიანდელ საისტორიო წყაროებში სასაქმოს გამოხატველ ცნებად იხმარება „სასარჩლო საქმე“, „სალაპარაკო საქმე“, „საყარყაშო საქმე“¹, მაგრამ ამ სიტყვებს უფრო განსაზღვრული და სპეციალური მნიშვნელობა აქვთ და ისინი უმთავრესად სამოქალაქო-უფლებრივი ხასიათის დავას გამოხატავენ.

4. გაპატიება

ძეგლის დაღების მე-3 და მე-15 მუხლები ითვალისწინებს გაპატიებას. მე-3 მუხლში ნათქვამია: „თუ ერთ კაცს ეფათერაკოს განზგებელი, კაცი გაიპატიეოს და მამული-საგანგაიძოს“, ე. ი. ვინც განზგებელს მოკლავს, ის უნდა გაიპატიეოს და გაძევებულ იქნეს მამულიდან. მე-15 მუხლი გაპატიებას აწესებს ისეთი დამნაშავის მიმართ, რომელმაც დედა ან მამა მოკლა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე ყოველგვარი სასჯელის ღირსია, მას უნდა „დაემართოს, რაც უარესია ყუელას დამართება და ყოფა: პირიანი გაპატიება, გაძება შეუნდობლად, შემოუშვებლობა, აღმოფხურა და აღმოწყვეტა“. სამართლის წიგნის რუსულ

¹ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი: I, გვ. 115; II, გვ. 60, 125, 417; III, გვ. 535.

თარგმანში პირიანი გაპატიება გადმოცემულია სიტყვით *казнь*, ე. ი. სიკვდილით დასჯა, რაც მცდარია, რადგან სიკვდილით დასჯილის გაძევება, ცხადია, არ შეიძლებოდა.

„სამართალი კათალიკოზთა“, რომელიც XVI საუკუნის შუა წლებშია შედგენილი, სამ ადგილას აღნიშნავს სიტყვა გაპატიებას. მე-ნ მუხლის მიხედვით, ვინც უდანაშაულო კაცს, ან მგზავრს, ან მცველს ნოკლავს, უნდა „განიპატიჟოს“. მე-17 მუხლის თანახმად „მეფის ღალატისათვის“; ხოლო 23-ე მუხლის მიხედვით „უბრალოდ ცოლის დაგდებისათვის“ დამნაშავე უნდა „სიკვდილით განიპატიჯოს“. მე-ნ მუხლში კანონმდებელი არ უთითებს კონკრეტულ სასჯელზე, რომელიც დამნაშავეს უნდა შეეფარდოს. იგი ზოგადად ამბობს, დამნაშავე უნდა „განიპატიჯოს“-ო, ხოლო მე-17 და 23-ე მუხლებში მოცემულია კონკრეტული სანქცია—დამნაშავე „სიკვდილით განიპატიჯოს“-ო.

გაპატიება, როგორც ცნობილია, წარმოდგება სიტყვიდან პატიჟი, რაც ძველ ქართულ წყაროებში სასჯელის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება. ეს სიტყვა სომხურიდან შემოსული ჩანს. პატიჟი გამოხატავს ზოგადი იურიდიული ტერმინის—სასჯელის შინაარსს თანამედროვე მნიშვნელობით. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „გაპატიება“ დამასახიჩრებელი სასჯელის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო.¹

მაგრამ, როგორც ამის შესახებ სხვა ადგილას გვქონდა ლაპარაკი,² განსვენებული მეცნიერი უნდა ცდებოდეს. გაპატიება, ისე როგორც პატიჟი, ზოგადი ტერმინია. პატიჟი ნიშნავს სასჯელს, ხოლო გაპატიება—დასჯას საერთოდ. ამასთან დასჯის ფორმები და საშუალებები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს: სიკვდილით დასჯა, ანუ სიკვდილით გაპატიება, სამუდამო გაძევება, კანონგარეშე გამოცხადება, აღმოფხვრა, აღმოწყვეტა და სხვა. „გაპატიება“ რომ დამასახიჩრებელი სასჯელი

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვეთი II, გვ. 291, 518.

² ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 209.

არ იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში დამასახიჩრებელი სასჯელების აღმნიშვნელი ტერმინები („ასოთა მოკუეთა“, „გახეიბრება“) ცალკეა მოხსენიებული.

შიო-მღვიმის მონასტრის ერთ-ერთ სიგელში, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1227—1240 წლებში, ნათქვამია: „და თუ ჭელისუფალმან ვინმე უპატრონოდ ამისი ცილობა იკადროს და იგი ჭელისუფალი არ გაპატიჟოს ჩემისა სახლისა პატრონმან, ესე ყოველნი წყევანი მას დაუმკვდრენ, ღმერთო“¹. აქ გაპატიჟება დასჯას ნიშნავს საზოგადოდ. ამავე მნიშვნელობით აქვს აღნიშნული ეს ტერმინი თამარ მეფის ისტორიკოსსაც². აწყურის საყდრისადმი ბოძებულ 1775 წლის სიგელში განპატიჟება და დასჯა სინონიმებად—ერთნაირი მნიშვნელობის. სიტყვებად არის ნახმარი. „რასაც მიზეზითა მოშალოს, პირველადმკა შენთა მეგობართა თანა დაისჯებიან და მერმე ძისა შენისა ჯუარის მკუელთა თანაც განიპატიჟების“³.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ გაპატიჟება ქართულ სამართალში ნიშნავს დასჯას საზოგადოდ. სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნშიც, რომლის მე-3 მუხლი ადგენს დამნაშავის გაპატიჟებას, ანუ დასჯას განმგებლის მოკვლისათვის. ხოლო მე-15 მუხლი მოითხოვს მშობლების მკვლელის მიმართ შეფარდებულ იქნეს „პირიანი გაპატიჟება“, ანუ მკაცრი, სასტიკი დასჯა სამუდამო გაძევებითა და დამნაშავის კანონგარეშე გამოცხადებით.

ნ. უარზანგობა

გიორგი ბრწყინვალის კანონების რუსულ თარგმანში სიტყვა „უარზანგობა“ გადმოცემულია როგორც *за индугу*. რუსული თარგმანის რედაქტორი, ცნობილი ისტორიკოსი

¹ თ. ქორდანი, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 55.

² ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის გამოცემა, 1941 წ., გვ. 67, 85.

³ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, 1913 წ., გვ. 48.

დ. ბაქრაძე არასწორად მიიჩნევს ასეთ თარგმანს და აღნიშნავს, რომ სიტყვა „არზანგი“, რომელიც ამჟამად სრულიად უცნობია, მე შემხვდა VI მსოფლიო კრების კანონთა ძველ (X საუკ.) მანუსკრიპტში შემდეგ კონტექსტში: „და მეფემან ფრიადითა არზანგითა წარგზავნა იგინი საყდართა თვსთა სადიდებელად მამისა.“ ამ წინადადებაში „არზანგი“ დ. ბაქრაძეს თარგმნილი აქვს „вознаграждение“-დ¹. მაგრამ არც ეს თარგმანია სწორი.

ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ნ. ურბნელი, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში სპეციალური გამოკვლევა გამოაქვეყნა გიორგი ბრწყინვალის სამართლის შესახებ, მიუთითებს, რომ სიტყვა „არზანგი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არ მოიპოვება, ხოლო სიტყვა „უარზანგობა“ საზოგადოდ არ არსებობს და იგი კანონთა ნუსხების გადაწერტა მიერ სიტყვა „არზანგის“ დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენსო: „ხელთ-ნაწერებში შეცდომით იხსენიება უარზანგობა არზანგისა და არზანგობის მაგიერ“². მაგრამ ნიჭიერი მკვლევარი ცდებოდა. მას მხედველობიდან გამორჩენია სიტყვა „არძანგი“ და მისი მნიშვნელობის ზედმიწევნით ზუსტი განმარტება, რომელიც მოცემულია საბას ლექსიკონში.

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „არძანგი (არძანიგი) სახდომელი პატივი. არზანგი... სახდომელსა პატივსა ეწოდების კაცთათვს ღირსებისაებრ მათისა“. „ო, სახდომელი პატივი ნიშნავს, ვისაც რა პატივი ხვდა, რა პატივი ერგო, მისი ღირსების მიხედვით. მაშასადამე, არძანგი არის პატივი, რომელიც მიეგო ამა თუ იმ პირს მისი ღირსების მიხედვით, ხოლო „პატივი — კეთილის მიპყრობა სიტყვით და საქმით“ - ო, ამბობს დიდი მწერალი და ლექსიკოგრაფი. მაშასადამე, არზანგი პატივია, რომელიც კეთილის მიპყრობას ნიშნავს. ტერმინ არზანგის ქართული შესატყვისი ნ. ურბნელს არა აქვს მოცემული, ხოლო არზან-

¹ Сборник законов Вахтанга VI, 1867 წ., გვ. 91.

² ნ. ურბნელი, ძეგლის დება, 1890 წ., გვ. 67.

ვის მნიშვნელობის განმარტება, რომელსაც იგი იძლევა, მცდარია. მისი აზრით, „არზანგი შეადგენდა განსაკუთრებულ გადასახადს, რომელიც დამნაშავეს უნდა ეზღო დაზარალებულისათვის“¹. ნ. ურბნელის გაგებით, „არზანგი განსაკუთრებული ჯარიმა იყო“, ე. ი. სასჯელს წარმოადგენდა, რომელიც დამნაშავეს უნდა შეეთარღებოდა. მაგრამ ასეთი შეცდომა, როგორც აღენიშნეთ, იმის შედეგი იყო, რომ მან ვერ შენიშნა „არძანგი“ საბას ლექსიკონში, ხოლო სიტყვა „უარზანგობა“ ხელნაწერების დამახინჯებულ ფორმად მიიჩნია.

არზანგი, ანუ არძანგი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ფასს, პატივს, ღირსებას. რაკი „არზანგი“ ქართულად პატივსა და ღირსებას ნიშნავს, ცხადია, ის არ შეიძლება განსაკუთრებული ჯარიმა ან სასჯელი იყოს, როგორც ამას ნ. ურბნელი თქვობდა. ეს კარგად ჩანს სხვა ქართული საისტორიო წყაროებიდან, სადაც „არზანგი“ გაგებულია როგორც პატივი, ღირსება.

„ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველი ამბობს: როცა თარგამოსმა ქვეყანა გაუყო თავის რვა შვილს, „ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისცა ჰაოსს, ხოლო შუდთა ამათ მისცა ხუედრი არძანგებისაებრ მათისა“². აქ „არძანგებისაებრ მათისა“ ნიშნავს: მათი ღირსების მიხედვით, ღირსებისამებრ. თამარ მეფისის ტორიკოსი წერს, რომ იყო „განშუენებული საჯდომი თუთოეულისა კაცისაჲ, არძანიგისაებრ საქმეთა, ნაქმართა მისთა“³, ხოლო თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი გადმოგვცემს თამარის სიტყვებს, მიმართულს მისი ქვეშევრდომებისადმი. „სარგებელსა და სათნოსა თქუენსა არა დაეაკლე თუთოეულისაებრ არზანგისა“⁴. რა ედენ პირველ მოწამის მარტვილობაში ნათქვამია: როცა ვახტანგ გორგასალმა სპარს-

¹ ნ. ურბნელი, ძეგლის დება, 1890 წ., გვ. 66.

² ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1955 წ., გვ. 4.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კეკელიძის გამოცემა, 1941 წ., გვ. 114.

⁴ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხობება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, 1944 წ., გვ. 33.

თა ზეფის ასული ითხოვა ცოლად, „დიდითა პატივითა და შემსგავსებულითა არ ზანიგითა პატივი სცა მას“¹.

ზემოთ დამოწმებული საისტორიო ხასიათის ლიტერატურულ ძეგლებში „არზანგი“ ნიშნავს „ღირსებას“, ხოლო „არძანიგისაებრ“ — ღირსების მიხედვით, ღირსებისამებრ.

სიტყვა არზანგიდან წარმოდგა უარზანგობა, რომელიც მართებულად წარმოქმნილი ფორმაა და არა გადაშწერთა მიერ დამახინჯებული არზანგი. როგორც ნ. ურბნელი ფიქრობდა. ქართულ კანონმდებლობაში უარზანგობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის დარგის გარკვეულ იურიდიულ ტერმინს. ეს ტერმინი მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში გვხვდება და სხვა ქართულ საკანონმდებლო ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება. ამიტომ მისი ქართული შესატყვისის ძოძებნა და დადგენა საკმაოდ ძნელი ხდება.

უარზანგობა არზანგის საწინააღმდეგო შინაარსის შემცველი ცნებაა. მისი ოპოზიტია, არზანგი კი პატივის ნიშნავს. მაშასადამე, საქიროა მოვნახოთ „პატივის“ საწინააღმდეგო სიტყვა. ასეთ იურიდიულ ტერმინად ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში და საკანონმდებლო ძეგლებში იხმარება უპატიობა (незачетне), რაც ნიშნავს ყოველგვარ უპატიურ მოქმედებას, რომელიც მიმართულია დაზარალებულის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ ასეთი უპატიური მოქმედება შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო პიროვნების, არამედ წმიდა ადგილებისა და სხვა საპატიო ობიექტების წინააღმდეგ (ეკლესია, ხატი, სამლოცველო და სხვა). უპატიობა პატივის შელახვას ნიშნავს, ხოლო უპატიო—პატივშლახულს, პატივიმხდილს.

ტერმინი უპატიობა საისტორიო წყაროებში და საკანონმდებლო ძეგლებში შედარებით იშვიათად გვხვდება. აქ საქიროდ მიგვაჩნია სხვადასხვა წყაროებიდან დაეიმოწმეთ

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1946 წ., გვ. 242.

ივენ მიერ შენიშნული რამდენიმე ადგილი. 1460 წლის სიგელში ნათქვამია: „და თუ სხუა ანუ უპატრიობა, ანუ ჰუქარისა თხოვნა და ანუ სხუა რამე საქმე... ვინ დაგიშაოს“, ჰისი საქმე ამ წესით გაიჩინოს.¹ 1470 წელს ლარგვისის მონასტრისადმი ქსნის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის მიერ ბოძებული გუჯარი ადგენს: „თუ ვინ იპაროს, შუდ ნაწილად ეზღვიოს, და მონასტრისაჲ უპატრიობაჲ და ებრჭობოდეს..., დედაბერთა და მონაზონთა უპატრიობაჲ პატრონისა ბრძანებითა წინამძღურისაგან და ძმათაგან მოჲკითხოვოდეს და გაველინებოდეს“.² იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის 1527 წლის წყალობის წიგნში ნათქვამია: უკეთუ ვინჲმ „უპატრიობა იკადროს ან ეკლესიის გატეხით, ან შინა იახლომით... რა გინდა რა უპატრიობა ჰკადროს, რაკვარც ღიღისა საყდრისა დაეთარშიგან ეწეროს მისის საყდრის შვილის უპატრიობა, ისრე დაეურვებოდეს“.³

დაბოლოს, დავიმოწმებთ კიდევ ერთ საბუთს. ლევან II დადიანის (1611—1657) მიერ ხოფის ტაძრისადმი ბოძებულ სიგელში ნათქვამია, რომ ძველი იადგარი ვნახეთ, რომელშიაც ასე ეწერა: „ვინცა ხოფისა საყდარსა გარეშემო უპატრიობა იკადროს, ანუ გლეხი დაურბიოს, ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ან სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა..., ვინცა ძმათაგანსა უპატრიობა ჰკადროს, ანუ ავინოს, ათასი პოტინატი დაეურვოს“⁴.

ზემოთ დამოწმებულ საბუთებში უპატრიობა ფართოდ არის გაგებულნი. იგი გამოხატავს ყოველგვარ უპატიურ მოქმედებას, რომელიც მიმართულია პიროვნებისა და ეკლესიის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ.

უპატრიობა აღნიშნულია ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებშიც. აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნი ადგენს: „თუ დაკოდითა საგერშო აჩნდეს და უპატრიობა, როგორც ზემოთ სწერია, მითვე

¹ ქრონიკები, II, გვ. 279.

² საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910 წ., გვ. 560.

³ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, 1921 წ., გვ. 9.

⁴ საქართველოს სიძველენი, I, გვ. 27.

წესითა და უ უ რ ვ ო ს“-ო (მუხ. 97), ე. ი. თუ დაზარალებულს კრილობა (საგერშო) აჩნდეს და მის მიმართ სხვა უპატიობას ჰქონდა ადგილი, დამნაშავემ კანონით დადგენილი წესის მიხედვით უზღოსო. უპატიობის და ურვება საზღაურის გადახდას ნიშნავს უპატიური და შეურაცხყოფელი მოქმედებისათვის.

ვახტანგ მეფის სამართალიც იცნობს პიროვნების მიმართ უპატიურად მოპყრობას. სამართალი ადგენს: „შვილს მამის უპატიურობა არ მართებს, ბატონთან ილაპარაკონ და ისრე გარიგდენ“-ო (მუხ. 80).

გიორგი ბრწყინვალის სამართალი არ იცნობს ტერმინ უპატიობას და უპატიობის და ურვების ნაცვლად ხმარობს „უარზანგობის და ურვებას“. ძეგლის დადება ადგენს: „თუ გერში საჩინოდ იყოს და დააჩნდეს, სამი უარზანგობა დაუურვოსო“ (მუხ. 31), მაგრამ „თუ არ აჩნდეს, თვთოს დაკოდლობისათვის თვთო უარზანგობა და იურვოს“-ო (მუხ. 37); „საჩინოთა კბილთა ჩაყრევილებისათვის თვთოს კბილისათვის ოროლი უარზანგობა და იურვოს“ (მუხ. 38), ხოლო „უჩინართა ჩაყრევიებისათვის თვთოს კბილისათვის თვთო უარზანგობა და იურვოს“ (მუხ. 39).

კანონთა მუხლების ზემოთ მოტანილ ტექსტში უარზანგობის და ურვება ნიშნავს უპატიობის და ურვებას, ე. ი. განსაკუთრებული საზღაურის გადახდას უპატიობის, ანუ უღირსი საქმის ჩადენისათვის. ასეთ საზღაურს, ანუ გადასახადს ძველ ქართულ სამართალში „საუპატიო“ (плата за неучестие) ეწოდებოდა. საუპატიო სისხლის სამართლის სასჯელია (უმთავრესად ქონებრივი), რომელიც დამნაშავეს უნდა შეეფარდოს უპატიობისათვის (за неучестие). საუპატიოს ასეთი მნიშვნელობა კარგად ჩანს ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებიდან და სიგელგუჯრებიდან.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში ნათქვამია: „თუ ეკლესიასა დაესხნენ, ხუთი ათასი თეთრი და უურვონ საუპატიოდ“ (მუხ. 115); „სადაც მაცხოვრისა ხატი ესუენოს სამცველოდ ქუეყნისა, საუპატიო ოცდაათი

გლები მართებს“ (მუხ. 121); თუ ქურდებმა ჯოგი წაასხან, „საუპატოოდ დაეურვოს: მამაკაცისა—ორი ათასი, დიაცისა--სამი ათასი და ჯოგი უკლებლად შეექცეს“-ო (მუხ. 141).

საუპატოო, როგორც პატივისა და ღირსების შელახვისათვის დადგენილი განსაკუთრებული სასჯელი, აღნიშნულია ვახტანგის სამართალშიც. კაცმა რომ კაცს ქურდობა შესწამოს, თუ სხვა რამ „უპატოური შექცადროს“, და შემდეგ გამოირკვეს, რომ ის კაცი მართალია, ცილისმწამებელმა დაზარალებულს „საუპატოო უნდა მისცეს“ (მუხ. 159). თუ სასამართლოში საქმის გარჩევის დროს მომჩივანი მოპასუხეს ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებს, დამნაშავემ დაზარალებულს კანონით გათვალისწინებული სისხლი უნდა დაუურვოს და, გარდა ამისა, მოსამართლეს „საუპატოო მიართვას, რომე ურიგო უკადრებია“ (მუხ. 267).

ანალოგიური შინაარსის ცნობებია დაცული საუპატოოს შესახებ სიგელ-გუჯრებშიც.¹ დაეიმოწმებთ მხოლოდ ორიოდე წყაროს. იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის 1545 წ. სიგელში ნათქვამია: „მხეციძესა მრავალი ჩვენი საქმე და უპატოობა შევარდა, და ჩვენ საუპატოოდ გამოვართვით, და ჩვენ ჩვენის სულისათვის შემოვსწირეთ“². 1695 წ. მცხეთის სიგელში აღნიშნულია: რაც „თქვენზედ დავაშავეთ, მის საუპატოოდ... შემოვსწირეთ მცირე შესაწირავი, — კრწანისსა და ტაბაჭმელას შუა შინდისი“.³

ყველა ზემოთ დამოწმებული წყაროდან ნათელი ხდება, რომ ტერმინი არზანგი ძველ ქართულ მწერლობაში იხმარება „პატივის“, „ღირსების“ მნიშვნელობით. ამ ტერმინიდან წარმოიქმნა უარზანგობა, რომელიც მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში იხსენიება. უარზანგობა ქართულ სამართალში ნიშნავს განსაკუთრებულ გადასახადს—უპატობის საზღაურს, ანუ საუპატოს, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს

¹ ქრონიკები, II, გვ.: 209, 308, 310, 338, 433, 515; საქ. სიძველენი, II, გვ.: 18, 108, 133 და სხ.

² საქართველოს სიძველენი, I, გვ. 20.

³ ხ. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი IV, 1913 წ., გვ. 70.

დაზარალებულის პატივისა და ღირსების შელახვისათვის, მის მიმართ უპატიური და შეურაცხმყოფელი მოქმედებისათვის.

უარზანგობა სისხლის $\frac{1}{40}$ ნაწილს შეადგენს, რაც კარგად ჩანს კანონთა 30-ე მუხლიდან. ვისი სისხლის ფასიც 12000 თეთრია, მისი უარზანგობა უდრის 300 თეთრს; აზნაურთა, ხევისბერთა სისხლი 6000 თეთრია, ხოლო მათი უარზანგობა უდრის 150 თეთრს; ჰეროვანთა სისხლი 1200 თეთრს შეადგენდა, ხოლო მათი უარზანგობა—30 თეთრს. უარზანგობის ოდენობა სისხლის ოდენობაზე, მის მეტ-ნაკლებობაზეა დამოკიდებული: „ვისიც სისხლი უფროსი იყოს ანუ უმცრო, უარზანგობაც ამ გაჩენით იყოს“-ო, ნათქვამია კანონში.

ნ. ულუსობა

ულუსი, ულუსობა მონღოლური სიტყვაა, რომელიც მონღოლთა ბატონობის დროს შემოვიდა ქართულ ენაში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ულუსი თურქთა ენაა. ბანაკს ჰქვან“. ეს ტერმინი თურქთა ელის, ანუ ქოჩადნავალი, მომთაბარე ხალხის ქოხმახებისა და კარვების ბანაკის (становище жидых хижин кочевников) მნიშვნელობით არის გაგებული ცნობილი ლექსიკოგრაფის დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც. ძეგლის დადების შესავალში მოხსენიებული სიტყვა ულუსობა დ. ჩუბინაშვილს განმარტებული აქვს როგორც „სიცბილი, სიბორჯე, неместно“. მაგრამ ასეთი განმარტება ვერ გვაძლევს სიტყვა ულუსობის იურიდიულ შინაარსს და, მაშასადამე, ვერ გამოხატავს ამ ტერმინის აზრს იმ გაგებით, როგორც ის ნახმარია სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში.

აღნიშნული ტერმინის იურიდიული მნიშვნელობის დადგენისათვის აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ის, თუ რა კონტექსტშია მოცემული სიტყვა ულუსობა თვით სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში და ამავე დროს მოვძებნოთ, გვაქვს თუ არა ამ სიტყვის სინონიმი კანონთა ტექსტში. ძეგლის დადების შესავალში სჯულ-

ბდებელი მეფე, აღნიშნავს რა იმ დროს მთიულეთში გავრცელებულ სხვადასხვა სახის დანაშაულს და მათ გამომწვევ მიზეზებს, ამბობს: „გაეიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის მსუბუქობისათჳს ადვილ ჩანდა ჩუენდა ერთმანეთის ლალატად დასხმა, და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა“ - ო.

სიტყვა „ულუსობას“ აქ იმ უსამართლო ქმედობათა კრებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რომლებიც ჩამოთვლილია ტექსტში ამ სიტყვის წინ.

ცნობილია, რომ ძველ ქართულ სამართალში ბოროტმოქმედების აღმნიშვნელ ზოგად იურიდიულ ტერმინად „დანაშაული“ არ იხმარებოდა. სიტყვები დანაშაული და დამნაშავე, თუ არ ვცდებით, ქართული სამართლის ტერმინოლოგიაში მე-17 საუკუნიდან შემოჴის. დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის 1620 წლის ცნობილ განჩინებაში დანაშაულობანი „დანაშავები“ სიტყვით არის გადმოცემული. 1670 წლის განჩინების წიგნში ნათქვამია, რომ „ზოგი წყენა და დანაშაული ერთმანეთს შეუფარდეთ და ისრე ჩავარონინეთ“-ო¹. XVII საუკუნის დასასრულის (1681 — 1694 წ.წ.) ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია: „რაგინდ დიდი რამ დანაშაული მქონდეს.., ამდონი შუამავლობა მიყავით, რომე მე დანაშაულზე დამიც თავი, დავაშავე; საქმემ და დრომ ასე მოიყვანა“-ო².

XVIII საუკუნის დასაწყისში (1705 — 1709 წ.წ.) ვახტანგ VI მ ტერმინები „დანაშაული“ და „დამნაშავე“ დააკანონათავის სამართლის წიგნში (მუხ. 76, 95, 236, 253), რის შემდეგ ეს სიტყვები მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ კანონმდებლობასა და ლიტერატურაში თანამედროვე მნიშვნელობით.

საბას განმარტებით, დანაშაული — „შეცოდება, ესე იგი შავად ქმნა არს საქმისა“. მაშასადავე, დანაშაულის მნიშვნელობას ძველ ქართულ სამართალში სიტყვა შეცო-

¹ საქართველოს სიძველენი, II, გვ. 55, 133.

² ქრონიკები, II, გვ. 514.

დება გამოხატავდა. მართლაც, ძველი ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში „დანაშაულის“ ნაცვლად იხმარება ტერმინი „შეცოდება“, რომელიც საბას განმარტებით ცოდვის ქნას ნიშნავს.

ბექა-ალბულას სამართლის წიგნს ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ხელნაწერში (1672 წ.) ასეთი სათაური აქვს: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“, ე. ი. ადამიანთა ყოველგვარი დანაშაულის სამართლის წიგნიო. თვით კანონთა ტექსტშიც (მუხ. 40, 55, 58, 59) შეცოდება, შენაცოდარი დანაშაულის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება. ასეთივე შინაარსი აქვს ამ სიტყვას მეორე საკანონმდებლო ძეგლშიც — ბაგრატ ქურაპალატის სამართალში (მუხ. 101, 103). გიორგი ბრწყინვალის კანონების მიხედვით, ერისთავის მკვლელობა არის „უმსგავსო და უსაზომო შეცოდება“, ე. ი. არნახული და განუზომელი, უმძიმესი დანაშაული. მაშასადამე, სიტყვა შეცოდებას აქაც დანაშაულის მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ამასთან ერთად როგორც ბექა-ალბულას, ისე გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნი იცნობს სხვა ტერმინებსაც, რომლებიც „დანაშაულის“ მნიშვნელობით იხმარება. ბექას სამართლის წინასიტყვაობაში, რომელიც ალბულას ეკუთვნის, დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვებია უწესო საქმე და დასაურვებელი საქმე. საკუთრივ ალბულას სამართლის წიგნის შესავალში დანაშაულს ავი საქმე, ხოლო დამნაშავეს ავის მქნელი, ავისა მოქმედი კაცი, მოავე კაცი ეწოდება.

ზემოთ აღნიშნულ ტერმინებს გიორგი ბრწყინვალის სამართალიც იცნობს. ძველის დადების შესავალშიც დანაშაულს უწესო საქმე ეწოდება. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა კანონთა მე-15 მუხლში. ბოროტმოქმედების აღმნიშვნელია აგრეთვე სიტყვა ავი, რომელიც კანონთა შესავალში ასეთ კონტექსტშია მოცემული: „აწ ყუელა გაეაჩინეთ, რა რიგად ვის რა ეყოს ერთმანეთის ავი, — სისხლი დგეს ანუ სხვა... რა გინდა რა იყოს“. აქ სიტყვა ავი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც გამოხატავს ყოველგვარ ბოროტმოქმედებას.

სამართლის წიგნის შესავალში კანონსაწინააღმდეგო ძალმომრეობა აღნიშნულია სიტყვებით: მიმდლავრებულნი საქმე. თამარ მეუის პირველი და მეორე ისტორიკოსის შრომებში სიტყვა მიმდლავრებულნი იხმარება დაზარალებულის მნიშვნელობით¹. მაგრამ ამ სიტყვას ძეგლის დადებაში ასეთი მნიშვნელობა არა აქვს: მიმდლავრებულნი საქმე აქნიშნავს ყოველგვარ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც ჩადენილია თვითნებობისა და უხეში ძალადობის შედეგად. ამ სიტყვას ზოგადი, კრებითი მნიშვნელობა აქვს, რაც კარგად ჩანს თვით კანონთა შესავლიდანაც, სადაც ნათქვამია: „...სხუათა მრავალთა უწყესოთა მიმდლავრებულთა საქმეთა“-ო, ან კიდევ: „დიდი უსამართლო და მძლავრებულნი ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა“-ო.

ზემოთ მოტანილი სიტყვების შემდეგ ჩამოთვლილია მთიულეთში გაერცელებულ დანაშაულობათა ცალკეული სახეობანი (ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი. ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება) და იქვე აღნიშნულია „მრავალფერნი ულუსობა“. კონტექსტის მიხედვით ექვს გარეშეა, რომ მრავალფერნი ულუსობა იგივეა, რაც მრავალი მიმდლავრებულნი საქმე, რომელიც ყოველგვარ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, ე. ი ბოროტმოქმედებას, დანაშაულს გამოხატავს.

ამრიგად, მონღოლური სიტყვა ულუსობა ქართულ სამართალში საკუთარი მნიშვნელობით იხმარება: იგი სისხლის სამართლის ტერმინია, რომელიც ყოველგვარ დანაშაულს აღნიშნავს და ამით არსებითად განსხვავდება სიტყვა ულუსის იმგვარი მნიშვნელობისაგან, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

7. ჰეროვანი

სიტყვა ჰეროვანი სხვა საისტორიო წყაროებში არ გვხვდება და მხოლოდ ძეგლის დადებაში იხსენიება რამდენიმე ადგილას. იგი აღნიშნულია როგორც სამართლის წიგ-

¹ ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, 1941 წ., გვ. 115; ბასილი ი. ს. ს. მოძღვარი. ცხოვრება მეფეთ - მეფისა თამარისი, 1944 წ., გვ. 30.

ნის შესავალში, ისე თვით კანონთა ტექსტშიც. როცა თბილისიდან გავემკზავრეთ და ჯადა-ცხაოტში მივედით, „მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ჭვეისბერნი და ჰეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი“ -ო, ამბობს სჯულმდებელი მეფე კანონთა შესავალში. აქ ჰეროვანნი ხვეისბერთა გვერდით არიან მოხსენიებულნი და აღნიშნავენ ხევის მოსახლეობის წარმომადგენელთა გარკვეულ ჯგუფს, რომელიც მეფეს მოუწვევია ხვეისბერებთან ერთად მთიულეთში შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად.

სამართლის წიგნის წინასიტყვაობის სხვა ადგილას ნათქვამია: „შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ჭვეისთავნი და ჭვეისბერნი და ჰეროვანნი“, დავსხედით და შევუდექით კანონთა შედგენასო. ჩაშასადამე, მეფეს საკანონმდებლო კრებაზე სხვა პირებთან ერთად მთიულეთის სჯულმდებლობის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად ჰეროვანნიც მოუწვევია და საჭიროდ უცვნია ხევის მცხოვრებთა ამ წარმომადგენლების დასწრება დარბაზის, ანუ სახელმწიფო საბჭოს საგანგებოდ მოწვეულ სხლომაზე.

დამოწმებულ ტექსტში ჰეროვანნი ცალკე და განსხვავებულად არიან მოხსენიებულნი, მათ საკუთარი ადგილი აქვთ მიჩნეული, ისინი ცალკე დგანან და საკანონმდებლო კრების სხვა მონაწილეთაგან განსხვავდებიან. თვით კანონთა ტექსტშიაც ჰეროვანი ცალკეა აღნიშნული: „ეინც ჰეროვანი კაცი მოკლას ჰეროვანმანვე კაცმან, სამს წლამდის გარდაიხუეწოს და სისხლი ორასი დრაჰკანი დაეურვოს—ათას ორასი თეთრი და მაძული სასეფოდ დაედეას“ (მუხ. 11). აღნიშნული მუხლი მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში განსაზღვრულია ჰეროვანი კაცის სისხლის, ანუ საზღაურის ოდენობა, რომელიც მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავემ უნდა გადაუხადოს ჰეროვანის ოჯახს. ჰეროვანის სისხლი 200 დრაჰკანს, ანუ 1200 თეთრს უდრის (დრაჰკანი=6 თეთრს). სისხლი მთიულეთში, ისე როგორც სხვაგან საქართველოში, ადანიანის საგვარეულო ღირსების, მისი ქონებრივი ან უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით იყო დაწესებული. სამართლის წიგნის 30-ე მუხლიდან ჩანს, რომ ზოგიერთი საპატიო პირის სისხლი 12000 თეთრს უდრიდა,—ეს იყო სისხლის უმაღლესი

ფასი. გამგებლის ან ხევისბერის სისხლი 6000 თეთრს უდრიდა, ციხისთავისა—3500-ს, ხევისბერის განაყოფი კაცისა—3000-ს, ლომისის ეკლესიის გლეხისა—1500-ს, ჰეროვანისა—1200-ს.

ზოგიერთი ჰეროვანი შეიძლებოდა დარბაზის ცნობასა ღირსი ყოფილიყო, მაშინ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სახელმწიფო საბჭოსათვის უნდა მოეხსენებინათ, ე. ი. მისი ქმედობა დარბაზის ქვემდებარე, მისი განსჯის საგანი ხდებოდა. ამასთან ჰეროვანის არა ყოველგვარი საქმე, არამედ მხოლოდ ისეთი მძიმე ბრალდების საქმე, როგორც იყო ჰეროვანის მიერ ჰეროვანის მოკვლა, დარბაზისათვის უნდა ეცნობებინათ. მაგრამ ჰეროვანი „თუ დარბაზს არა ღირს იყოს ცნობასა, თუთ ერისთავმან და განმგებელმან“ განსაჯონ მისი საქმეო. რაც შეეხება უბრალო, მდაბიო ადამიანს, თავისთავად ცხადია, რომ მისი საქმე დარბაზს არ ეკითხებოდა და მისი განსჯა-გარჩევა ადგილობრივი მოხელეების მიერ ხდებოდა.

ჰეროვანის მიერ ჰეროვანის მოკვლის შემთხვევაში, სისხლის დაურევების გარდა, დამნაშავე სამი წლით უნდა ყოფილიყო გაძევებული. მაგრამ, თუ ხევისბერი მოკლავდა ჰეროვანს, იგი მხოლოდ ერთი წლით უნდა გაეძევებინათ მამულიდან და მას ასევე სისხლი უნდა დაეურვებინა მოკლული ჰეროვანის ოჯახისათვის.

ძეგლის დადების რუსულ თარგმანში სიტყვა ჰეროვანი გადმოცემულია, როგორც „отличнейший из жителей“. რუსული გამოცემის რედაქტორის, ისტორიკოს დ. ბაქრაძის აზრით, ჰეროვანის თარგმნა სიტყვით „отличнейший“ არასწორია და უფრო საფუძვლიანი იქნებოდა გვეთარგმნა ჰეროვანი от слова ери „народ“, значит из числа, народа“, но не „отличнейший из народа“¹.

ბ. ურბნელი არ იზიარებს დ. ბაქრაძის აზრს და ამტკიცებს, რომ ჰეროვანი არ ნიშნავს „ერისკაცთაგანს“ — „из числа народа“, რომ ჰეროვანი სწორედ „отличнейший“ არისო. მისი აზრით, ჰეროვანის ნაცვლად კანონთა ტექსტში უნდა იყოს ჰაეროვანი, ხოლო ჰაეროვნება

¹ Сборник законов царя Вахтанга VI, 1887, гл. 86.

საბას განმარტებით კეთილმოვლომილებას ნიშნავს¹. მართლაც, ჰაეროვანის მნიშვნელობის გაგებისათვის საბამიუთითებს სიტყვაზე „ლამაზი“, სადაც იძლევა განმარტებას: „ჰაეროვანი—რომელი ხატკეთილობით მივლომილი იყოს“.

მაგრამ ნ. ურბნელის მთელი ეს მსჯელობა გაუგებრობაზეა დაფუძნებული. სიტყვა ჰეროვანს არათფერი აქვს საერთო ჰაეროვანთან. სიტყვა ჰაეროვანი ადამიანის ფიზიკური თვისების, მისი სილამაზისა და სიმშვენიერის გამომხატველი ცნებაა, ხოლო ჰეროვანი ადამიანის გარკვეულ საზოგადოებრივ და უფლებრივ მდგომარეობას აღნიშნავს. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს ვახუშტის გეოგრაფიის თუნდაც იმ ადგილიდან, სადაც იგი იძლევა მთიულეთის აღწერას. მთიულნი არიან „ჰაეროვანნი, მწენნი და მბრძოლნი, ერთგულნი, ბრიყ-უსაქციელონი, საქურველთ მოყვარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყობნი“².

გიორგი ბრწყინვალეს საკანონმდებლო კრებაზე საერთოდ ჰაეროვანნი რომ მოეწვია, როგორც ამას ნ. ურბნელი ფიქრობდა, მაშინ ყველა მთიულის ჩამოყვანა მოუხდებოდა თბილისში. მაგრამ მან სხვა მოხელეებთან ერთად დარბაზის სხდომაზე მხოლოდ ჰეროვანნი მოიწვია, როგორც ეს აღნიშნულია კანონთა წინასიტყვაობაში.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ ნ. ურბნელის შრომაში ამ ორი სრულიად განსხვავებული შინაარსის მქონე ტერმინის უბრალო აღრევასთან როდი გვაქვს საქმე. მას არსებითადაც არასწორად აქვს გაგებული ჰეროვანის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მისი აზრით, „ჰაეროვნობა ცალკე იურიდიულს წყობასა და ჯგუფს წარმოადგენდა, ჰაეროვანი უბრალო კაცი არ იყო და განსაკუთრებული სისხლი სდიოდა“³, ისინი „წარჩინებულნი“, ღირსებითა და სიკეთით სხეებზე მაღლა მდგომნი იყვნენ“⁴.

¹ ნ. ურბნელი, ძეგლის დება, 1890 წ., გვ. 59.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 60.

³ ნ. ურბნელი, ძეგლის დება, 1890 წ., გვ. 65.

⁴ ძეგლის ინგლისურ თარგმანშიც „ჰეროვანნი“ ნ. ურბნელის მიხედვით შეცდომით გადმოყვებულია „Notables“-ად, ხოლო ფრანგულში დატოვებულია „Hérovani“

ჰეროვანს არ შეიძლება „წარჩინებული“ ეწოდოს ამ სიტყვის სოციალური მნიშვნელობით. ძეგლის დადებიდან ჩანს, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ პრივილეგიურ, საზოგადოებრივი მდგომარეობით განსხვავებულ ადამიანთა ჯგუფს. ეს ცხადად ჩანს იქიდან, რომ სამართლის წიგნის მიხედვით ჰეროვანის მკვლელობისათვის დაწესებული იყო ყველაზე მცირე სისხლი, ანუ საზღაური, რომელიც 1200 თეთრს შეადგენდა და ლომისის ეკლესიის გლეხის სისხლზე 300 თეთრით ნაკლებს ფასობდა. გასაგებია, რომ ასეთი საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ადამიანი არ შეიძლებოდა „წარჩინებული“ ყოფილიყო.

ჰეროვანის უფლებრივი მდგომარეობის გარკვევისათვის საგულისხმო ცნობას შეიცავს სამართლის წიგნის მე-19 მუხლი, რომელიც სალაშქრო სამსახურს ეხება. თუ ერისთავის ან გამგებლის ბრძანებით ხევი, სოფელი ან ცალკეული პირი ლაშქრობაში არ გაეა თავის დროზე, მაშინ მათი პამფლი ხაზინას გადაეცემა ერთი წლით და თვითეულ კომლს ჯარიმის სახით თითო ხარი გადახდებოდა. სასჯელი „ესე ჰეროვანისა და სოფლიონისა იყოს“-ო, ნათქვამია კანონში. ამრიგად, ჰეროვანი და სოფლიონი ორივე სოფლის მცხოვრებნი, თანაბრად ბეგარავალდებულნი არიან და სალაშქრო სამსახურზე თავის არიდების შემთხვევაში თანაბრად ისჯებიან. მაშასადამე, ამ მხრივ მათი უფლებრივი მდგომარეობა ერთნაირია.

მაგრამ ამავე დროს საყურადღებოა, რომ ჰეროვანი და სოფლიონი ცალ-ცალკეა აღნიშნული, ერთმანეთისაგან განსხვავებული არიან. სოფლიონი მდაბიო, დაბის ან სოფლის მცხოვრები უბრალო ადამიანია, რომლის სისხლი განსაზღვრული არ არის კანონის მიხედვით. მას არც უარზანგობა, ანუ უპატრიობის საზღაური აქვს გაჩენილი. ჰეროვანს კი სისხლიც და უარზანგობაც აქვს განსაზღვრული. თუმცა მისი როგორც სისხლი, ისე უარზანგობაც ოდენობით ყველაზე მცირეა — ჰეროვანის უარზანგობა 30 თეთრს შეადგენს, რაც ხევისბერის უარზანგობაზე (150 თეთრი) ხუთჯერ ნაკლებია, მაგრამ მაინც ფასდადებული და კანონით დადგენილია.

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ სამართლის წიგნის მე-14 მუხლის მიხედვით ციხისთავად ყოფილი კაცის მოკვლისათვის დამნაშავეს დაზარალებულის ოჯახისათვის ჰეროვანის სისხლი (1200 თეთრი) უნდა გადაეხადა. მაშასადამე, ჰეროვანის მკვლელობის საზღაური ყოფილი ციხისთავის მკვლელობის საზღაურს უდრის, რაც იმას მოწმობს, რომ ჰეროვანი სახელმწიფო მოხელე არ არის, იგი მოხელეთა რანგში არ შედის. მაგრამ ამასთან ერთად განსხვავდება უბრალო სოფლიონისაგან.

მიუხედავად ამისა, ჰეროვანი არ შეიძლება „წარჩინებულად“ ჩავთვალოთ და იგი „ცალკე იურიდიულ წყობათა ჯგუფს“ მივაკუთვნოთ, როგორც ამას ნ. ურბნელი ფიქრობდა.

ჰეროვანი ერის. ხალხის წარმომადგენლები, ხევისსოფლებისა და თემების თავკაცები, ხალხისგან (სოფლიონთაგან) გამორჩეული პირები იყვნენ, რომლებიც თუმცა უბრალო, მდაბიო ხალხისგან, განსხვავდებოდნენ, მაგრამ პრივილეგიურ, წარჩინებულ ჯგუფს არ შეადგენდნენ. ეს ცხადად ჩანს იქიდან, რომ კანონი ხევის ყველა მოხელის (გამგებელი, ხევისბერი, ციხისთავი და სხვ.) სისხლს განსაზღვრავს „გუარსა ზედა“, ე. ი. მათი საგვარეულო ღირსებისა და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ ამ ფორმულას არ იყენებს ჰეროვანის მიმართ, რადგან ის არ მიაჩნია წარჩინებულ პირად.

ჰეროვანი ხევისა და სოფლის საზოგადოებრივი ხელისუფლების წარმომადგენლებია, რომლებიც ერისგან გამორჩეულნი არიან და სოფლის თავკაცებად ითვლებიან.

სამართლის წიგნი არ გვაძლევს საკმაო მასალას იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რამდენად ახლო იდგა ჰეროვანი თავისი სოციალური და უფლებრივი მდგომარეობით სოფლიონთან, მაგრამ ყველა ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მხრივ ჰეროვანი დიდად არ განსხვავდებოდა სოფლიონისაგან. ის ფაქტი, რომ ჰეროვანი მიწვეულნი იყვნენ საკანონმდებლო კრებაზე და შეიძლებოდა ზოგიერთი მათგანი „დარბაზის ცნობასა ღირსიც“ ყოფილიყო. სრულიადაც არ ადასტურებს მათ წარჩინებულობას.

ისინი მიწვეულნი იყვნენ სჯულმდებლობაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც გამოცდილნი და ხევის ადათ-ჩვეულებათა მცოდნენი. ცნობილია, რომ ასეთი პრაქტიკა უცხო არ იყო ქართული სჯულმდებლობისათვის შემდგომ პერიოდშიც. ვახტანგ VI თავისი სამართლის წიგნის შესავალში აღნიშნავს, რომ მან კანონები შეადგინა აგრეთვე „კითხვითა ქკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა“..

ამით ვამთავრებთ ძეგლის დადების ზოგიერთი იურიდიული ტერმინის შინაარსის დადგენას. რაც შეეხება სხვა ტერმინებს, მათი მნიშვნელობა მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოკვეთილი და განმარტებულია ლექსიკონში.

IV. ქაგლის გამოცემები და თარგმანები

ძეგლის დადების ტექსტი პირველად გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ თბილისში 1913 წელს¹. გამოცემა შეიცავს 14 გვერდს, აქედან საკუთრივ კანონთა ტექსტი—12 გვერდს. გამოცემას წამძღვარებული აქვს ავტორის მოკლე შენიშვნა ძეგლის დადების შედეგების დროის შესახებ.

გამომცემელი არ მიუთითებს, თუ რომელი ხელნაწერის მიხედვით არის დაბეჭდილი ტექსტი. ძეგლი გამოცემულია ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნის გარეშე. როგორც ჩანს, აწყობილი ტექსტი გამომცემლის მიერ არ ყოფილა გადასინჯული და შეჯერებული, რის გამო ტექსტში მთელი რიგი სიტყვები დაბეჭდილია დამახინჯებულად, სასვენი ნიშნებიც უადგილოდაა ნახმარი, რაც აძნელებს ისედაც ბუნდოვანი ტექსტის გაგებას.

ცხადია, რომ ამ სახით გამოცემული ძეგლი მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას და ტექსტის დამოწმებისას საჭიროა სიფრთხილე და კრიტიკული მიდგომა. ალბათ, გამომცემელი არ ისახავდა მიზნად ძეგლის ტექსტის გამართვას და საკმარისად თვლიდა მიეწოდებინა მკითხველი საზოგადოებისათვის კანონთა ტექსტი თუნდაც იმ სახით, როგორც ის დაცული იყო ხელნაწერში. აღნიშნული გამოცემის შეფასებისას საჭიროა გავითვალისწინოთ ბეჭდვის მაშინდელი პირობებიც, თანაც ისეთი სპეციალური ხასიათის ტექსტისა, როგორც არის ძეგლის დადება.

ძეგლის დადების ტექსტი მეორედ დაიბეჭდა 1930 წელს, მაგრამ არა ცალკე გამოცემის სახით. იგი მოთავსებულია სერგი მაკალათიას შრომის „მთიულეთის“

¹ სარგის კაკაბაძე, ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ, ტფილისი, 1913 წ.

მეორე თავში, სადაც მოკლებულია მთიულეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა (გვ. 16—26). თავის შრომაში კანონთა მთლიანი ტექსტის მოთავსების აუცილებლობა ავტორს არაფრით არა აქვს მოტივირებული. მაგრამ რაკი ავტორმა გადაწყვიტა მთელი სამართლის წიგნი შეეტანა თავის შრომაში, საჭირო იყო ტექსტის მიმართ ერთგვარი მუშაობას ჩატარება მაინც. მით უმეტეს, რომ ასეთი საქმის გაკეთებისათვის მაშინ სათანადო პირობები არსებობდა და იგი უკვე კერძო ბეჭდვისა და ინიციატივის საქმედ არ ითვლებოდა.

მაგრამ ავტორს იოლი გზა აურჩევია. მას თავის შრომაში შეუტანია ს. კაკაბაძის მიერ 1913 წელს გამოქვეყნებული კანონთა ტექსტი ყოველგვარი შენიშვნისა და მითითების გარეშე. მკითხველი ვერ გაიგებს, თუ საიდან აიღო ავტორმა კანონთა ტექსტი. მხოლოდ შედარებისას ირკვევა, რომ ტექსტი გადმობეჭდილია ზემოაღნიშნული გამოცემიდან და ბეჭდვის დროს დაშვებულ ახალ შეცდომებთან ერთად იმეორებს ყველა იმ შეცდომას, რაც დაშვებულია პირველ გამოცემაში. ამიტომ ტექსტის ამ სახით გამოქვეყნება როგორც სამეცნიერო, ისე საკითხავი წიგნის თვალსაზრისით არ შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული.

ძეგლის დადების ტექსტის კრიტიკული გამოცემა განზრახული ჰქონდა აკად. ივ. ჯავახიშვილს: „ამ საყურადღებო ძეგლის კრიტიკულად აღდგენილი ტექსტის გამოცემა აუცილებლად საჭიროა და ამნაირ გამოცემას ვამზადებთ კიდევ“-ო¹. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს განზრახვა, ისე როგორც ბეჭა-ალბულას კანონების კრიტიკულად აღდგენილი ტექსტის გამოცემისა, განსვენებულ მეცნიერს განუხორციელებელი დარჩა.

რუსულ ენაზე ძეგლის დადება მეფე ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის სხვა ძეგლებთან ერთად პირველად 1828 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში. კრებულის ეს გამოცემა შესრულებული იყო სენატის განკარგულებით და იგი განკუთვ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928 წ., გვ. 104.

ნილი იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სამოქალაქო სასამართლოებისათვის, როგორც სახელმძღვანელო, განსახლებულ შემთხვევებში.

1887 წელს თბილისში გამოქვეყნდა ვახტანგის კანონთა კრებულის მეორე რუსული (ა. ფრენკელის) გამოცემა ცნობილი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის რედაქციით. კრებულის წინასიტყვაობაში დ. ბაქრაძე მიუთითებდა, რომ მის მიერ ყოველგვარი ცვლილების გარეშე შენარჩუნებულია რუსული თარგმანის პირველი (1828 წ.) გაბოცემის ოფიციალური ხასიათი. მაგრამ რუსული ტექსტის ქართულ ხელნაწერებთან შედარებისას თარგმანში შეცდომები აღმოჩნდა, რაც შენიშვნებში მივუთითეთ, ხოლო გამოტოვებული ან ორიგინალს მნიშვნელოვნად დაცილებული ტექსტები ხელახლა ვთარგმნეთ.

დ. ბაქრაძეს, როგორც გამოცემის რედაქტორს, დიდი მუშაობა ჩაუტარებია დამახინჯებული პირველი რუსული გამოცემის შესწორებისა და გაუმჯობესებისათვის რუსული და ქართული ტექსტების შეჯერების გზით. მიუხედავად ამისა, პირველი გამოცემის შეცდომები მთელ რიგ შემთხვევებში რჩება მეორე გამოცემაშიც, რომელიც ასევე დამახინჯებულად გვაწვდის ქართული ტექსტის და ცალკეული იურიდიული ტერმინების შინაარსს.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი იურიდიული ტერმინის აზრის არასწორ გაგებაზე ჩვენ უკვე შეეჩერდით ზემოთ, შრომის მესაქე თავში. აქ აღვნიშნავთ რუსული თარგმანის მეტისმეტად დამახინჯებულ ადგილებს. რუსულ გამოცემაში გამოტოვებულია სიტყვები და წინადადებები ან დამახინჯებულია დედნის აზრი სამართლის წიგნის შესავალში და შემდეგ მუხლებში: 1, 2, 5, 8, 10, 11, 13, 15, 18—26, 28—32, 38—41, 43—46.

თარგმანის ზოგიერთი ზემოაღნიშნული დამახინჯებული ადგილის სათანადო ქართული დედნის შესატყვისი სიტყვები და წინადადებები დ. ბაქრაძეს მოჰყავს სქოლიოში, მაგრამ არ იძლევა მათ რუსულ თარგმანს. სხვა მუხლების თარგმანიც არაა ზუსტი, ამიტომ აქად. ივ. ჯავახიშვილი კანონთა

კრებულის როგორც პირველ, ისე მეორე რუსულ გამოცემას ერთნაირად უვარგის თარგმანად თვლის¹.

1914 წლის ივლისის თვეში ძეგლის დადება გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე. თარგმანი, რომელიც შესრულებულია ოლივერ უორდროპის მიერ, დაიბეჭდა სამეფო აზიური საზოგადოების ჟურნალში სათაურით: „საქართველოს მეფის-გიორგი V-ის, „ბრწყინვალედ“ წოდებულის კანონები. ვახტანგ VI-ის კოდექსის ბოდლენისეული ხელნაწერიდან, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს ბატონიშვილს დავითს“².

ტექსტის თარგმანს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა (გვ. 607—610), რასაც მოსდევს თვით კანონთა ტექსტი (გვ. 610—626). წინასიტყვაობაში მოცემულია ვახტანგის კანონთა კრებულის იმ ხელნაწერის აღწერა, რომელიც საფუძვლად დაედო ინგლისურ გამოცემას. მთარგმნელის მიერ აღნიშნულ ცნობებს ჩვენ იმდენად საყურადღებოდ ვთვლით, რომ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიტანოთ თითქმის მთელი წინასიტყვაობის ქართული თარგმანი.

„წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერიდან, რომელიც ერთმა ვაჭარმა 1911 წლის იანვარში თბილისში შეიძინა და ახლა ბოდლენის ბიბლიოთეკის საკუთრებაა. ხელნაწერი კარგ მდგომარეობაშია და ჩასმულია ხის ყდაში, რომელზედაც ნატვიფრი ტყავია გადაკრული. იგი დაწერილია ყვითელ გასანთლულ ქაღალდზე. აზის ქვირნიშანი 1746, გვერდები დანომრილია 1-დან 851-მდე. შემდეგ კი მოჰყვება დაუნომრავი კოდექსი, შედგენილი საქართველოს უკანასკნელი მეფის შვილისა და მემკვიდრის დავით ბატონიშვილის მიერ, რომელიც აქამდე უცნობი იყო და ატარებს ამ ბატონიშვილის ავტოგრაფს თარიღით „26 ნოემბერი, 1800“ და აქვს ანჩისხატის ეკლე-

¹ ივ. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928 წ., გვ. 122.

² Laws of king George V, of Georgia; surnamed «the Brilliant», translated by Oliver Wardrop (Journal of the Royal Asiatic Society, July. გვ. 607—626).

სიის მღვდლის გაბრიელის მინაწერი, დათარიღებული 1805 წლით. ფურცლის ზომაა 12×8 ლუმი, ტექსტისა— $8\frac{1}{2} \times 5\frac{1}{2}$ ლუმი. გვერდზე 18 სტრიქონია და 8 ფოლიანტი რეეულში. 57-ე გვერდზე შენიშვნა ამბობს, რომ იგი გადაწერილია ოსე დეკანოზიშვილის მიერ 1750 წელს მეფის ბრძანებით, მაგრამ ეს მინაწერი უარო გვიან უნდა იყოს გაკეთებული ბაცი მელნით და შესაძლოა ეკუთვნოდეს მხოლოდ სარჩევს. საყურადღებო ნიშანი ხელნაწერისა ის არის, რომ ზოგიერთი სიტყვა (ალბათ, ისინი, რომლებიც გადამწერში გარკვეულ ექვს იწვევდნენ) აღნიშნულია ასე: "ან"; ეს უთუოდ მიუთითებს ძველი ორიგინალის კეთილსინდისიერ გადაწერაზე. ხელნაწერი იწყება შინაარსის ანბანური ჩამოთვლით (1—57 გვერდები), რომლის წინა ნაწილი (იბ-მდე) უთუოდ დაკარგული იყო მანამ, სანამ გვერდები დაინომრებოდა. შემდეგ მოსდევს ჩვეულებრივი ცხრილი საგანთა საძიებლისა (გვ. 62—136), კრებულის ყველა ნაწილზე მითითებებით, მათი შედარების მიზნით, ისე რომ ერთი შეხედვით შევუდაროთ ერთმანეთს ვახტანგის, გიორგის, ათაბაგებისა და კათალიკოსის კანონები და აგრეთვე ბერძნული, სომხური და მოსეს კანონმდებლობა. 142-ე გვერდზე (რომელსაც აქვს წარწერა „საქართველოს მეფის ძის დავითისა არის“, მაჩვენებელი იმისა, რომ იგი იყო საქართველოს მეფის გიორგი XIII-ის შვილის დავით ბატონიშვილის საკუთრება) არის ვახტანგის შესავალი, რომელსაც მოსდევს მოსეს სამართალი (გვ. 147), ბერძნული (ბიზანტიური) კოდექსი ლეონ VI-ისა (ჩ. წ. 886—912), კონსტანტინე პორფიროგენეტისა (ჩ. წ. 912—959) და სხვა იმპერატორებისა (გვ. 172). 236 გვერდსა (ბერძნული კოდექსის 147-ე მუხ.) და 448 გვერდს (მხითარის სომხური კოდექსის 203-ე მუხ.) შორის აკლია 212 გვერდი. სომხური კოდექსი მთავრდება 620-ე გვერდზე. 624-ე გვერდზე იწყება საქართველოს კათალიკოსის კანონები; 639-ე გვერდზე—გიორგი V-ის კანონები (რომლის თარგმანს ვიძლევიტ ქვემოთ); 660-ე გვერდზე— ალბულა და ბექა ათაბაგების კანონები; 714—851 გვერდებზე—ვახტანგის კოდექსი და (გვ. 825) განაჩინთა დაწერის წესები.

კანონმდებლობის მთელი ეს მასა ევროპაში მხოლოდ ყურ-
ბოკვრით არის ცნობილი. იგი უაღრესად საინტერესოა
შედარებითი იურისპრუდენციის შემსწავლელთათვის; დიდი
ნაწილი, რომელიც ვახტანგის სახელს ატარებს, თუმცა იგი
შედგენილია მეთვრამეტე საუკუნეში ამ ბატონიშვილის მიერ,
ემყარება ქართველი ერის სველთა-ძველ ადათებს და შეუძ-
ლია მიიპყროს ასირიოლოგების ყურადღება და დიდად
სასარგებლო იყოს მათთვის...

გიორგის კანონები ქართული კანონმდებლობის უძველესი
ორიგინალური ფრაგმენტებია. ჯერჯერობით უნდა დაგკმა-
ყოფილდეთ ინგლისური თარგმანისა და რამდენიმე შენიშვნის
წარმოდგენით. მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ეს კანონები
არ არის საქართველოს სამეფოს კანონები, არამედ წარ-
ნოადგენს ქართული სამართლის გავლენით გამოცემულ ბრძა-
ნებულებებს, რომლებიც ემყარება შორეული და მოუ-
წესრიგებელი კუთხის ადათებს და განკუთვნილია ამ კუთხის
დასამშვიდებლად. მიუხედავად ლოკალური დანიშნულებისა,
ისინი დათუძნებული არიან იურისპრუდენციის იმ ზოგად
ქართულ პრინციპებზე, რომლებიც საერთო იყო როგორც
მთიულებისათვის, ისე ბარის მცხოვრებთათვის.

ვახტანგის კოდექსის ხელნაწერთა უმრავლესობა შეიცავს
მხოლოდ იმ კანონმდებლობას, რომელიც საკუთრივ ამ ბატო-
ნიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. თუმცა ბოდლენის
ბიბლიოთეკაში ჩვენ გვაქვს მეორე სრული ტექსტი. გადაწე-
რილი ნიკოლოზ ბალინოვის მიერ 1819 წელს, მაგრამ თავისი
ღირებულებით იგი ვერ შეედრება იმ ბევრად უფრო ძველ
ტექსტს. რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ. შესაძლებელია ისიც
აღინიშნოს, რომ ვახტანგმა თავისი კოდექსი შეადგინა ჩ. წ.
1709 წელზე ადრე და რომ უკანასკნელ ხანებში განზრახული
იყო მისი გამოყენება ბუბარაში და, როგორც ამბობენ, ამ
ზიზნით იგი ითარგმნა კიდევ ხსენებული სახელმწიფოს სარტის
ენაზე¹.

ძველის და დების ო. უორდროპის მიერ შესრუ-
ლებული ინგლისური თარგმანის შეფასებისას მხედველობაში

¹ Laws of king George V of Georgia., გვ. 607—610.

უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მთარგმნელს ხელთ არა ჰქონდა სამართლის წიგნის გამართული და დადგენილი ტექსტი, რასაც თვითონაც გულისტკივილით აღნიშნავდა: „არც გამოქვეყნებული ტექსტი არსებობს, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი ხელნაწერის შეჯერება“-ო¹. თვით იმ ხელნაწერის წარმოშობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინგლისურ თარგმანს, სათანადოდ შესწავლილი და გარკვეული არ არის. აღნიშნული ხელნაწერის წარმომავლობის დასადგენად საკირო იყო სხვა ნუსხებთან მისი შეჯერება. რის შესაძლებლობასაც მთარგმნელი მოკლებული იყო.

უორდროპი მაღალ შეფასებას აძლევს დ. ბაქრაძის რედაქციით დაბეჭდილ ვახტანგის კანონთა კრებულის მეორე რუსულ გამოცემას (1887 წ.) და წერს, რომ კანონთა „ტექსტის ინტერპრეტაციისათვის უხვად იქნა გამოყენებული ბაქრაძის შენიშვნები და რუსულმა თარგმანმა გასწია ფასდაუდებელი ღაბმარება“-ო². ამ რუსული გამოცემის გერმანული ვერსიის ხელნაწერიდან დოქტორმა ფელიქს ჰოლდაკმა მოახზადა თავისი შრომა ქართული სამართლის ისტორიის შესახებ³. უორდროპის ინგლისური თარგმანიც დაფუძნებულია რუსულ თარგმანზე. მთარგმნელი იმეორებს დ. ბაქრაძის კომენტარიებს კანონთა შესავლისა და ზოგიერთი მუხლის მიმართ.

ძეგლის დადების ინგლისურ თარგმანს მთარგმნელია ხელი მაინც საკმაოდ ატყვია. ჩანს, რომ მთარგმნელი ვულდასმით აჯერებდა ერთმანეთთან ქართულ ხელნაწერსა და რუსულ თარგმანს. ზოგიერთი მუხლი, რომელთა ტექსტი რუსულ თარგმანში შემოკლებითაა წარმოდგენილი. ინგლისურ თარგმანში აღდგენილია და მოცემულია უფრო სრულად. ინგლისური თარგმანის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მთარგმნელი ცდილობს რაც შეიძლება დაუახლოვოს თავისი თარგმანი ქართულ ტექსტს, ერიდება თავისუფალ და განვრცობილ თარგმანს, ტექსტში ჩამატებულ განმარტებებს.

¹ იქვე, გვ. 609.

² იქვე, გვ. 608.

³ F. Holldack, zwei Grundsteine zu einer Grusinischen Staats- und Rechtsgeschichte, Leipzig, 1907.

იქ, სადაც კანონთა ზოგიერთი მუხლის ტექსტი ბუნდოვანი და გაუგებარია, სქოლიოში აკეთებს შენიშვნებს, რომ თარგმანი საეჭვოა და არასაიმედო. ასეთი შენიშვნები აქვს სამართლის წიგნის მე-2, მე-16, 29-ე, 41-ე და 45-ე მუხლებს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თარგმანში მაინც ბევრ შეცდომას აქვს აღგილი, რაც უმთავრესად იმით აიხსნება, რომ სამართლის წიგნის ტერმინოლოგია იმ დროს სრულიად დაუმუშავებელი იყო. მთარგმნელებს არ ესმოდათ ქართული იურიდიული ტერმინების შინაარსი. ეს ხარვეზი მნიშვნელოვანწილად დღემდე შეუვსებელი რჩება. ამავე დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერული თარგმანის დონე და ხარისხი დამოკიდებულია დედნის ტექსტისა და ტერმინების ზუსტი მნიშვნელობის დადგენაზე. ამ მხრივ ძეგლის დადების ინგლისურ თარგმანს დღეს საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი ხასიათის კორექტივი სჭირდება.

1938 წელს სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ეოზეფ კარსტმა ფრანგულ ენაზე გამოსცა ბექა-აღბულასა და გიორგი ბრწყინვალის სამართალი ორ წიგნად. პირველ წიგნში, რომელიც შეიცავს 122 გვერდს, მოთავსებულია ბექა-აღბულას კანონების ტექსტი, ხოლო მეორე წიგნში დაბეჭდილია შესავალი წერილი ამავე კანონთა შესახებ და კანონთა მუხლობრივი კომენტარები (გვ. 3—151). ამავე ტომში დაბეჭდილია ძეგლის დადების ტექსტიც (გვ. 159—197)¹.

კანონთა ტექსტს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის მოკლე წინასიტყვაობა (გვ. 157—158), სადაც მოხსენიებულია ძეგლის დადების ქართული, რუსული და ინგლისური გამოცემები. წინასიტყვაობაში ავტორი გიორგი ბრწყინვალის კანონების შესახებ წერს: „ამ კოდექსმა, რომელიც, ბაგრატი კურაპალატის სამართლის გამოკლებით, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის უძველეს ძეგლს, ჩვენამდე მოაღწია როგორც ვახტანგის კანონმდებლობის კომპილაციის (მე-18

¹ Joseph Karst, Code d' Aghbougha, ტ. II^e, 1938 წ., გვ. 153—197.

საუკ.) ერთ-ერთმა შემადგენელმა ელემენტმა¹. აქ დაშვებულია ორი შეცდომა, ბაგრატ კურაპალატის სამართლის შემდეგ ქართული საერო სამართლის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლად ითვლება ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნით უფრო ადრეა შედგენილი, ვიდრე გიორგი ბრწყინვალის კანონები. შემდეგ, ძეგლის დადების ტექსტი შემონახულია არა მარტო ვახტანგის კანონმდებლობის კომპილაციაში, როგორც ერთ-ერთი მისი შემადგენელი ნაწილი, არამედ ცალკე, დამოუკიდებელი ნუსხის სახით, რომელიც გადაწერილია ვახტანგის კრებულამდე დიდი ხნით ადრე (მე-17 საუკ.).

ავტორის სიტყვით, ტექსტი გამოცემულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ვანტანგ VI-ის კანონთა კრებულის ხელნაწერის მიხედვით. თარგმნის დროს ავტორი სარგებლობს ძეგლის დადების ინგლისური და მეორე რუსული გამოცემით (1887 წ.) და ძირითადად მათ ეყრდნობა. ამიტომ თითქმის ყველა შეცდომა, რომელიც რუსულ გამოცემაშია, მეორდება ფრანგულ თარგმანშიც.

ძეგლის დადების ტექსტის თარგმანს სქოლიოში დართული აქვს შენიშვნები კანონთა ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილისა და ტერმინის შესახებ. ეს შენიშვნები ძირითადად დაფუძნებულია ძეგლის რუსულ და ინგლისურ თარგმანებზე, რომლებსაც სშირად იმოწმებს ავტორი. რაც შეეხება კანონთა დაწვრილებით მუხლობრივ კომენტარიებს, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, ავტორს განზრახული ჰქონია მათი ცალკე წიგნად დაბეჭდვა, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ეს მან ვერ მოასწრო.²

როგორც ვთქვით, ფრანგული თარგმანი ძირითადად რუსულ და ინგლისურ თარგმანებს ეყრდნობა. ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ კარსტის მთარგმნელობითი მეთოდი ხასიათდება ტექსტის თავისუფალი და განმარტებული გადმოცემით. კანონთა ტექსტში კარსტს შეტანილი აქვს მთელი რიგი განმარტებითი ხასიათის წინადადებები, რომელთა ერთი ნაწილი კაეებში [] აქვს ჩასმული, ხოლო დანარ-

¹ Joseph Karst, Code d'Aglibougha. ტ. II², 1938, გვ. 157.

ჩენი გათქვეფილია თვით ტექსტის ფრანგულ თარგმანში. ორიგინალის ლაკონიური ტექსტები და ფორმულები თარგმანში დაცული არ არის. ფრანგული თარგმანი ქართული ტექსტის კომენტირებული გადაოცემაა და მოკულობით თითქმის ორჯერ აღემატება ორიგინალს.

ქარსტი იმოწმებს პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერს, მაგრამ, როგორც ჩანს, მან არ იცოდა ძველი ქართული ენა იმდენად, რომ ეკისრა ქართული ტექსტის აღდგენა და მისი შესატყვისი თარგმანის შესრულება. ზემოაღნიშნულის გამო კანონთა ფრანგული გამოცემის საშეკნიერო ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება. ეს გამოცემა მკითხველს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ კანონთა საერთო შინაარსის წინასწარ გასაცნობად. ამ მხრივ ძველის ინგლისური თარგმანი ფრანგულთან შედარებით უფრო საგულისხმო და ანგარიშგასაწევია.

ასეთია ძველის დადების ქართული ტექსტის გამოცემისა და სხვადასხვა ენებზე არსებული მისი თარგმანების მოკლე მიმოხილვა. როგორც ვხედავთ, ჩვენ დღემდე აი მოგვეპოვება სამართლის წიგნის ტექსტის ისეთი გამოცემა, რომელიც შეეფერება იურიდიული ძეგლების მეცნიერულ პუბლიკაციას.



ძეგლის დადგენა

(ტექსტი)

გეგმის აღწერა

მეგლის დადების ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია უმთავრესად XVIII საუკუნის ხელნაწერებით. XVII საუკუნეს მხოლოდ ერთი ნუსხა მიეკუთვნება და ისიც ნაკლები ტექსტის შემცველი.

სამართლის წიგნის წინამდებარე გამოცემა ემყარება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ორ უძველეს ხელნაწერს¹.

ამათგან პირველი ნუსხა მიეკუთვნება XVII საუკუნეს. ეს ხელნაწერი 9 აღმოაჩინა პროფ. ი. თაყაიშვილმა და მანვე დაბეჭდა ცნობები მის შესახებ². აღნიშნული ნუსხა ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი შეიცავს მეგლის დადების ტექსტს, რომელსაც ხელნაწერში 23 კვერდი უჭირავს, ხოლო მეორე ნაწილი (გვ. 24—60)—ჯელმწიფის კარის გარიგების ტექსტს. ხელნაწერის ზომაა 16×11 სმ. ტექსტი დაწერილია ქალღმერთ ნუსხა-სუცურით, სათაური და აბზაცების პირველი სიტყვა შესრულებულია სინგურით. ტექსტს აკლია თავსა და ბოლოში, ხოლო აქა-იქ—შიგადაშიგაც.

საკუთრივ მეგლის დადების ტექსტს ხელნაწერში თავი და შესავალი აკლია. შემონახულია მხოლოდ შესავლის ბოლო, რომელიც იწყება სიტყვებით: „...ჩნდა ერთმანერთის ღალატად დასხმამ...“ სამართლის წიგნს აკლია შუაში, 20-დან 26-მდე მუსხლების შემცველი ტექსტი. მე-20 მუსხლის დასაწყისის მხოლოდ სამიოდე სიტყვაა შემონახული — „გეგმის ბერი თუ უგემურად...“, ხოლო 26-ე მუსხლის ტექსტის პირველი ნაწილი დაკარგულია და გაგრძელება იწყება სიტყვებით: „...ჩინოს და

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ყოფილი საისტორიო საზოგადოების H ფონდი № 3094; საქ. სახ. მუხ. ხელნაწერთა განყოფილების S ფონდის ხელნაწერი № 3683.

² ი. თაყაიშვილი, ჯელმწიფის კარის გარიგება, 1920 წ., გვ 1—III.

თუ დიაცი მეომრად იუოს და აბჯარი ჰქონდეს...⁴
სამართლის წიგნის დანარჩენი ტექსტი სრულად არის დაცული.

მეგლის დადების ტექსტის ამ გამოცემას საფუძვლად დავედევით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების S ფონდის ხელნაწერი № 3683, რომელსაც A ლიტერია აღვნიშნავთ. ეს ხელნაწერი გავმართეთ XVII საუკუნის ზემოსხეხებული უმკვლესი, მაგრამ ნაკლები ხელნაწერით, რომელიც შიითიებული გვაქვს B-თი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა თ. ენუქიძემ საფუძვლიანად შეისწავლა ვასტანგ VI-ის კანონთა კრებულის S—3683 ხელნაწერი და იმ დასკვნაზე მივიდა, რომ აღნიშნული ნუსხა ვასტანგის დროინდელია. მასვე 1955 წელს ამ ხელნაწერის მისედევით გამოაქვეყნა საკუთრივ ვასტანგის სამართლის წიგნის ტექსტი, რომელსაც დაურთო ნუსხის გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი¹.

გიორგი ბრწყინვალის მეგლის დადების ტექსტს ამ ხელნაწერში 9 ფურცელი უჭირავს (215r—253r). კანონთა ტექსტი შეიცავს 46 მხსლს. დაცულია ხელნაწერის ეველა ფურცელი და ტექსტს არც ერთი მუსლი არ აკლია. ტექსტი დაწერილია ერთი ხელით. ნუსხის თითქმის ეველა აშიაზე უცნობი ხელით გაკეთებულია ძიხაწერები.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მეგლის დადების პირვანდელი ტექსტი დაშახინჯებულია დროთა განმავლობაში. ტექსტის შერევილობა უკვე XVII ს. ხელნაწერსაც ემჩნევა და უკვე იმ დროს მომხდარა, როდესაც ეს მეგლი ჯერ ვასტანგ VI კოდიკოში შეტანილი არ ეოფილა. ტექსტის მართო შესავალი წინადადებები კი არ არის გამოტოვებული, არამედ თვით კანონების შინაარსიც აქა-იქ დასიანებულია“².

¹ ვასტანგ VI. სამართლის წიგნი. თ. ენუქიძის გამოცემა, 1955 წ., გვ. 1—41.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, :26 წ., გვ. 103.

ამ გამოცემაში ხელნაწერთა გამოცემაზე დაქვემდებარებული ადგილების აღდგენა და შესწორება ნაჩვენებები გვაქვს სქოლიოში ან თვით ტექსტში. კავებში ჩასმული სიტყვები და ასოები ჩვენ მიერ არის ჩამატებული.

აზრის უკეთ გაგების მიზნით სამართლის წიგნის შესავალი და პუნქტები აბზაცებად დაეკავით. მოუწესრიგეთ აღრევა, რაც გვსვდებოდა შემდეგი ასოების ხმარებაში: ჯ და ხ, ვ და უ (უბრჯგუ), ჯ და უი, ჯ და ვი. ხელნაწერის ქარაგმები ეველა გახსნილია. ტექსტი გამართულია დღევანდელი პუნქტუაციით.

ტექსტის მიმართ ზოგიერთი შენიშვნისათვის მადლობას მოვასხენებ აკად. აკ. შანიძეს.

ძეგლის ღაღაბა მეფეთ-მეფის გიორგის მიერ *

[245] ჩუენ, მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ბემან უოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დაუდევით მეგლი— განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსავლელად ღმრთის მოწყალებითა¹ უოვლგნით უცალებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად ჰერობასა² ტახტისა და სკიპტრისასა.

წარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა კინვანსა და მუნით მივედით ჯაბა-ცხაოტს და მოვასხენით უოველნი მუნებურნი³ ჯევისბერნი და ჰეროვანნი⁴ და გავიგონეთ მათნი საქმენი, დავსხედით მათსა სასაქმოსა.

და მივედით დარიელამდის და ვსცანით ესე, რომელ⁵ ღმრთივ გვრგვინოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა⁶ მეფეთაგან აჰად არ გასჩენოდა მეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა უწესოთა მიმძლავრებულთა საქმეთა: რომელთაჲ⁷ საქმისა რომლისათჳსმე ჰპრიანებოდათ აღრევით უოფა ერთმანეთსა შიგან და რომელთაჲ სსჯს ჟამისა შემოსრულობისათჳს უაჲ⁸ გაჩენა ვერ სწრებოდა-ლა⁹ სრულად მთიულთა საქმის მოკლებასა და გაჩენასა.

და ჟამ-გუცეს, მოწყალებითა ღმრთისათა დარიელით¹⁰ მობრუნებულთა ვილოცეთ ღომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიართ ცსრაზმის ჯევი და მოვიკულებით¹¹ მუხებური სასაქმო.

[V] მოვედით მუსრანს, საზამთროსა ჩუენსა დაუდევით, და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ურისთავნი და ჯევისთავნი და ჯევისბერნი და ჰეროვანნი¹².

დავსხედით და დავსჯეთ წმინდა მეუფე¹³ და ქართლისა კათალიკოზი ეფთვიძე, დავსხით¹⁴ ვეზირნი და ებისკოპოზნი და მოურავნი და გავიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მძლავ-

* B ხელნაწერს აკლია შესავალი სიტყვებამდის „მსუბუქობისათჳს ადილ“ (გვ. 104,2-მდის).

¹ მოწყალებითა A. ² ჰერობად A. ³ უნებურნი A. ⁴ ჰეროვანი A. ⁵ რომელი A. ⁶ ჩამომავალთა A. ⁷ რომელნიმე A. ⁸ უაჲ⁸ + ყოფა A. ⁹ სწრებოდეს-ლა A. ¹⁰ დარალით. A. ¹¹ მოვიკლებით A. ¹² ეროვანნი A. ¹³ ძეფე A. ¹⁴ დავსხედით A.

რებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ * უჩნდა ¹ ერთმანეთის დალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა ² და უბრალოდ დაგდება ³ და ⁴ მრავალფერნი ულუსობა. და ყოღ სამართალი აღარ იყო-ღა.

და დღეისით ⁵ წინათ-ღა ერთმანეთის ⁶ საყოფთა საქმეთა ამაღ აღარ შემოვიღეთ: ერთმანეთის ამოსულა არ იქნებოდა, განაჩენ-დაუდებლობა ექმნათ.

და აწ ეუელა გავაჩინეთ, რა რიგად ვის რა ეუოს ერთმანეთის ავი, სისხლი დგეს ანუ სხუა სასაქმო რა გინდა რა იუოს,— გარდაჯდეს.

ჯუართა ეელს აქეთ, გადა-ცხაოტს, ზანდუკის კვეს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დაჯდევით.

სასჯულო საქმე და საეკლესიო ⁷, რისაც გინდა სასაქმოსა,— კაცის მკულეღთა, ეკლესიის მკრეხვეღთა, ცოლის დამკდებელთა უბრალოსათა ანუ წამგურელთა სხუათაგან ⁸,—სხუა რაც სასჯულო საკითხავი იუოს, იგი კათალიკოზმან და მათ, განაჩენთა მათ ზედა ებისკოპოსთა ⁹, მათ ჰკითხონ ¹⁰; ჩუენ მსოფლიოსა ამისი ხისხლი, პატეი ¹¹ და სასაქმო გაგვჩენია.

დღეისითგან წაღმა ესრეთ იქმნას.

[ერისთვისა ასრე გავაჩინეთ:]

[246] 1. ერისთვის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა ვისგან იკადრების.

და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და შეცოდება აზომ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი, ვითა უმსგავსო არის და უსაზომო შეცოდება, აგრევე დამეტებული დიდი პატეი ¹¹ და გარდაცდევინება დარბაზით ეკითხოს; გარდახუეწა, მამულის წაღება და სისხლი მის ¹² გუარსა ზედა დაიურვოს ¹³ და გარდაიხუეწოს.

* დასაწყისიდან აქამდე B ნუსხას ტექსტი აკლია.

¹ უჩნდა] ჩნდა ჩუენდა AB. ² წაგურა] წასვლა B. ³ უბრალოდ დაგდება] დაგდება უბრალოსა B. ⁴ და]—B. ⁵ დღეის B. ⁶ ერთმანერთის B. ⁷ საეკლესიო B. ⁸ სხუათაგან] —B. ⁹ ებისკოპოსთა B, ებისკოპოსთა A. ¹⁰ კითხონ A. ¹¹ პატეი AB. ¹² მისი A. ¹³ დაიურვოს AB.

და მამულისა, რაზომ¹ წლამდის დაიჭირვის, ამაღ არ გავაჩინეთ, რომე უსაზომო იყო და არაოდეს ქნილიყო და არცა ჩუენ წესადვე ვდებდით².

და თუ რადმე იქმნას, მის ჟამისა³ მეტემან იკითხოს, რაემცა უფრო ძნელად იკითხებოდეს.

[განმგებლისა ასრე გავაჩინეთ:]

2. განმგებელი თუ ქუეყანამან⁴ მოკლას, ერთმან სოჟელ-მან, გინა ერთმან პირმან კევმან, მსახური⁵ იყოს განმგებლად, ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს⁶ სისხლთა ფასად⁷ და თუთო კაცი დაიპიროს სოფლისა და სოფლისა⁸ თავადი, და რაზ-ლონიცა კაცი იყოს თავადი, თუთო გაიპარსოს⁹.

და რაზომიც სოფელი იყოს, ერთი, ორი...და რაზომიცა¹⁰ გინდეს იყოს, განმგებელისა რთოდეს, ვითა ძველითგან გაჩენილი არის, თუთო ცხენი ბეგრად დაედვას წელიწადსა შიგან გამოსაყვანელად სასეფეოდ¹¹ და საუკუნოდ.

3. და თუ ერთს კაცს ეფათერაკოს განმგებელი, კაცი გაიპატიგოს¹² და მამულისაგან გაიძოს¹³ და შეუნდობლად მამული სასეფეოდ¹⁴ დადვას.

და სისხლის დაურვება არ¹⁵ შეეძლოს, ანუ მამული ებოძოს მის კაცისა სისხლის [v] მქნელისა დარბაზით, ანუ¹⁶ განმგებლის სახლს მეფისაგან¹⁷ სისხლი ებოძოს და მამული სასეფეოდ დაიდვას.

4. და თუ აზნაური¹⁸ იყოს განმგებლად და¹⁹ მოკლან, მის გუარსა ზედა²⁰ დაიურვონ²¹ სისხლი.

5. და თუ კვეისბერმან მოკლას განმგებელი, სამს წლამდის მამულისაგან გაიძოს²² და²³ ციხე და მამული სასეფეოდ დაიდვას. ერისთავმან თავადნი²⁴ სახლნი დაუწინდნეს²⁵.

¹ რაზო AB. ² კსდებდით B. ³ ჟამის A. ⁴ ქუეყანამ A. ⁵ მსახურ A. ⁶ დაიურვოს B. ⁷ ფასათ A. ⁸ სოფლისა] + და A. ⁹ გაიპარსოს] გაიპიროსოს A. ¹⁰ რაზომიც A. ¹¹ სასეფეოდ] სასეფეოდ B. ¹² გაიპატიგოს B. ¹³ გაიძოს A B. ¹⁴ სასეფეოდ A. ¹⁵ არ] არასი A. ¹⁶ ანუ] + მეფისაგან B. ¹⁷ მეფისაგან] — B. ¹⁸ აზნაუშვილი A. ¹⁹ და] — B. ²⁰ ზედან A. ²¹ დაიურვონ AB. ²² გაიძოს AB. ²³ და] — A. ²⁴ თავათნი A. ²⁵ დაუწინდნენ A.

მესამეს წელიწადს¹ მოვიდეს და ერისთავს შემოეხუწოს, ერისთავმან ვეზირთ მოაქსენოს და² ვეზირთ³ დარბაზთ ჰკადრონ⁴ და დარბაზით მამული ებოძოს ჯევისბერსა. და ამას⁵ ზემოთ გაჩენილი სისხლი [მუხ. 2] დაეურვოს⁶ განმგებლის⁷ სახლს და⁸ ჯევისბერობაც⁹ წაეღოს.

და თუ მის ჯევისბერის გუარის კაცი იყოს, ასეთი რომ¹⁰ განმგებლის საკუდილს არ დახუდრიყოს და არას ერიოს არა ცხადად და არა იღუმალ, თუთ მას ებოძოს ჯევისბერობა დარბაზით.

და თუ არავინ¹¹ იყოს მისი¹² სახლის კაცი¹³, ვინც ერისთავმან და ახალმან განმგებელმან¹⁴ გამოარჩიონ ერთი კაცი,— მეფის ერთგული იყოს და ქუეყანასაც უჯობდეს,— იგი დააყენონ დარბაზით ჯევისბერად.

ჯევისბერთა ასრე გავაჩინეთ:

6. ჯევისბერი თუ მოკლას ჯევისბერმან, სამს წელიწადს მამულისაგან გაიძოს¹⁵, ერისთვისა¹⁶ და განმგებლისაგან¹⁷ თავადი¹⁸ სახლი დაეწინდნენ¹⁹, მამული სამს წლამდის სასეფოდ დაეჭიროს²⁰.

მესამეს წელიწადს ერისთავსა²¹ და განმგებელს²² შემოეხუწუნენ²³ და მათ ვეზირთ²⁴ მოაქსენონ, ვეზირთ²⁵ დარბაზთ. [247] იურვონ²⁶ და მამული ჯელთ უბოძონ და²⁷ სისხლთა ფასად²⁸ ექუსი ათასი თეთრი დაუურვოს²⁹.

7. თუ ვინ ჯევისბერის კაცის გაუყოფარი, მისსა³⁰ სახლსა შიგან მოახლე, ერთ სახლის კაცთ³¹ მოკლან: მანა, ბიძა, ძმა, ბიძასძე,³² ძმისწული, რა გინდა რა³³ მისის გუარისა მისი მოახლე³⁴, — სისხლად ესევე³⁵ ექუსი ათასი თეთრი იყოს; მა-

¹ წელიწადსა B. ² ვეზირთ მოაქსენოს და]—A. ³ ვეზირით A. ⁴ ჰკადროს A. ⁵ და ამას] მას B. ⁶ დაეურვოს B. ⁷ განმგებლის B. ⁸ სახლს და] სისხლად და A. ⁹ ჯევისბერობა B. ¹⁰ რომე B. ¹¹ არავინ A. ¹² მის B. ¹³ სახლის კაცი] სახლისა B. ¹⁴ განმგებელმან A. ¹⁵ გაიძიოს AB. ¹⁶ ერისთავისა A. ¹⁷ განმგებლისაგან B. ¹⁸ თავადი A. ¹⁹ დაეწინდნენ] დაეწუნენ B. ²⁰ დაეჭირო B. ²¹ ერისთავს B. ²² განმგებელს A. ²³ შემოეხუწუნენ A. შემოეხუწუნენ B. ²⁴ ვეზირით A. ²⁵ მოაქსენონ ვეზირთ]—A. ²⁶ იურვონ [3]. ²⁷ და]—B. ²⁸ ფასი A. ²⁹ დაუურვოს A. დაიურვოს B. ³⁰ მის A. ³¹ სახლი კაცი B. ³² ბიძა ძე AB. ³³ რაგინრა B. ³⁴ მუახლე B. ³⁵ ესევე A.

მულისაგან გაძება¹ ორს წელიწადს² ოდენ მიხუდეს³ და თავადნი⁴ სახლნი დაეწინდნენ⁵ ერისთვისა⁶ და განმგებლისაგან.

და იმავე ზემოთ განაჩენით [მუხ. 6] ერისთვისა⁶ და განმგებლისაგან⁷ დარბაზთ⁸ ეურვოს⁹ ვეზირთა და მოურავთა პირითა, მამული ებოდოს.

8. და თუ ქუეყანამან¹⁰ მოკლას ჯევისბერი, განმგებლის სიკუდილის სწორი პატივი¹¹, ბეგარი და სისხლი დაეურვოს და დაედვას ბეგარი¹² საუკუნოდ.

9. და თუ ჯევისბერის განაყოფი და მისი გუარის კაცი მოკლას ვინმე¹³,—თუ ძმაც იყოს ანუ სხუა რა გინდა რა მეყვსი იყოს, ჯევისბერის მოახლე¹⁴ იყოს განაყოფი,¹⁵—განაყოფისა კაცისათვის სამი ათასი თეთრი სისხლის ფასად მისცეს¹⁶ და ორს წელიწადს განეძოს და მამული სასეფოდ¹⁷ დაედვას.

ორს¹⁸ წელიწადს უკან¹⁹ იურვოს ერისთვისა და განმგებლის²⁰ პირით²¹, იმავე²² ვეზირთა საურავითა და წესითა დარბაზისათა, მაშინლა²³ მამული ებოდოს.

10. ჯევისბერის²⁴ მეყვსისა და მისის მოახლის²⁵ სისხლისა და მისის განაყოფისა²⁶ სისხლი, ასეთისა რომე არა ეახლოს, ამად არა²⁷ სწორად დაედევით²⁸, რომე ჯევისბერს დარბაზით ლაშქართ²⁹ თავადობა ჰბოძებია და იგინი³⁰ მისნი მოახლენი³¹ [V] იქმნებიან და საბატონნი, და მისნი მოახლენიცა,³² ამად რომე დარბაზით დაყენებულს ჯევისბერს ახლავან, თუარა³³ განაყოფი³⁴ არიან. მის განაყოფს ჯევისბერის მოახლისა³⁵ სისხლის სწორი არ მართებს, ამად³⁶ მისი სისხლი გაუნახევრეთ.

¹ გაძება B. ² წელიწადსა A. ³ ოდენ მიხედეს B]—A. ⁴ თავადნი A. ⁵ დაეწინდნენ] დაეწუნეს A, დაეწვეს B. ⁶ ერისთვისა B. ⁷ განმგებლისაგან A. ⁸ დარბაზ B. ⁹ ეურვოს A. ¹⁰ ქუეყანამ A. ¹¹ პატივი AB. ¹² ბეგარა AB. ¹³ ~ ვინმე მოკლას B. ¹⁴ მუახლე AB. ¹⁵ განაყოფით AB. ¹⁶ მიეცეს B. ¹⁷ სასეფოდ A. ¹⁸ და ორს B. ¹⁹ უკანით B. ²⁰ განმგებლის A. ²¹ პირითა A. ²² იმავე] და იმავე B. იმავე A. ²³ და მაშინლა B. ²⁴ ჯევისბერისა B. ²⁵ მუახლის B. ²⁶ განაყოფის B. ²⁷ არა] არად A, არა ეახლო B. ²⁸ დაედევით]+ამიტომ A. ²⁹ ლაშქართა B. ³⁰ იგი B. ³¹ მუახლენი B. ³² მუახლენიცა AB. ³³ თუარა]+ჯევისბერს ახლავან და B. ³⁴ განაყოფად]!. ³⁵ მუახლისა AB. ³⁶ ამათ B..

ჰეროვანთა ასრე გავაჩინეთ:

11. ვინც ჰეროვანი კაცი მოკლას ჰეროვანმანვე კაცმან, სამს წლამდის¹ გარდაიხუეწოს და სისხლი ორასი დრაჰკანი დაეურვოს ათას ორასი თეთრი*—და მამული სასეფეოდ დაედვას.

და თუ დარბაზისა² ცნობასა³ ღირს⁴ იყოს იგი ჰეროვანი, თუ იმავე ზემოთ განაჩენით [მუხ. 6] დარბაზს იკითხონ ერისთავმან და განმგებელმან⁵ და აგრევე უბოძონ მამული.

და თუ დარბაზს არა⁶ ღირს იყოს ცნობასა, თუ ერისთავმან და განმგებელმან⁷ შეუშვან⁸ და მისცენ მამული.

12. თუ კვეისბერმან⁹ მოკლას ჰეროვანი მამულის ნდომისათჳს, ერთს წელიწადს მამულისაგან¹⁰ განიძოს¹¹.

და თუ¹² ეფათერაკოს, დაიურვოს ისრე¹³, ვით ზემოთ¹⁴ გაგზინია [მუხ. 11].

[ციხისთავთა ასრე გავაჩინეთ:]

13. ციხისთავნი ჯადას ორნი იყვნენ. წესი ასრე არის, რომე ჯადელთ თუ ვინ მოკლას ციხისთავი, კვეისბერმან ანუ სხუამან¹⁵ ვინმე, ესრეთ რომ ციხისთავად იდგეს ბრძანებით¹⁶ და არა¹⁷ გარდადგომილ იყოს, სამს წელიწადს მამულისაგან განიძოს¹⁸ და მამული სასეფეოდ დაეჭიროს, და სამი ათას ხუთასი თეთრი სისხლად დაეურვოს¹⁹. სამს²⁰ წელიწადს უკანით²¹ შემოიშვას და მამული ებოძოს იმ ზემოთ²² წესითა და განაჩენითა [მუხ. 6].

* ამ სიტყვის გასწორივ კიდევ მხედრულად B ნუსხაში მიწერილია (შესაძლოა, ვახტანგ VI-ის ხელით): „თეთრი რა არის, ანუ დრაჰკანი. ერთი დრაჰკანი ფლური ერთ თეთრად ორ მარჩილ ნახევარია, და ერთი თეთრი ხუთიანი არის“.

¹ წლამდი A. ² დარბაზის B. ³ ცნობისა A. ⁴ ღირსი A. ⁵ გამგებელმან A. ⁶ არ A. ⁷ გამგებელმან A. ⁸ შეუშვავან A. ⁹ კვეისბერმა A. ¹⁰ მამულებისაგან B. ¹¹ გაიძიოს B. ¹² თუ+ისრე A. ¹³ ისრე დაიურვოს B. ¹⁴ ზემო B. ¹⁵ სხვამ A, სხვამან B. ¹⁶ ბძანებით A. ¹⁷ არ B. ¹⁸ განიძიოს B. ¹⁹ დაეურვოს A. ²⁰ სამს] და სამს B. ²¹ უკან A. ²² ზემო B.

[248] 14. თუ¹ უციხისთაო ჯადელი კაცი მოკლას ვინმე². თუ ციხისთავადაც³ დგომილიყოს, დაეგდოს⁴ და აღარ იყოს ციხისთავად, ჰეროვანის⁵ სისხლი დაეურვოს და მამულისაგან⁶ განეძოს ეზომსა ხანსა, ვითა ზემოთ ჰეროვნისათჳს⁷ გაგჳჩენია; იმავე წესით შემოუშვას [მუხ. 11].

და თუ ციხისთავის ძმა ანუ შვილი ვინმე მოკლას, ჰეროვნის⁸ სისხლით დაიურვოს⁹.

[დედ-მამათა და ძმათა სიკუდილისა ასრე გავაჩინეთ:]

15. დედ-მამათა სიკუდილი შეილისაგან უწესო არის, და ღმერთმან ნუ იყოფინოს ამის¹⁰ კადრება.

და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და დაემართოს, რაც უარესია ყველას დამართება¹¹ და ყოფა: პირიანი¹² გაპატიება¹³, გაძება შეუნდობლად, შემოუშვებლობა, აღმოთხურა და აღმოწყუეტა¹⁴.

სისხლი გაჩენით ამად არა¹⁵ შევაკუეთეთ¹⁶, რომე¹⁷ უსახო და უმსგავსო იყო და უწესო, და¹⁸ სხუათაგან სასახოდ დაიდებოდა.

და არცა ეს წესია, რომე დედ-მამათა სიკუდილისათჳს არ გინდ¹⁹ რა საავო²⁰ დაუამოს შვილთა კაცმან; და რაზომიცა კაცი შვილთა თანა ადგეს მამა-დედათა სიკუდილს, იგიცა²¹ ამავე პატიებითა²¹ იკითხოს.

და სისხლი ამად არ გავაჩინეთ: ამავე ჩუენთა ჟამთა შიგან არა ქნილა და ღმერთმან ნუცა²² იყოფინოს!

16. თუ მამა დაუბერდეს და შვილი მოსწიფოდეს და მამას²³ სამსახური არ შეეძლოს, უპირიანია²⁴ ერთგან ყოფნა.

და თუ რადმე ვერ იქნებოდენ და²⁵ ნასყიდი ეყოფოდეს²⁶, მამამ ნასყიდი დაიჭიროს და შვილმან მამულით გუმსახუროს²⁷.

¹ თუ] და თუ B. ² ვინმე მოკლას B. ³ ციხისთავათა A. ⁴ დაეგდოს] და დაეგდოს B. ⁵ ეროვანის B. ⁶ მამულებისაგან B. ⁷ ეროვნისათჳს B. ჰეროვანისათვის A. ⁸ ეროვნის AB. ⁹ დაიურვონ A. ¹⁰ ამის B. ¹¹ უმართებია B. ¹² პირიანი AB. ¹³ გაპატიება B. ¹⁴ აღმოწყუეტად B. აღმოწყუეტად A. ¹⁵ არ A. ¹⁶ შევაკუეთეთ A. შევაკუეთეთ B. ¹⁷ რომე] — A. ¹⁸ და]—A. ¹⁹ რა რიგათ AB. ²⁰ საავო AB. ²¹ პატიებითა AB. ²² ნუცა] B. ²³ მამის B. ²⁴ უპირიანე B. ²⁵ და]—B. ²⁶ ეყოფოდენ B. ²⁷ გვემსახუროს A. გვემსახუროს B.

და თუ მამას¹ ნასყიდი არ ეყოფოდეს, მამულისაგანც დაიზიაროს; და შვილთან [v] ნების მყოფელი იყოს, ნასყიდიც შვილს დაუგდოს.

და თუ არ ნების მყოფელი იყოს, ნასყიდში² არა კელი აქუს³ შვილსა. თუ უნდა, მამა გაყიდის, და თუ უნდა, მონასყიდე შეიტანს, — რასაც უზამს, მამამ იცის, შვილი⁴ ნასყიდს ვერ⁵ ეცილოს.

17. ვისაც ღმერთი შერისხდეს და ძმამ ძმა მოკლას, იგი მკულელი ათს წელიწადს მამულიდამ გაიძოს⁶ და მამული სასეფეოდ დაიდვას.

და მათეს წელიწადს ერისთავსა⁷ და განმგებელს⁸ შემოეხუეწოს, მათ ვეზირთ მოაჯენონ, ვეზირთ დარბაზს⁹ ჰკადრონ და ესეთი შემოუშვან. რასაც რამ¹⁰ გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს და მამული ებოძოს.

და თუ მის¹¹ მოკლულის კაცის შვილი¹² არ¹³ დარჩეს, არც¹⁴ მისი მოახლე¹⁵ გაუყოფელი, მან ძმამ ძმის სისხლისათვის ნახევარი მამული მისის სულისათვის წააგოს და ნახევარი სასეფეოდ დაიდვას, და იგი ნახევარი სისხლი, მისის სულისათვის გაჩენილი, მას მიეცეს, ვინც მისი მეყუსი დარჩეს სულისათვის სასაურვოდ¹⁶.

და თუ არავინ¹⁷ დარჩეს, ერისთავმან¹⁸ და განმგებელმან¹⁹ წაუგონ²⁰ მის²¹ ქუეყნის²² ხუცესთა და კაცთა კელითა.

18. და თუ ოთხნი-ხუთნი ძმანი იყვნენ და რაზომცა²³ გაყოფით იყვნენ, მოახლემ²⁴ აღიღოს და მოაჯმაროს მისსა სულსა.

და თუ ამ მოკლულის კაცის ცოლი დარჩეს და არ გათხოვდებოდეს²⁵, მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაპყრო მიეცეს ძალისა მსგავსად.

და თუ დარბაზის ცნობას ღირს იყვნენ, დარბაზს იკითხონ და დარბაზით გაეჩინოს.

¹ მამულად B. ² ნასყიდთან B. ³ აქუს] უც B. ⁴ შვილი] და შვილი B. ⁵ ვერას B. ⁶ გაიძოს AB. ⁷ ერისთავს B. ⁸ განმგებელს A. ⁹ დარბაზთ A. ¹⁰ რამ]—B. ¹¹ მის] +კაცის B. ¹² კაცის შვილი] კაციშვილი AB. ¹³ აღარ B. ¹⁴ არც] და არც B. ¹⁵ მუახლე B. ¹⁶ სასაურვოდ A, სასაურვოდ B. ¹⁷ არვინ A. ¹⁸ ერისთავმა B. ¹⁹ განმგებელმან B. ²⁰ წაუგოს A. ²¹ მის] მას AB. ²² ქუეყნისთა A, ქუეყნის B. ²³ რაზომსაც B. ²⁴ მუახლემ B. ²⁵ გათხოვდებოდეს B.

და თუ არ ღირს იყვნენ, ერისთავმან და განმგებელმან¹ გაუჩინონ² და სისხლისაგანაც მიეცეს და ათისაგანაც³ ერთი.

[249] სალაშქროს საქმე ასრე⁴ გავაჩინეთ:

19. რომელიც ქუეყანა და⁵ თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან⁶ და ჟამიერად არ გამოვიდნენ,— ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ⁷ ერთმან კაცმან და რაზომ-ცალა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფოდ, და თუთო ჯარი წაეგუაროს სასეფოდ, და მეორეს წელიწადს მამული ისევ ებოძოს ერისთვისა და განმგებლისაგან⁸ საურავითა.

ესე ჰეროვნისა⁹ და სოფლიონისა იყოს.

და თუ ჯევისბერმან¹⁰ დააკლოს და არ გაყუეს¹¹, ჯევისბერობა წაეღოს და მამული დაეჭიროს¹², და ერთს წელიწადს¹³ უკან მამული ისევ ებოძოს, და ჯევისბერობაც ისევ ებოძოს¹⁴, თუ ნამსახური იყოს და¹⁵ სხუა არა შეეცოდოს¹⁶ რა.

20. ჯევისბერი თუ უგემურად^{*} იყოს ლაშქრობის ჟამს, მისი ძმა და მოახლე¹⁷ კაცი წავიდეს, და ჯევისბერს შეენდოს ლაშქარს წაუსვლელობა¹⁸.

[ცოლის დაგდებისა და წაგურისა საქმე ასრე გავაჩინეთ:]

21. კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ, და მისი შუეცოდარი იყოს და გაეყაროს ესეთსა, ნახევარი სისხლი დაუურვოს¹⁹ მის დიაცის გუარსა ზედა.

22. კაცმან კაცსა თუ ცოლი წაართუას, იგი ცოლ-წაგურილი კაცი რასაც ვის ემტეროს ერთს წლამდის—დაწვასა, მოტაცებასა, დარბევასა,—არა მიეთასოს²⁰, რა რიგად წაუღოს სისხლის ქნისაგან მეტი.

¹ გამგებელმან A. ² გაუჩინოს A. ³ ათისაჲან B. ⁴ ასე B. ⁵ და—B. ⁶ გამგებელმან A. ⁷ ან B. ⁸ გამგებლისაგან A. ⁹ ეროვნისა AB. ¹⁰ ჯევისბერმან |+კაცმან B. ¹¹ გაყოს B, გაყუეს A. ¹² ჯევისბერობა წაეღოს და მამული დაეჭიროს B | ჯევისბერობა და მამული წაეღოს A. ¹³ წელიწადსა B. ¹⁴ და ჯევისბერობაც ისევ ებოძოს—A. ¹⁵ და—A. ¹⁶ შეეცოდოს A, შეეცადოს B. ¹⁷ მუახლე A. ¹⁸ წაუსვლელობა A. ¹⁹ დაურვოს A. ²⁰ მიუფასოს AB.

* აქედან ვიდრე 25-ე მუხლის შემდეგ სიტყვებამდის: „(და ებისკოპოსთ გაუჩინონ...“ B ხელნაწერს აკლია.

და ერთს წელიწადს უკან რას ემტერების. იგიც მიეფურების. ნახევარი¹ სისხლის დაურვება მართებს მათს გუარს ზედა ცრლის წაგურისათჳს, და სისხლსა მიეფასების. რასაც ზოკლავს მტერობასა შიგან ერთსა წლამდის, სისხლი აროდეს გაუცუდდების, თჳნიერ დამსხმელისა, ისე რომე ქუეშო გაგჳჩენია [მუხ. 25 და 29].

[v] 23. კაცმან თუ გზგზნ-ნაკურთხი ცოლი წაგუაროს, თუ არ შეყროდეს, ნახევარის სისხლით დაიურვოს მათსა² გუარსა ზედა.

24. კაცმან თუ³ ჯუარ-გაცულილი ცოლი წაგუაროს, სისხლის მეექუსედი დაიურვოს მათსა გუარსა ზედა.*

25. კაცმან თუ³ კაცს ცოლი წაგუაროს, იგი ცოლ-წაგურილი კაცი რასაც ემტეროს, ზემოთ გაჩენილია [მუხ. 22].

და თუ დაესხას, ასეთი რომე არც შეზაფებულ იყვნენ, არც დანდობილ იყვნენ, არც სისხლი აღებულ იყოს, დამსხმელი არ იქნების, არც მოიკულევის⁴ სისხლი.

ორთავე მკვეხველად მივიდეს და შემოებას, და ესეთი მოკლან...და წირვისა კათალიკოზმან და ეპისკოპოზთ გაუჩინონ**.

და თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს⁵ და მოკუდეს, გაცუდდეს მის დიაცისა⁶ სისხლი.

და თუ უბრალო მოკლან, ორი სისხლი დაიურვონ დიაცისათჳს. და გერში ყუელასი სწორე⁷ არის: მონაზონთა⁸, ხუცესთა—დიაცისა მწიროველისა.

და თუ არ-მწიროველია, არ შემოვა⁹ ორ სისხლად და სისხლიც სწორეა¹⁰.

მონაზონთა¹¹, მწიროველთა ხუცესთა და დედათა ორკეცი სისხლი არის¹².

უბრალოდ¹³ დაემართოს¹⁴ და მოკუდეს ანუ დაიკოდნენ¹⁵, მისის გუარის წესით დაიურვოს.

* ხელნაწერის 25-ე მუხლი გამეორებაა 21-ე მუხლისა, რის გამოც ჩამოგვაქვს აქ (მდრ. მუხ. 21):

21. ჳინც ცოლი უბრალოდ დაავდოს, და გამოჩნდეს, რომე არა შეეცოდოს რა. ესეთს უბრალოს გაყროდეს, სისხლის ნახევარი დაიურვოს მისის სახლის წესსა ზედა».

** მე-20 მუხლის დასაწყისი სიტყვებიდან: „ვევისბერი თუ უგემურად... ვიდრე აქამდე B წუსხას აკლია.

¹ ნახევარ A. ² მათს A. ³ თუ—A. ⁴ მოიკულევის A. ⁵ ქონდეს A. ⁶ დიაცის A. ⁷ სწორი B. ⁸ მონაზონთა A. ⁹ შემოა B. ¹⁰ სწორია B. ¹¹ მონაზონთა A. ¹² არს AB. ¹³ უბრალოდ B. ¹⁴ დაემართო B. ¹⁵ დაიკოდონ A.

შუად მონაზონი¹ ანუ მწირველი ხუცესი, ანუ დიაცი მივი-
დეს, ეს [250] ოეთ რომე² აბჯარი არა ჰქონდეს, და ასეთი
მოკლან, ვინც მოკლას, ორკეცი სისხლი დაიურვოს მისსა
გუარსა ზედა.

[ციხის დაქცევისა საქმე ასრე გავაჩინეთ:]

26. დარბაზით უბრძანებლად³ ვისცა ციხე დაუქციონ, ანუ
ჯევისბერმან კაცმან, ანუ ქუეყანამან ქუეყანასა, ანუ სწორმან
სწორსა, და ვის გინდა⁴ დაექციოს, — და ამათის მტერობისა-
თჳს დაქცეოდეს და ამათ შუა სხუა რაც სასაქმო იყოს, ვი-
თა გაგზჩენია,⁵ აგრე გარდასწყედეს. და ციხის დაქცევისათჳს
დაიურვონ⁶ ნახევარი სისხლი. რასაც გუარისა არის და რა-
საც გუარის ციხის პატრონი იყოს, მისსა გუარსა ზედა. და⁷
ციხე აგრევე ააგოს დამქცეველმან.

და თუ ბრძანება⁸ ჰქონდეს⁹ და ბრძანებით¹⁰ დაექციოს,
და თავით გარდაჯდეს, არას ემართლებიან.

[ბეთალმანისა საქმე ასრე გავაჩინეთ:]

27. ბეთალმანად რაც პარტახტი და¹¹ მამული დარჩეს.
რომე მემამულე აღარ მიაჩნდეს, თუ მისის გუარის კაცი გა-
პოჩნდენ ერთგუარნი, და რომელნიმე უფროსნი მეყჳსნი და
მოსამართლენი იყვნენ, ჳირსა და ლხინსა¹² უფრო თანამდგომ-
ნი ყოფილ იყვნენ, მათ ებოდოს, ასრე¹³ რომე საჯარო და¹⁴
სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქუეყანასა.

და თუ მათის გუარისა აღარა დარჩეს რა კაცი, ამავე
საჯარო ბეგარი¹⁵ სალაშქროდ¹⁶ ვინცლა¹⁷ შეიწყნაროს¹⁸, და
ღირს იყვნენ ბოდებასა¹⁹, დარბაზით ებოდოს.

და თუ დარბაზით მისისა ბოდებისა²⁰ უღირსი იყოს,
ერისთავმან და განმგებელმან²¹ მისცენ, და²² აგრევე მებეგ-
რედ და მოსამსახურედ იყვნენ.

A. ¹ მონაზონი B. ² რომ A. ³ უბრძანებლად A. ⁴ ვის გინდა| ვინ
გინდა ვინ A. ⁵ გაგვიჩენია A. ⁶ დაიურვოს B. ⁷ და|—A. ⁸ ბძანება A.
⁹ ჳონდეს A. ¹⁰ ბძანებით A. ¹¹ და|—A. ¹² ლხინში B. ¹³ ასე A. ¹⁴ და|
—A. ¹⁵ ბეგარა AB. ¹⁶ სალაშქრო AB. ¹⁷ ვინლა A. ¹⁸ შეიწყნარონ B.
¹⁹ ბოდებათა A. ²⁰ ბოდებისათ A. ²¹ განმგებელმან A. ²² და|—A.

დამსხმელისა ასრე გავაჩინეთ:

28. კაცსა¹ ვისმე სხუას კაცთანა საქმე ედვას და მივიდეს იგი მოსაქმე კაცი და მას კაცს სამართალი სთხოოს და არ გამოჰყვეს, [V] და მერმე მოვიდეს იგი კაცი და განმგებელს² ეუბნას³: ამ კაცთან სამართალი მიც, ვსთხოვე⁴ და არ გამომყვა⁵.

ესე⁶ საქმე ერისთავსა⁷ მოაქსენონ განმგებელმან⁸ და მან კაცმან. ორჯერ⁹-სამჯერ გამოიწვიოს¹⁰ სამართალსა¹¹. თუ არ გამოჰყვებოდეს¹² არც ერისთვის სიტყვთა და¹³ არც განმგებლისათა¹⁴, და მოწმობდენ მართლად, უთნევად და უქრთამოდ.

თუ სამჯერ სამართალი ითხოვა და არ გამოყოლოდეს, ისეთი კაცი თუ კაცს დაესხას, რაც რომლისა მოკუდეს ან დაიკოდოს, სისხლი და გერში¹⁵ ორთავე სწორია—ზედა-დამსხმელისა და შინა-მყოფისა, ამისთვს რომე¹⁶ სამართალს სამჯერ აწვია და არ გამოჰყვა¹⁷. ერისთავი და განმგებელი¹⁸ მოწმობენ, მათი კაცი მოსრულა და არ გამოჰყოლია¹⁹ სასამართლოდ, ამისთვს დამსხმელისა და შინა-მყოფისა²⁰ სისხლი გასწორდების თავის გუარსა ზედა, რასაც გუარის კაცნი იყენენ.

ესეთი კაცი კაცს დაესხას, რომე საქმესა დარბაზისასა იმიზეზებდეს უკანის და პირველ ერისთვისა²¹ და განმგებლის²² სიტყვთ და მოწმობით სამჯერ სამართალს ეწვიოს, და ესეთს უბრალოსა ზედა დაესხას, დამსხმელისა სისხლი არ არის, რაზომიცა²³ მოკუდეს, ყუელა გაცუდდების²⁴.

და მას კაცსა²⁵ და ქუეყანას, რომელსაც ზედა²⁶ დაესხმის, ყუელას სისხლი მართალია, რაზომიც უბრალო²⁷ დამსხმელმან კაცმან მოკლას, ყუელა დაიურგოს თავის გუარსა²⁸ ზედა.

¹ კაცს A. ² გამგებელს A. ³ ეუბნოს A. ⁴ ვთხოვე A. ⁵ გამამყუა A, გამამყუა B. ⁶ ეს A. ⁷ ერისთავს A. ⁸ გამგებელმან A. ⁹ ორჯელ A. ¹⁰ გამოიწვიოს AB. ¹¹ სამართალს A. ¹² გამოყუებოდეს A. ¹³ და—A. ¹⁴ გამგებლისათა A. ¹⁵ გეში B. ¹⁶ ამიტომ რომ A. ¹⁷ გამოყვა B. ¹⁸ გამგებელი A. ¹⁹ გამოყოლია A. ²⁰ შინამყოფისა ²¹ ერისთვის B. ²² გამგებლისა. ²³ რაზომიც B. ²⁴ გაცუდდების B. ²⁵ კაცს B. ²⁶ ზედ A. ²⁷ უბრალო A. ²⁸ გუარსა AB] + წესსა B.

29. თუ კაცსა ცოლი წაგუაროს და ანუ მოკლას რა უბრალო ასეთი და იგი კაცი დაესხას ზედა, მის მომკულელი-სა¹ და ცოლის წამგურელისა კაცისა² დასხმისათჳს და [251] მსხმელი არა ჰქვან³.

[უარზანგობისა საქმე ამ წესით გაგჳჩენია:]

30. მამულისა ანუ სხჳსა⁴ რისამე ესე არის: ვისიც თორმეტი⁵ ათასი თეთრია⁶ სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა—სამასი თეთრი არის.

აზნაურთა, ჳევისბერთა—ასორმოცდაათი თეთრი არის ერთი უარზანგობა; ჰეროვანთა⁷— ოცდაათი თეთრი.

და ამ წესით გაგჳჩენია: ვისიც სისხლი უფროსი იყოს ანუ უმცრო, უარზანგობაც ამ⁸ გაჩენით იყოს.

გერშის საქმე ასრე იქმნას:⁹

31. ვისცა პირსა ზედა გერში აჩნდეს სადალეღ და¹⁰ ანუ ცხზრნი მოეკუეთნენ¹¹, სისილის მეხუთედი დაეურვოს, რასაც გუარის კაცი იყოს.

თუ გერში საღ საჩინოდ¹² იყოს, ასრე რომე არ დაშავდებოდეს და დააჩნდეს, საძი უარზანგობა¹³ დაეურვოს და¹⁴ დასტაქართა წამლის ფასი.

, ასოთ საქმე ასრე¹⁵ გაგაჩინეთ:

32. მარჯუენა ჳელი ვისაც მოეკუეთოს¹⁶ ანუ დაუშავდეს დაკოდლილობითა, სისილის მესამედით დაიურვოს¹⁷.

33. კაცსა¹⁸, თუ ლაყოჩა¹⁹ იყოს და მარცბენას ჳელს მარჯუენად იკმარებდეს, მარჯუენის ჳელის სისხლი დაეურვოს.

¹ მამკულელისა A, მამკელელისა B. ² წამგურელისა კაცის H| წაგუ-
რის A. ³ ქუან A, ჰკვიან B. ⁴ სხვის A. ⁵ თურამეტი A, თურამეტი B.
⁶ თეთრი AB. ⁷ ეროვანთა AB. ⁸ ამა B. ⁹ ასრე იქნას A, ასე იქნას B.
¹⁰ და]—B. ¹¹ მოეკუეთნენ B. ¹² საჩინოდ საღ B. ¹³ უარზანგობა AB.
¹⁴ და]—B. ¹⁵ ასე B. ¹⁶ მოეკუეთო B. ¹⁷ დაიურვოს B. ¹⁸ კაცს B. ¹⁹ ლა-
ყოჩი B.

34. კაცსა¹ თუ თუალი წამოვარდეს ანუ ფერჯი² დაუშავდეს, ანუ მოეკუეთოს, სისხლის³ მეოთხედი დაეურვოს⁴.

35. ერთს ომში ერთს⁵ კაცსა⁶ ორივე ჯელი⁷ დაუშავდეს ანუ ფერჯნი⁸. გინა თუალნი⁹ წაუჭდეს, ექუსთა ასოთაგან ორი ასო ერთგან დაუშავდეს¹⁰, სისხლის ნახევარი დაეურვოს¹¹ მისსა გუარსა ზედა და დასტაქართა წამლის ფასი ოაც გასვლოდეს¹².

და [V] თუ თუთოს ომსა შიგან თუთო დაუშავდეს და არ ერთგან ორი, ისრევე ქნას, ვითა ზემოთ¹³ გაგვჩენია [მუხ.32].

36. კაცმან თუ კაცს ცერი მოჰკუეთოს¹⁴, ანუ დაუშავდეს. ჯელის განაჩენით—ნახევრის სისხლით დაიურვოს,¹⁵—ჯელის პარჯუენა იყოს თუ მარცხენა—მისის განაჩენით. და სხუა რომელიც თითი მოეკუეთოს¹⁶ და¹⁷ ანუ დაუშავდეს, ჯელის შესამედი სისხლი დაუურვოს¹⁸.

37. სადაც კაცი დაიკოდოს, ასრე რომე არა ჩნდეს ტანისამოსისაგან, არცა რა დაუშავდეს, თუთოს დაკოდლობისათჳს თუთო უარზანგობით¹⁹ დაიურვოს თავის გუარსა ზედა და²⁰, დასტაქართა²¹ წამლის ფასი რაც გასვლოდეს²², ისიც მისცეს

38. კაცმან თუ კაცს კბილი ჩააგდებინოს²³, ოთხთა ზემოთ წინათ, ოთხთა ქუემოთ საჩინოთა კბილთა ჩაყრევინებისათჳს თუთოს კბილისათჳს ოროლი უარზანგობა²⁴ დაიურვოს თავის წესსა და გუარსა ზედა.

39. ამ ოთხთა კბილთა იქით სხუათა უჩინართა ჩაყრევინებისათჳს თუთოს კბილისათჳს თუთო უარზანგობა დაიურვოს.

[ახაბიათა საქმე ასრე იქმნას:]

40. ვისცა²⁵ ახაბია ეახლოს²⁶ და მოკუდეს ანუ დაიკოდოს, მის მომკვლელის²⁷ კაცისაგან არც სისხლი დაეურვოს და არც გერში მიეცეს.

¹ კაცს B. ² ფეზი A. ³ სისხლი B. ⁴ დაეურვოს B. ⁵ ერთ B. ⁶ კაცს B. ⁷ ჯელნი B. ⁸ ფეზნი A, ფერჯი B. ⁹ თუალი B. ¹⁰ დაუშავდეს| წაუხდეს. A. ¹¹ დაეურვოს B. ¹² გასვლოდეს B. ¹³ ზემო A. ¹⁴ მოკუეთოს A. ¹⁵ დაიურვოს B. ¹⁶ მოეკუეთო B. ¹⁷ და|—B. ¹⁸ დაეურვოს B. ¹⁹ უარზანგობით, A. B. ²⁰ და|—B. ²¹ დასტაქარსა A, დასტაქანთა B. ²² გასვლოდეს B. ²³ ჩაგდებინოს B. ²⁴ უზანგობა A, ურზანობა B. ²⁵ ვისაც A. ²⁶ იახლოს A. B. ²⁷ მამკულელის A

და¹ ვისიც ასაბია ყოფილა, მათი საქმე ასრე იქმნას: თუ მათ შუა ამისი პირი იღვას, რომე² ერთმანეთის³ ასაბიანი⁴ იყვნენ და⁵ დაიჯოცებოდნენ, უღირდეს სიკუდილი და გაუყრ[252]ელობა, თუთ მათ იციან, შესწორებული საქმე⁶ არის.

და თუ რადმე გაიყრებოდენ და მოყუარენი აღარ იყვნენ, მის მომკუდრის კაცის სისხლისათჳს,—თუ მის ასაბიეთ წამყვანელის კაცის სახლის⁷ კაცი პირველ არ მომკუდარიყოს⁸ და ესრეთ ეასაბიოს⁹,—სისხლის დაურეება მის გუარსა ზედა.

და მას რბევასა შიგან ოდეს იგი მოასაბიე¹⁰ მომკუდარიყოს¹¹, მისის სახლის¹² კაცთა და¹³ მისთა ყმათა სანიეთო რა ეშოვნოს, ასეთი¹⁴ რომე¹⁵ კარგი იყოს რა¹⁶, სისხლთა შიგან მიეფასოს. ამისთჳს მას სისხლსა¹⁷ დაუურეებს,¹⁸ და ვინც მორბეულა, მას უზღავს.

და თუ სანიეთო არ იყოს, ნურა მიეფასების რა.

41. ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს.

თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა, ამიერი ჯადა-ცხაოტის¹⁹ მიმდგომი არის, და აგრევე გაჩენით იყოს.

42. ამიერნი²⁰ ჯევისბერნი და ჰეროვანნი²¹ იმიერთ ნუოდეს²² მიუდგებიან, ნუცა სალაშქროდ, ნუცა²³ სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა²⁴ თავის-თავისასა საერისთვოსაგან²⁵ კიდე.

და რომელიც მიუდგეს²⁶,—თუ უნდა იმიერი ამიერსა²⁷ ანუ ამიერი იმიერსა, —დარბაზით მამული წაეღოს²⁸ და ციხე დაეჭკიოს.

¹ და|+ვისგანც B. ² რომ A. ³ ერთმანეთის B. ⁴ ასაბიენი B. ⁵ და|—|; ⁶ საქმე|+საქმე B. ⁷ სახლის| სისხლის A. ⁸ მამკუდარიყოს A. ⁹ ესაბიოს A, ვესაბიოს B. ¹⁰ მოასაბე A. ¹¹ მამკუდარიყოს A. ¹² სახლის| სისხლის A. ¹³ და|—A ¹⁴ ასეთ B. ¹⁵ რომ A. ¹⁶ რად AB. ¹⁷ სისხლს B. ¹⁸ დააურეებს A. ¹⁹ ჯადა-ცხაოტის B. ²⁰ ამიერნი| და ამიერნი B. ²¹ ეროვანნი AB. ²² ოდეს|+ნუA. ²³ ნურცა AB. ²⁴ ერთმანეთთანა B. ²⁵ საერისთოსაგან AB. ²⁶ მიუდგეს|+რომელიც A. ²⁷ ამიერსა|+და A. ²⁸ წაეღოს A.

სამეკობროს საქმე ასრე¹ გავაჩინეთ, რომე

43. ვინც რა ვინ² მოიპაროს—ცხენი, ცხუარი, ძროხა ანუ სასაქონლო რამე, ანუ სახლი გატეხონ და წაიღონ რაზე, — და უკან [V] წაუდგნენ და მიეწიენენ, და³ მეკობრენი შემოეზნენ. და მეკობრე რაზომიცა⁴ მოკლან, სისხლი გაუცუდდეს ყუელასი.

და ნაპარევისათვის ერთი თვთ იგი თავადი⁵ დაუურვონ და ორი სხუა, — თავითურთ სამი შეიქმნას.

და საქონლის პატრონი თუ მოკლან ანუ მისი მოახლე უკან მდევარი, რაზომიცა⁶ მოკუდენ⁷, სისხლი სრული დაუურვონ⁸.

და ნაპარევი ყუელა ამ განაჩენით იზღვეოდეს: ერთი — თვთ⁹ რაც წარჰდომოდეს¹⁰, და¹¹ ორი სხუა.

44. კაცსა რომ მოეპაროს ვისგან რამე¹² და მას ჟამსა¹³ ვერა შეიგნონ¹⁴ რა და უკანის შეამცნიონ¹⁵ ნაპარევი და გამოჩნდეს მართლად, მივიდნენ და სთხოონ¹⁶, ქუეყანა იყოს. მეკობრე თუ ერთი კაცი.

და როდისაც მივიდეს საქონლის პატრონი¹⁷ და სთხოოს¹⁸, იგი უმართლე არის, და მისცენ¹⁹ იმ ზემოთის²⁰ განაჩენითა [მუხ. 43], კარგად გარდაუჟადოს²¹.

და თუ არ მისცენ, განმგებელსა და მის ქუეყნის²² ზევისბერს აცნობონ²³, მათ უთხრან და დაუურვებინონ²⁴ ამავე განაჩენითა [მუხ. 43].

და თუ არც ამათის²⁵ სიტყვთ გამოერთვას და ეთხოოს ორჯერ, სამჯერ, სადაც²⁶ ახლოს ერისთავი იყოს²⁷, მასცა აცნობონ²⁸. და თუ არც მან²⁹ დაუურვებინოს³⁰ და ეს საქონლის პატრონი ზედ დაესხას მას მეკობრესა, დამსხმელი არა ჰქვან.

¹ ასე AB. ² ვინცა ვინ A. ³ და]—A. ⁴ რაზომიც B. ⁵ თავი B. ⁶ რაზომიც B. ⁷ მოკედეს B. ⁸ დაიურვონ B. ⁹ თვთ] თუ A. ¹⁰ წახდენოდეს A. ¹¹ და]—A. ¹² რამე]—B. ¹³ ჟამს A. ¹⁴ შეიგნოს B. ¹⁵ მიამცნიოს B, შიამცნონ A. ¹⁶ სთხოონ B. ¹⁷ პატრონი A. ¹⁸ სთხოოს A. სთხოვოს B. ¹⁹ მისცენ A. ²⁰ ზემოთა B. ²¹ გარდაუჟადოს B. ²² ქუეყანა და B. ²³ აცნობონ] და B. ²⁴ დაუურვებინონ A. ²⁵ ამის A. ²⁶ სადა A. ²⁷ იყოს] და B. ²⁸ აცნობოს A. ²⁹ არც მან] არ B. ³⁰ დაუურვებინოს B.

და რაც¹ პირად² მეკობრეთ ანუ მისთა ასაბიათა³ და შემომბმელთა მეკობრესთან მოკუდეს, სისხლი ნუ ეზღვევის მათი.

და რაზომიც საქონლის პატრონისა მოკუდეს, ყუელასი სისხლი დაიურვონ, ამისთჳს⁴. რომე მეკობრეთდა უთხოვნია, — განმგებელი და ჭევისბერნი მოწ [მწმ] მობენ, არ მოცემიათ⁵, — ორჯერ⁶, სამჯერ. ამისთჳს მათა სისხლი გაცუდების⁷.

ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ:

45. სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან⁸ ძეს⁹ წესად, რომე აღიღონ¹⁰, და არც სხუათა სჯულთა¹¹ უწერია. და სარგებელი არის უწესო.

და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს¹², რა გინდა რა¹³ ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრსა ზედა ორი თეთრი მიეცეს¹⁴; რაზომი დიდი ხანი დაყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად. და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს.

სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა.

¹ და რაც|არც A. ² პირით A, პირათ B. ³ ასაბიეთა A. ⁴ ამისთჳს| ამიტომ A. ⁵ მამცემიათ A, მმოცემა B. ⁶ ორჯელ A. ⁷ გაცუდდების B. ⁸ სჯულთა შიგან| რჯულთა A, სჯულსა შიგან B. ⁹ ძეს| ძეთ A. ¹⁰ აღიღონ A. ¹¹ რჯულთა A. ¹² აღიღოს A. ¹³ რა გინდ რა B. ¹⁴ მისცეს B.

ლექსიკონი

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ა

აბჯარი 25* იარაღი, საქურველი.

აგება: ციხე აგრევე ააგოს 26 ციხე აგრევე ააშენოს.

აფი ბოროტი; ბოროტმოქმედება: ვის რა ეყოს ერთმანეთის ავი (შესავ.)** ვის რა ბოროტმოქმედება ჩაედინოს ერთმანეთის მიმართ; კაცი ასრე ავი იყოს 45 კაცი ასეთი ბოროტი (მევახშე) იყოს.

აზნაური 4, 30 მემამულე, ვასალი: თუ აზნაური იყოს განმგებლად 4 ხევის მმართველად თუ აზნაური იყოს.

ათი: სისხლისაგანაც მიეცეს და ათისაგანაც ერთი 18 მკვლელობის საზღაურიდანაც მიეცეს და მეთადი ნაწილიც.

ამად: ამად არ გასჩენოდა (შესავ.) ამიტომ არ დაედგინათ, დაეწესებინათ; ამად აღარ შემოვიღეთ (შესავ.) ამიტომ არ დავადგინეთ, დავაწესეთ.

ამიერნი: ამიერნი ჯევისბერნი და ჰეროვანნი 42 აქაურნი, გამოლმა მცხოვრებნი ხევისბერები და ჰეროვანები.

ამოსულა: ერთმანეთის ამოსულა (შესავ.) ურთიერთ შორის დაურვება, გადახდა, ანგარიშსწორება.

აღება: მოახლემ აღიღოს 18 ახლო ნათესავნა (ძმამ) მიიღოს; სარგებელი აღიღოს 45 პროცენტი აიღოს.

აღებული: არც სისხლი აღებულ იყოს 25 საზღაური გადახდილი არ იყოს.

აღმოფხურა 15 ამოგდება, მოსპობა.

აღმოწყუება 15 ამოხოცვა, ამოელეტა, გაწყუება.

აღრევა: აღრევით ყოფა ერთმანეთსა შიგან (შესავ.) ერთმანეთს შორის არევ-დარევით ყოფნა.

* ციფრები აღნიშნავს ძეგლის მუხლებს.

** ძეგლის შესავალი.

- ასაბია ანხანაგი, დამხმარე. შემწე: ვისაც ასაბია ეახლოს 40 ვისაც დამხმარე თან ახლდეს; ასაბიეთ წამყუნელი 40 ვინც თან წაიყვანა დამხმარე.
- ასაბიანი: ერთმანეთის ასაბიანი იყვნენ 40 ერთმანეთის დამხმარენი, შემწენი იყვნენ.
- ასაბიობა: ესრეთ ეასაბიოს 40 ასე დახმარებოდეს, დახმარება გაეწიოს.
- ასო: ასოთ საქმე 32 სხეულის დაზიანების საქმე; ექუსოა ასოთაგან ორი ასო ერთგან დაუშავდეს 35 ექვისი ორგანოდან ორი მთლიანად დაუზიანდეს.

ბ

- ბეგარი სავალდებულო გამოსაღები, საბატონო სამუშაო, სამეთო სამსახური: თვით ცხენი ბეგრად დაედვას 2 თითო ცხენის გამოყვანა დაეკისროს; დაედვას ბეგარი საუქუნოდ 8 დაეკისროს ბეგარა მუდმივად; სწორი ბეგარი 8 თანასწორი ბეგარა.
- ბეითალმანი უპატრონოდ დარჩენილი ქონება: ბეითალმანად რაც პარტახტი დარჩეს 27 უპატრონოდ ცარიელი. დაუმუშავებელი ადგილი დარჩეს.
- ბიძახძე 7 ბიძაშვილი.
- ბოძება: მამული ებოძოს 3 მამული მიეცეს; სისხლი ებოძოს 3 საზღაური მიეცეს, სისხლი აუნაზღაურდეს; ჯევისბერობა ებოძოს 5 ხევისბერის თანამდებობა მიეცეს; მამული ჯელთ უბოძონ 6 მამულის მფლობელობა დაუბრუნონ; დარბაზით ებოძოს 27 დარბაზის განკარგულებით მიეცეს.
- ბრძანება: ციხისთავად იდგეს ბრძანებით 13 ციხისთავად იყოს დანიშნული განკარგულებით: აწვიენეს ბრძანებითა 19. ბრძანებით გაიწვიეს (ლაშქარში); ბრძანება ჰქონდეს 26 განკარგულება; ნებართვა ჰქონდეს; ბრძანებით დაექციოს 26 განკარგულებით დაენგროს.

გ

- გავონება: გავიგონეთ მათნი საქმენი (შესავ.) მოვისმინეთ მათი საქმეები.

- გამორთმევა:** გამოერთვას 44 დაუბრუნდეს, მიეცეს.
- გამორჩევა:** კაცი გამოარჩიონ 5 კაცი შეარჩიონ. ვააონახონ.
- გამოხვლა:** ხანი გამოსულიყოს 45 დრო გასულიყოს.
- გამოსაყვანელი:** ბეგრად დაედვას გამოსაყვანელად 2 გადასახადად დაეკისროს გამოსაყვანად (კხენი).
- გამოყოლა:** სამართალი სთხოოს და არ გამოჰყუტეს 28 სადავო საქმის სასამართლო წესით გადაწყვეტა მოსთხოვოს და მოპასუხე არ დაეთანხმოს, სასამართლოში დაიბაროს და არ გამოცხადდეს; სამართალი ვთხოვე და არ გამომყვა 28 სასამართლოში დაეიბარე და არ გამოცხადდა; არ გამოყოლია სასამართლოდ 28 არ დასთანხმებია საქმის სასამართლოში განხილვაზე; თუ სამჯერ სამართალი ითხოვა და არ გამოყოლოდეს 28 თუ სამჯერ სასამართლოში დაიბარა და არ გამოცხადდა.
- გამოჩენა:** გუარის კაცნი გამოჩნდენ ერთგუარნი 27 უახლოესი ნათესაეები, თავისივე გვარის კაცები აღმოჩნდნენ; გამოჩნდეს ბართლად 44 დადასტურდეს ნამდვილად.
- გამოწვევა:** ორჯელ-სამჯერ გამოიწვიოს სამართალსა 28 ორ-სამჯერ დაიბაროს სასამართლოში; სამართალს სამჯერ აწვია და არ გამოჰყვა 28 სამჯერ დაიბარა სასამართლოში და არ გამოცხადდა; სამჯერ სამართალს ეწვიოს 28 სამჯერ სასამართლოში დაებარებინოს.
- განაყოფი:** ქვეისბერის განაყოფი 9, 10 ხვეისბერის უახლოესი, ოჯახიდან გაყოფილი ნათესაეი (ძმა ან სხვ.); განაყოფისა კაცისათჳს 9 ოჯახიდან გაყოფილი კაცისათვის; განაყოფისსისხლი 10 ოჯახიდან გაყოფილი კაცის მკვლელობის საზღაური.
- განაჩენდაუდებლობა** (შესაე.) კანონთა შეუდგენლობა, კანონმდებლობის უქონლობა.
- განაჩენი:** დავდევით განაჩენი (შესაე.) შევადგინეთ სამართლის წიგნი, კანონმდებლობა; ზემოთ განაჩენით 7 ზემოთ დადგენილი წესით, კანონით; კელის

- განაჩენით დაიურვოს 36 ხელის მოკვეთის ან დაშავებისათვის დადგენილი კანონით გადაიხადოს.
- განახვევრა: სისხლი გაუნახვევრეთ 10 მკელელობის საზღაური გაუნახვევრეთ.
- განმგებელი 2—5 ხევის მმართველი; განმგებელმან გაუჩინოს 18 ხევის მმართველმა დაუნიშნოს, განუსაზღვროს.
- გაპარსვა: თუთო გაიპარსოს 2 თვითეული გაიპარსოს.
- გაპატიება: დასჯა; კაცი გაიპატიეოს 3 კაცი დაისაჯოს; პირიანი გაპატიება 15 ნეკური, სასტიკი დასჯა.
- გარდადგომილი: არა გარდადგომილი იყოს 13 გადადგარი, განთავისუფლებული არ იყოს.
- გარდაწყვეტა: ვითა გაგზენია, აგრე გარდასწყდეს 26 ოოგორც დაგვიდგენია, ასე გადაწყდეს.
- გარდახუენა 1 გადაკარგვა, გაძეგება.
- გარდაჯღვეინება: გარდაჯღვეინება დარბაზით ეკითხოს 1 სამეფო საბჭოს მიერ იქნეს განსაზღვრული მკელელობის სისხლი.
- გარდაჯღმა: სისხლი გარდაჯღმეს (შესავ.) საზღაურის გადახდა დაეკისროს; თავით გარდაჯღმეს 26 თვით მას დაეკისროს.
- გასვლა: წამლის ფასი რაც გასვლოდეს 35, 37, წამლის ფასი რაც დახარჯოდეს.
- გასწორება: სისხლი გასწორების თავის გუარსა ზედა 28 საზღაური თანასწორი გახდება საგვარეულო ღირსების მიხედვით.
- გატეხა: სახლი გატეხონ 43 სახლი გაქურდონ.
- გაუყოფარი 7 ოჯახიდან გამოუყოფელი.
- გაუყოფელი: მოახლე გაუყოფელი 17 ახლო ნათესავი (ძდა) გამოუყოფელი.
- გაუყრელობა: უღირდეს სიკუდილი და გაუყრელობა 40 სიკვდილი ურჩევნოდეს და არგანშორება.
- გაყიდვა: თუ უნდა, მამა გაყიდის 16 თუ სურს, მამა გაყიდის.
- გაყოლა: არ გაყვეს 19 არ წავიდეს (ლაშქრობაში).
- გაყოფა: გაყოფით იყვნენ 18 გაყოფილნი იყვნენ.

გაყრა: თუ რადმე გაიყრებოდენ 40 თუ რაიმეს გამო
გაშორდებიან ერთმანეთს.

გაჩენა: კანონით დადგენა, დაკანონება, დაწესება; ამაღ არ
გასჩენოდა ძველთა გაჩენითა (შესავ.) ამიტომ არ
შეედგინათ კანონმდებლობა; აწ ყუელა გაევაჩინეთ,
ვის რა ეყოს ერთმანეთის ავი (შესავ.) ამიერიდან ყვე-
ლა დავადგინეთ, ვის რა დანაშაული ჩადინოს ერთმა-
ნეთის მიმართ; სასაქმო გაგზჩენია (შესავ.) სადავო
საქმეთა (კანონები) დაგვიდგენია; ამაღ არ გაევაჩი-
ნეთ 1, 15 ამიტომ არ დავაწესეთ, დავაკანონეთ; ქვეის-
ბერთა ასრე გაევაჩინეთ ნ ხვეისბერთათვის ასე და-
ვადგინეთ; ჰეროვანთა ასრე გაევაჩინეთ 11 ჰეროვან-
თათვის ასე დავადგინეთ; სისხლი გაჩენით ამაღ არ
შევაკუთეთ 15 საზღაური კანონით ამიტომ არ დავა-
წესეთ, განესაზღვრეთ; დარბაზით გაეჩინოს 18 სახ-
ელმწიფო საბჭომ დაადგინოს, განსაზღვროს; ერისთავ-
მან და განმკებელმან გაუჩინოს 18 ერისთავმა და
გამკებელმა განუსაზღვრონ; სალაშქრო საქმე ასრე გა-
ევაჩინეთ 19 სალაშქრო სამსახურის შესახებ ასე და-
ვადგინეთ; დამსხმელი სა ასრე გაევაჩინეთ 28 თავ-
დამსხმელთა შესახებ ასე დავადგინეთ; ასოთ საქმე ასრე
გაევაჩინეთ; 32 ასოთა (მოკვეთის ან დაშაგების)
საქმე ასე დავადგინეთ, აგრევე გაჩენით იყოს 41 ამა-
ვე წესით, კანონით იყოს; სამეკობრო საქმე ასრე გაე-
ვაჩინეთ 43 ძარცვა-მტაცებლობის საქმე ასე დავად-
გინეთ.

გაჩენილი: ძველითგან გაჩენილი 2, 41 ძველიდან დაწე-
სებული, განსაზღვრული; ზემოთ გაჩენილი სისხლი
5 ზემოთ განსაზღვრული, დადგენილი საზღაური.

გაცუდება დაკარგვა, უარის თქმა, არ-მიცემა, გაბათილება: სი-
სხლი აროდეს გაუცუდდების 22 საზღაურის მიცე-
მაზე უარი არეთქმება, საზღაური არასოდეს დაეკარგება;
გაცუდდეს მის დიაცის სისხლი 25 მოკლული დედა-
კაცის ოჯახს საზღაური არ მიეცეს; რაზომიცა მოკუდეს,
ყუელა გაცუდდების 28 რამდენიც მოკვდეს, საზღაური
არცერთს არ მიეცება; სისხლი გაუცუდდეს ყუელასი

43 არც ერთის საზღაური არ მიეცეს; მათი სახელი გაცუდდებიან 44 საზღაური არ მიეცემა.

გაძება: მამულისაგან გაიძოს 3 გაძევებულ იქნეს თემიდან, ადგილ-მამულის მფლობელობიდან; ორს წელიწადს განეძოს 9 გაგდებულ იქნეს თემიდან (მამულიდან) ორი წლით.

გერში: გერში ყუელასი სწორე არის 25 კრილობის საზღაური ყველასი თანასწორი არის; სისხლი და გერში ორთავე სწორია 28 მკვლელობისა და კრილობის საზღაური ორთავე მხარისათვის თანასწორია; გერშის საქმე 31 კრილობისა და მისი საზღაურის საქმე; გერში აჩნდეს სადაღედ 31 კრილობა აჩნდეს წარუხოცელი; გერში საჩინოდ იყოს 31 კრილობა თვალსაჩინო ადგილას იყოს.

გლები მდაბიო, სოფლიონი: ლომისის გლები 41 ლომისის ეკლესიის გლები.

გვრგვან-ნაკურთხი: გვრგვანნაკურთხი ცოლი 23 ეკლესიის წესით შეუღლებული, კანონიერი ცოლი.

გვრგვანოსანი: გვრგვანოსანთა ჩვენთა ჩამომავალთა სეფეთაგან (შესავ.) ჩვენ წინაპარ ტახტის მფლობელ მეფეთაგან.

გუარი: გუარისა ზედა დაიურვოს 1, 4, საგვარეულო ღირსების მიხედვით აუნაზღაურდეს; რა გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს 17 საზღაური მიეცეს გვარის ღირსების მიხედვით; გუარის წესით დაიურვოს 25 გვარის ღირსების მიხედვით აუნაზღაურდეს.

დ

დაბერება: თუ მამა დაუბერდეს 16 თუ მამა მოუხუცდეს.

დაგდება: უბრალოდ დაგდება (შესავ.) უმიზეზოდ მიტოვება; თუ ცოლი დააგდოს 21 თუ ცოლი მიატოვოს; დაეგდოს და აღარ იყოს ციხისათად 14 მიეტოვებინოს და აღარ იყოს ციხის უფროსად; ნასყიდიც შვილს დაუგდოს 16 შეძენილი ქონებაც შვილს დაუტოვოს.

დადება: ძეგლის დადება (შესავ.) სამართლის წიგნის, კანონთა შედგენა; დავდევი ძეგლი განაჩენი (შესავ.) შევადგინეთ სამართლის წიგნი. კანონმდებლობა; დადებითა სისხლისა (შესავ.) საზღაურის დაწესებით, განსაზღვრით; ბეგრად დაედვას 2 ბეგრის სახით დაეკისროს; დაედვას ბეგარი საუკუნოდ 8 დაეკისროს ბეგარა სამუდამოდ; სისხლი აზად არა სწორად დავდევი 10 თანასწორი საზღაური ამიტომ არ დავაწესეთ; სხუათაგან სასახოდ დაიდებოდა 15 სხვებისათვის სანიმუშო გაბდებოდა.

დადგომა: საზამთროსა ჩუენსა დავდევი (შესავ.) შეჩერდით ჩვენს საზამთრო რეზიდენციაში.

დაზიარება: მამულისაგანც დაიზიაროს 16 მამულიდან წილი მიეცეს, მამულის მოზიარე გახდეს, მამულში შეეზიაროს.

დაკლება: დააკლოს ლაშქრობა 19 ლაშქრობაში არ გამოვიდეს, სალაშქრო სამსახურს თავი აარიდოს.

დაკოდვა: მოკუდეს ანუ დაიკოდნენ 25, 28, 37 მოკედნენ ან დაიქრან.

დაკოდლობა: მოეკუეთოს ან დაუშავდეს დაკოდლობითა 32 კრილობით დაუშავდეს ან მოეკუეთოს; თვითოს დაკოდლობისათვის 37 თითო კრილობისათვის.

დამართება: შეცოდება დაემართოს 1 დანაშაული შეემთხვეს, ბოროტმოქმედება ჩაიდინოს; დაემართოს, რაც უარესია ყველას. დამართება 15 ჩაიდინოს ყველაზე უარესი ბოროტმოქმედება.

დამგდებელი: ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა (შესავ.) უდანაშაულოდ ცოლის მიმტოვებელი.

დამეტებელი: დამეტებელი დიდი პატივი და გარდაქდევინება 1 მომეტებული სასჯელი და საზღაურის დაკისრება.

დამსხმელი: თვნიერ დამსხმელისა 22 გარდა თავდამსხმელისა; დამსხმელი არ იქნების 25 თავდამსხმელად არ ჩაითვლება; დამსხმელისა ასრე გავაჩინეთ 28 თავდამსხმელთა შესახებ ასე დავადგინეთ;

დამსხმელისა სისხლი არ არის 28 თავდამსხმელის მოკვლისათვის საზღაური არ დაეკისრება, დამსხმელი არა ჰქუიან 29,44 თავდამსხმელი არ ეწოდება დამსხმელისა და შინა-მყოფისა 28 თავდამსხმელისა და შინმყოფისა.

დამქცეველი: ააგოს დამქცეველმან 26 ააშენოს დამნგრეველმა.

დანდობილი: დანდობილ იყვნენ 25 მინდობილი, შერიგებული იყვნენ

დაპირება: თუთო კაცი დაიპიროს 2 თითო კაცი დაიბაროს, შეარჩიოს.

დარბაზი სამეფო საბჭო, სამეფო კარი: დარბაზით ეკითხოს 1 დარბაზმა განიხილოს, გადაწყვიტოს; დარბაზით მამული ებოდოს ჭევისბერსა 5 დარბაზის გადაწყვეტილებით ადგილ-მამული მისცენ ხევისბერს; დარბაზით ებოდოს ჭევისბერობა 5 დარბაზმა მისცეს ხევისბერის თანამდებობა; დარბაზით დააყენონ ჭევისბერად 5 დარბაზის განკარგულებით დანიშნონ ხევისბერად; დარბაზით გაეჩინოს 18 დარბაზმა დაუდგინოს, განუსაზღვროს; დარბაზთ იურვონ 6 დარბაზში განიხილონ, იმსჯელონ; დარბაზთ ეურვოს 7 დარბაზს მოხსენდეს; დარბაზს იკითხონ 18 დარბაზს მოხსენდეს; დარბაზის ცნობასა ღირსი 11,18 ვინც ღირსია, რომ მის შესახებ დარბაზს ეცნობოს; დარბაზს არ ღირს იყოს ცნობასა 11,18 ვინც არ არის ღირსი, რომ მის შესახებ დარბაზს ეცნობოს; დარბაზით ბოძებასა ღირს იყვნენ 27 ვინც ღირსია, რომ დარბაზის განკარგულებით ებოდოს; დარბაზით ბოძებისა უღირსი იყოს 27 ვინც ღირსი არ არის, რომ დარბაზის განკარგულებით ებოდოს; დარბაზით უბრძანებლად ვისაც ციხე დაუქციონ 26 დარბაზის განკარგულების გარეშე თვითნებურად ვისაც ციხე დაუნგრეონ. საქმესა დარბაზისასა იმიზეზებდეს 28 სახელმწიფო საქმით იყოს დაკავებული.

დარბევა: დარბევასა არა მიეფასოს 22 დარბევა არ ეთვლება დანაშაულად.

- დარიელი:** მივედით დარიელამდის (შესავ.) მივედით დარიელამდე; დარიელით მობრუნებულთა (შესავ.) დარიალიდან დაბრუნებულებმა.
- დარჩენა:** პარტახტი დარჩეს 28 ცარიელი, უშენი ადგილი დარჩეს.
- დასმა:** დავსჯთ წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი (შესავ.) მოვიწვიეთ წმიდა მამა და ქართლის კათალიკოსი.
- დასტაქარი:** დასტაქართა წამლის ფასი 31, 35, 37 ქირურგთა წამლის, მკურნალობის ფასი.
- დასხდომა:** დავსხედით მათსა სასაქმოსა (შესავ.) განვიხილეთ მათი სადავოსაქმეები.
- დასხმა:** ლალატად დავსხმა (შესავ.) მუხთლად, ვერაგულად თავდასხმა; თუ დავსხას 25 თუ თავს დავსხას; დასხმისათჳს 29 თავდასხმისათვის.
- დაურვება:** სისხლის დაურვება 3 საზღაურის გადახდა; თეთრი დაიურვოს 2, 6, ვერცხლი გადაიხადოს; დაეურვოს განმგებლის სისხლად 5 განმგებლის მკვლელობის საზღაურად გადახდეს; დრაჰკანი დაეურვოს 11 დრაჰკანი გადაუხადოს; ვეზირთ დარბაზთ იურვონ 6 ვეზირებმა დარბაზში განიხილონ, იმსჯელონ; დარბაზს ეურვოს 7 დარბაზს მოხსენდეს, დარბაზმა განიხილოს; იურვოს ერისთვისა და განმგებლის პირით 9 ერისთვისა და გამგებლის შუამდგომლობით ითხოვოს; რაგუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს 17 მკვლელობის საზღაური მიეცეს საგვარეულო ღირსების მიხედვით; მისის გუარის წესით დაიურვოს 25 მისი საგვარეულო ღირსების მიხედვით გადაიხადოს; უარზანგობა დაიურვოს 31, 37, 38, 39 უპატიობის ჯარიმა. საუპატიო გადიხადოს
- დაქცევა:** დაქცევა ციხეთა (შესავ.) დანგრევა ციხეებისა; დარბაზით უბრძანებლად ციხე დაუქციონ 26 დარბაზის უნებართვოდ ციხე დაუნგრეონ; ბრძანებით დაექციონ 25 დარბაზის განკარგულებით დაენგრიოს; მტერობისათჳს დაქცეოდეს 26 მტრული დამოკიდებულების გამო დანგრეოდეს; ციხის დაქცევისათჳს 26 ციხის დანგრევისათვის.

- დაუენება:** დააყენონ დარბაზით ჯვეისბერად 5 სამეფო საბჭომ დანიშნოს ხევისბერად.
- დაყოფა:** ხანი დაყოს 45 დრო გასულიყოს.
- დაშავება:** არ დაშავდებოდეს 31 არ დაზიანდებოდეს; ჯელი დაუშავდეს 32 ხელი დაუზიანდეს; ასო დაუშავდეს 35 სხეულის რომელიმე ორგანო დაუზიანდეს.
- დაჩენა:** გერში საჩინოდ იყოს და დააჩნდეს 31 კრილობა დასანახავ ადგილას იყოს და ეტყობოდეს.
- დაწვა:** დაწვასა არა მიეთასოს 22 დაწვა არ ეთვლება დანაშაულად.
- დაწინდვა:** ერისთავმან თავადნი სახლნი დაუწინდნეს 5, 6, ერისთავმა მთავარი სახლები დაუგირაოს.
- დაქირვა:** მამულის დაქირვა 1 მამულის ჩამორთმევა, კონფისკაცია; მამული სასეფოდ დაექიროს 6, 13 მამული სახელმწიფო ხაზინას გადაეცეს.
- დახვედრა:** სიკუდილს არ დახვედრიყოს 5 მკვლელობას არ დასწრებოდეს.
- დახოცვა:** დაიხოცებოდნენ 40 მოკვდებოდნენ, ამოწყდებოდნენ.
- დგომა:** სისხლი დგეს (შესავ.) მკვლელობას ჰქონდეს ადგილი; ციხისთავად იდგეს ბრძანებით 13 ციხის უფროსის ადგილი ეკავოს დარბაზის განკარგულებით; ციხისთავადაც დგომილიყოს 14 ციხის უფროსი უფილიყოს.
- დება:** კაცს კაცთანა საქმე ედვას 28 კაცს კაცთან საჯავო საქმე ჰქონდეს; პირი იდვას 40 პირობა იყოს დადებული.
- დია 45 დიდად, ძალიან.**
- დიაცი 21 დედაკაცი:** თუ დიაცი მეომრად იყოს 25 თუ დედაკაცი ბრძოლაში მონაწილეობას იღებდეს.
- დრაჰკანი** ფულის ერთეული, უდრიდა 6 თეთრს: დრაჰკანი დაეურვოს 11 დრაჰკანი გადახდეს.
- დღე:** დღეისით წინათლა (შესავ.) დღემდღე; დღეისით განწალმა (შესავ.) დღეიდან, ამიერიდან.

2

ეპისკოპოზი (შესავ.) ეპისკოპოსი მღვდელთმთავარი.

ეზომი იმდენი: ეზომსა ხანსა 14 იმდენ ხანს.

ერთი: ათისაგან ერთი 18 ერთი მეათედი ნაწილი; ერთი სახლის კაცთ 7 ერთი (გაუყოფელი) ოჯახის კაცებმა.

ერთგან ერთად: ორი ასო ერთგან წაუტდეს 35 ორი ასო ერთად დაუზიანდეს, გაუფუქდეს; თვთო დაუშავდეს და არ ერთგან ორი 35 თითო ასო დაუზიანდეს და არა ერთად ორი.

ერთგუარნი: 27 ერთი გვარის კაცები.

ერთგული: მეფის ერთგული 5 მეფის სანდო, სარწმუნო.

ერისთავი: ხალხის თავი, მხარის (კუთხის) გამგებელი: თემის ერისთავნი (შესავ.) თემის (კუთხის) გამგებელნი; ერისთავის პირით 9 ერისთავის შუამდგომლობით, წარდგინებით; ერისთავმან გაუჩინოს 18 ერისთავმა განუსაზღვროს, დაუდგინოს.

ეფათერაკოს: 3, 12 შემთხვევით მოეკლას.

3

ვალის სესხი: ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ 45 სესხის საქმე ასე დავადგინეთ.

ვეზირი: დავსხით ვეზირნი და ეპისკოპოზნი (შესავ.) მოვიწვიეთ ვეზირნი და ეპისკოპოსები; ვეზირთ მოახსენოს 5 ვეზირებს მოახსენოს; ვეზირთ დარბაზს ჰკადრონ 5, 17 ვეზირებმა დარბაზს მოახსენონ; ვეზირთა პირითა 7 ვეზირთა შუამდგომლობით; ვეზირთა საურავითა 9 ვეზირთა შუამდგომლობით.

ვითა: ვითა ზემოთ გაგვიჩენია 12, 14, 26 როგორც ზემოთ დავვიდგენია.

4

ზანდუკის ჯევი: (შესავ.) ადგილი გუდამაყრის ხეობაში.

ზედა - დამსხმელი: ზედა - დამსხმელისა და შინამყოფისა 28 თავდამსხმელისა და შინამყოფისა.

ზღვევა: ნაპარევი იზღვეოდეს 43 ნაქურდალის ანაზღაურება ხდებოდეს; სისხლი ნუ ეზღვევის 44 მკვლელობის საზღაური ნუ მიეცემა; ვინც შორბეულა, მას უზღავს 40 ვინც დარბეულა, მას აუნაზღაურებს.

ზმა: რასაც უზამს მამამ იცის 16 როგორც სურს მამას, ისე მოიხმარს

თ

თავადი: სოფლის თავადი 2 სოფლის თავკაცი; რაზდონიცა კაცი იყოს თავადი 2 რამდენი თავკაციც იყოს; თვთ იგი თავადი დაუურვონ 43 თვით ის ნივთი გადაუხადონ. თავადნი: სახლნი 5 მთავარი სახლები.

თავით: თავით ძველითგან 41 ძველითგანვე, თვით ძველთაგან; თავით გარდაჯდეს 26 თვით დაეკისროს.

თანადგომა დახმარება: რაზომიცა კაცი შვილთა თანაადგეს 15 რამდენიც კაცი შვილს ეხმარებოდეს.

თანამდგომი: თანამდგომნი ყოფილ იყვნენ 27 დამხმარენი ყოფილიყვნენ.

თემი კუთხე, მხარე: თემის ერისთავნი (შესავ.) მხარის (კუთხის) გამგებელნი.

თეთრი: თეთრი დაიურვოს 2 ვერცხლი უზლოს.

თვთო: თვთოს ომსა შიგან თვთო დაუშავდეს 35 თვითეულ ჩხუბში თვითეული ასო დაუზიანდეს; თვთო დაკოდლობისათვის თვთო უარზანგობა დაუურვოს 37 თვითეული კრილობისათვის თითო საუპატიო დაუურვოს.

თვნიერ: თვნიერ დამსხმელისა 22 გარდა დამსხმელისა.

თითი: თითი მოეკუეთოს ანუ დაუშავდეს 36 თითი მოეკრას ან დაუზიანდეს.

თუალი: თუალი წამოვარდეს 34 თვალი ამოუვარდეს; თუალნი წაუხდეს 35 თვალეზი დაუზიანდეს, გაუფუქდეს.

თუარა 10 ან არადა.

თხოვნა: სამართალი სთხოოს და არ გამოჰყუეს 28 სასამართლოში გამოიწვიოს და თავი აარიდოს; მეკობრეთა უთხოვნია 44 მეკობრეებისათვის უთხოვნია.

0

იღუმალ: ცხადად და იღუმალ 5 აშკარად და ფარულად.
იმიერნი: იმიერთ ნუოდეს მიუდგებიან 42 იქაურთ, გაღმა მცხოვრებთ, ნურასოდეს ნუ მიუხდებიან, ნუ შეებმიან.

კ

კადრება: ვითა აროდეს კადრებულა, ნუმცა ვისგან იკადრების 1 როგორც არასდროს გაუბედავთ, ნურც ვინმე გაბედავს; ღმერთმან ნუ იყოფინოს ამის კადრება 15 ღმერთმა ნუ ქნას ამის გაბედა.

კათალიკოზი: ქართლისა კათალიკოზი (შესავ.) ქართლის ეკლესიის მესვეური, უპირველესი მღვდელთმთავარი.

კარგი: კარგად გარდაუქადოს 44 ჯეროვნად, რიგიანად გადაუხადოს; ასეთი რომ კარგი იყოს 41 მნიშვნელოვანი (ღირებული), რიგიანი იყოს.

კაცი: ჭევისბერის გუარის კაცი 5 ხევისბერის ახლო ნათესავი; სახლის კაცი 5,7 ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი; გაუყოფარი კაცი 7 ოჯახიდან გამოუყოფელი კაცი; განაყოფი კაცი 9 ოჯახიდან გამოყოფილი კაცი; ავი კაცი 45 ბოროტი კაცი; ჰეროვანი კაცი 11 სოფლის თავკაცი, ხალხიდან (ერიდან) გამორჩეული კაცი; ჭადელი კაცი 14 ხადის ციხე-სიმაგრეში მღვომი კაცი; კაცთა ჭელითა 17 კაცთაგან, კაცთა მიერ; ჭევისბერის მოახლე კაცი 20 ხევისბერის ოჯახის კაცი, ახლო ნათესავი კაცი; მოსაქმე კაცი 28 მოძჩივანი, მოსარჩლე კაცი.

კაცისშვილი: მოკლულის კაცის შვილი .17 დაზარალებულის მემკვიდრე.

კბილი: კბილი ჩააგდებინოს 38; კბილთა ჩაყრევივნებისათჳს 38.

კიბენი: ადგილი გუდამაყრის ხეობაში; კიბეთ ქუშეთ (შესავ.) კიბენის ქვემოთ.

კიდე: საერისთვოსაგან კიდე 42 საერისთავოს გარდა.

კითხვა: ებისკოპოზთა მათ კითხონ (შესავ.) ეპისკოპოსებმა განსაჯონ; დარბაზით ეკითხოს 1 დარბაზმა განსაჯოს; მეფემან იკითხოს 1 მეფე განსაჯოს; უფრო

ძნელად იკითხებოდეს 1 უფრო მკაცრად განისაჯოს; ამავე პატივითა იკითხოს 15 ამავე სასჯელით დაისაჯოს; დარბაზს იკითხოს 18 დარბაზმა განსაჯოს.

ლ

ლაყოჩა: კაცსა, თუ ლაყოჩა იყოს 33 კაცს, თუ ცაცია იყოს.

ლაშქართ-თავადობა: ლაშქართ-თავადობა ჰბოძებია 10

ლაშქრის ნეთაურობა ჰბოძებია.

ლაშქრობა 19 სამხედრო სამსახური.

ლომისა: ლომისის მთავარმოწამე (შესავ.) ლომისის ეკლესიის პირველმოწამე; ლომისის გლეხი 42 ლომისის ეკლესიის გლეხი.

მ

მამული ნემკვიდრობითი მფლობელობა უძრავი ქონებისა:

მამულის წადება 1 მამულის ჩამორთმევა; მამულის

დაქირვა 1 მამულის ჩამორთმევა, კონფისკაცია; მამუ-

ლისაგან გაიძოს 3 თემიდან განდევნილ იქნეს; მა-

ნული სასეფეოდ დადვას 3 მამული ხაზინას გადაეცეს;

მამული ებოძოს 3 მამული მიეცეს; მამული სასე-

ფოდ დაეჭიროს 6 მამული ჩამოერთვას და ხაზინას

გადაეცეს; მამული კელთ უბოძონ 6 მამულის მფლო-

ბელობა დაუბრუნონ; მამულის ნდომისათჳს 12

მამულის დაუფლებისათვის, ხელში ჩაგდებისათვის;

მამულით გუმსახუროს 16 მამულის (ფეოდალური)

სამსახური შეასრულოს; მამულისაგან დაიზიაროს

16 წილი მიეცეს მამულიდან.

მართალი: ყუელას სისხლი მართალია 28 ყველა მოკლულის სახლური სწორია, მართებულია, სრულად უნდა ანახლაურდეს.

მართება: არ მართებს 10 არ ეკუთვნის.

მართლად: მოწმობდენ მართლად 28 ადასტურებდნენ ნამდვილად; გამოჩნდეს მართლად 44 დადასტურდეს ნამდვილად.

მართლება: არას ემართლებიან 26 პასუხს ვერ მოსთხოვენ.

მაშინლა 9 მხოლოდ მაშინ.

- მღევარი: (მეკობრის) უკან მღევარი 43 ვინც მეკობრეს და-
ედევნა დასაქერად.
- მეექვსედი: სისხლის მეექვსედი 23 საზღაურის მეექვსედი
ნაწილი.
- მეკობრე: მეკობრენი შემოებნენ 43 მძარცველნი შეებრ-
ძოლონ: ქუეყანა იყოს მეკობრე 44 სოფელი იყოს
მძარცველი; პირად მეკობრე 44 თვით მეკობრე; მე-
კობრეთ და უთხოვნია 44 მეკობრეებისათვის უთხოვ-
ნია.
- მემამულე: მემამულე აღარ მიაჩნდეს 27 მემკვიდრე აღარ
დაოჩეს.
- მენესო: მენესოს ზემოთ (შესავ.) სოფ. მენესოს ზემოთ.
- მეომარი: თუ დიაცი მეომრად იყოს 25 თუ დედაკაცი იარა-
ლით იბრძოდეს.
- მეუფე: წმინდა მეუფე (შესავ.).
- მეფეთ მეფე: მეფეთ-მეფე გიორგი (შესავ.) საქართველოს
წეფე გიორგი V, ბრწყინვალე (1314—1346); მეფეთ-
ნეფე დიმიტრი (შესავ.) მეფე დიმიტრი თავდადებული
(1273—1289), მამა გიორგი ბრწყინვალისა; მეფემან
იკითხოს 1 მეფემ განსაჯოს, განიხილოს.
- მეყვსი შორეული ნათესავი (გვარის კაცი): კვევისბერის მეყ-
ვსი 9, 10, 17 ხვევისბერის შორეული ნათესავი; უფროს-
ნი მეყვსნი 27 უფრო ახლო ნათესავნი.
- მთავარმოწამე: ვილოცეთ მთავარმოწამის წინაშე (შესავ.)
ვილოცეთ პირველმოწამის წინაშე.
- მიდგომა: ნუ მიუდგებ იან 42 ნუ მიუხდებ იან, ნუ შეებ-
ბიან; რომელიც მიუდგეს 42 რომელიც მიუხდეს.
შეებას.
- მიზეზობა: საქმესა დარბაზისასა იმიზეზებდეს 28 სახელ-
წიფო საქმით იყოს დაკავებული.
- მიმდგომი: ჯადაცხაოტის მიმდგომი 41 ხადაცხაოტის
ბოსაზღვრე.
- მიმცემი: მიმცემი კაცი 45 გამსესხებელი კაცი.
- მისაცემელი: არც სამართალია მისაცემლად 45 არც
კანონი ითვალისწინებს მიცემას.
- მისვლა: მივედით დარიელამდის (შესავ.) მივედით დარია-
ლამდე.

- მიმძლავრებული:** მიმძლავრებულთა საქმეთა (შესავ.) დანაშაულობათა, ძალმომრეობითი საქმეებისა.
- მიფასება:** არა მიეფასოს 22 არ ჩაეთვალოს დანაშაულად; სისხლსა მიეფასების 22 საზღაურში ჩაეთვლება; სისხლსა შიგან მიეფასოს 40 მკვლელობის საზღაურში ჩაეთვალოს; ნუ რა მიეფასების 40 არაფრად ჩაეთვლება.
- მიფერება:** რას ემტერების, იგიც მიეფერების 22 რაც ემტეროს, ისიც შეეფერება.
- მიჩნევა:** მემამულე აღარ მიაჩნდეს 27 მემკვიდრე არ დარჩეს.
- მიც:** ამ კაცთან სამართალი მიც 28 ამ კაცთან სამართალი მიდევს, კანონიერი დავა მაქვს.
- მიწევნა:** წაუდგნენ და მიეწივნენ 43 განოუდგნენ და დაეწიონ.
- მიხუდომა:** ორს წელიწადს ოდენ მიხუდეს 7 ორიოდე წელიწადს ხედეს, ერგოს.
- მკვებველი:** ორთავე მკვებველად მივიდეს 25 ორთავე პირისპირ(?) შემოხედეს.
- მკრებველი:** ეკლესიის მკრებველთა (შესავ.) ეკლესიის ქონები მძარცველთა.
- მკულელი:** კაცის მკულელთა (შესავ.) კაცის მკვლავებისა მოასახიე: მოასახიე მომკულდარიყოს 40 დამხმარე, თანამონაწილე მომკვლდარიყოს.
- მოახლე ახლო ნათესავი (მამა, ბიძა, ძმა, ბიძისშვილი, ძმისწული):** გაუყოფარი მოახლე 7 (ოჯახიდან) გაუყოფარი ახლო ნათესავი; გვეისბერის მოახლე 9, 10 ხვეისბერის ახლო ნათესავი; მოახლე კაცი 20 ახლო ნათესავი; მოახლე უკან მდევარი 43 დაზარალდებულის ახლო ნათესავი, რომელიც მეკობრეებს დაედევნა.
- მოხეგრე:** მეხეგრედ იყვნენ 27 ბეგარავალდებულნი იყვნენ, ბეგარას იხდიდნენ.
- მობრუნვებული:** დარიელით მობრუნვებულთა (შესავ.) დარიელიდან გამობრუნებულბმა.
- მოკლება:** საქმის მოკლება სა და გაჩენასა (შესავ.) საქმის გამოკვლევა და დადგენა.

მოკლული: მოკლულის კაცის შვილი 17 დაზარალებულის მემკვიდრე; მოკლულის კაცის ცოლი 18 დაზარალებულის მეუღლე; მოკლული კაცის სისხლი 18 დაზარალებულის მკვლელობის საზღაური.

მოკუეთა: ცერი მოკუეთოს 36 ცერი მოსკრას; ცხვირნი მოეკუეთნეს 31.

მოკვლა: მოკლას ერისთავი 1.

მოკუღევა: არც მოიკუღევის სისხლი 25 არც მკვლელობის საზღაური მოიძიება, მოეთხოვება; მოვიკუღევეთ მუნებური სასაქმო (შესავ.) გამოვიკვლიეთ იქაური სადავო საქმეები.

მომკვლელი 29, 40 მკვლელი.

მომკუდარი: მომკუდრის კაცის სისხლისათჳს 40 მოკლული კაცის საზღაურისათვის.

მონასყიდე: მონასყიდე შეიტანს 16 მსყიდველი(?) შეიტანს. მონაზონი 25 ბერი, მონაზონი.

მოპარვა: ვინც რა ვინ მოიპაროს 43 ვინც რა იქურდოს.

მორბეული: ვინც მორბეულა, მას უზღავს 40 ვინც გაუძარცვათ, მას აუნაზღაურებს.

მოსავლელი: მოსავლელად (შესავ.) დასათვალისწინებლად, შესამოწმებლად, გამოსარკვევად.

მოსამართლე: მოსამართლენი იყვნენ 27 ახლო ნათესაეები (?) ქირისუფლები(?) იყვნენ.

მოსამსახურე: მოსამსახურედ იყვნენ 27 მობეგრედ იყვნენ.

მოსაქმე: მოსაქმე კაცი 28 მომზივანი, მოსარჩლე კაცი.

მოსხმა: მოვასხენით ყოველნი ჭვეისბერნი (შესავ.) მოვიწვიეთ ყველა ხვეისბერი.

მოტაცება: მოტაცებასა არა მიეფასოს 22 მოტაცება დანაშაულად არ ჩაეთვალოს.

მოურავი (შესავ.) გამგებელი, მმართველი: მოურავთა პირითა ებოდოს 7 მოურავთა შუამდგომლობით მიეცეს.

მოყუარე: მოყუარენი აღარ იყვნენ 40 ნათესავნი აღარ იყვნენ.

მოწმობა: მოწმობდნენ მართლად, უთნევედ და უქრთამოდ 28 ნამდვილად, პირუთენელად და უანგაროდ ამ-

- ტკიცებდნენ: სიტყვით და მოწმობით 28 მოწვევით და დამოწმებით; მოწმობენ 44 ადასტურებენ.
- მოწიფება: შვილი მოსწიფოდეს 16 შვილი დავაჟკაცებოდეს.
- მოწყალეობა: ღმრთის მოწყალეობითა (შესავ.) ღვთის წყალობით, მაღლით.
- მოკმარება: მოაკმაროს მისსა სულსა 18 მისი სულის შესანდობარად გამოიყენოს.
- მოკსენება: ვეზირთ დარბაზს მოახსენონ 6, 17 ვეზირებმა დარბაზს აცნობონ.
- მსახური: მსახური იყოს განმგებლად 2 მსახური იყოს მმართველად.
- მსახურება: მამულით გუმსახუროს 16 მამულის (ფეოდალური) სამსახური შეასრულოს.
- მსოფლიო: მსოფლიოსა ამისი (შესავ.) საერო, ამ სოფლისა.
- მტერობა 22 რასაც ვის ემტეროს 22 ვის მიმართ რა შურიც იძიოს; მტერობისათვის დაქცეოდეს 26 შურისძიების ნიადაგზე დანგრეოდეს.
- მუნებური (შესავ.) იქაური.
- მუნით (შესავ.) იქედან.
- მუხრანი: მოვედით მუხრანს (შესავ.).
- მქნელი: სისხლის მქნელი 3 კაცის მკვლეელი.
- მძლავრებული: მძლავრებული ქმნილიყო (შესავ.) ძალმომრეობა, თვითნებობა მომხდარიყო.
- მწირველი: მწირველი ხუცესი 43 ხუცესი, მღვდელი, როელიც წირვას ასრულებს.

5

- ნამსახური: თუ ნამსახური იყოს 19 თუ დამსახურებული იყოს.
- ნასყიდი შეძენილი ქონება: ნასყიდი ეყოფოდეს 16 შეძენილი ქონება ეყოფოდეს; ნასყიდი დაიჭიროს 16 შეძენილი ქონება დაიტოვოს; ნასყიდი არ ეყოფოდეს 16 შეძენილი ქონება არ ეყოფოდეს; ნასყიდიც წვილს დაუგდოს 16 შეძენილი ქონებაც წვილს დაუ-

ტოვოს; (მამის) ნასყიდში არა კელი აქვს შეილსა 15 მამის მიერ შეძენილ ქონებაზე შეილს უფლება არა აქვს; შეილი ნასყიდს ვერ ეცილოს 16 შეილი შეძენილ ქონებაში ვერ შეეცილება.

ნაპარევი: ნაპარევისათვის დაუურვონ 43 ქურდობისათვის გადაუხადონ; ნაპარევი იზღვეოდეს 43 ქურდობისათვის ანაზღაურება ხდებოდეს.

ნდომა: მამულის ნდომისათვის 12 მამულის დაუფლებისათვის, ხელში ჩაგდებისათვის.

ნებისმყოფელი: შეილთან ნებისმყოფელი იყოს 16 შკალთან კეთილ დამოკიდებულებაში იყოს; არ ნებისმყოფელი იყოს 16 არ იყოს კეთილ დამოკიდებულებაში.

ო

ომი: ომში ორივე კელი დაუშავდეს 35 ჩხუბში ორივე გელი დაუზიანდეს.

ორკეცი: ორკეცი სისხლი 25 მკვლელობის ორმაგი საზღაური.

ორ-ოლი: ორ-ოლი უარზანგობა დაიურვოს 38 ორი-ორი საუპატიო გადაიხადოს.

პ

პარტახტი ცარიელი, გაუშენებელი: ბეითალმანად პარტახტი დარჩეს 27 უპატრონოდ ცარიელი, დაუმუშავებელი; ადგილი დარჩეს.

პატივი სასჯელი: სისხლი, პატივი და სასაქმო გაგზინია (შესავ.) მკვლელობის საზღაური, სასჯელი და სადავო საქმეები დაგვიდგენია; დიდი პატივი 1 დიდი სასჯელი; სწორი პატივი 8 თანასწორი სასჯელი; ამავე პატივითა იკითხოს 15 ამავე სასჯელით განისაჯოს.

პატრონი: ციხის პატრონი 26 ციხის მესაკუთრე; საქონლის პატრონი 43, 44 ნიეთის მესაკუთრე.

პირველ: უკანის და პირველ 28 (ამის) შემდგომ და წინათ პირველ არ მომკუდარიყოს 40 უწინ არ მომკუდარიყოს.

პირი: ერთმან პირმან ჳევემან 2 მთელმა ჳევემა; ვეზირთა და მოურავთა პირითა 7 ვეზირთა და მოურავთა შუამდგომლობით; ერისთვისა და განმგებლის პირითა 9 ერისთავისა და განმგებლის შუამდგომლობით; პირი იღვას 40 პირობა იყოს დადებული; პირად მეკობრე 44 თვით მეკობრე.

პირიანი: პირიანი გაპატიებება 15 მკაცრი, სასტიკი დასჯა.

პრიანება: პრიანებოდა აღრევით ყოფა (შესავ.) სურდა არეულობა, უწყესრიგობა.

პყრობა: პყრობად ტახტისა და სკიპტრისასა (შესავ.).

ჟ

ჟამი: მას ჟამსა, ოდეს (შესავ.) იმ დროს, როდესაც; ჟამის შემოსრულობისათვის (შესავ.) დროთა ვითარების გამო; მის ჟამის მეფემან იკითხოს 1 იმ დროის მეფემ განსაჯოს.

ჟამის-ცემა: ჟამ გუცეს (შესავ.) დრო მოგვცეს.

ჟამიერად: ჟამიერად არ გამოვიდნენ 19 დროულად არ გამოვიდნენ.

ჟინვანი: შევედით სასახლესა ჩვენსა ჟინვანს (შესავ.) მივედით ჟინვალში ჩვენს სასახლეში.

რ

რა გინდა რა: რა გინდა რა მეყვსი იყოს 7, 9 რა გინდნათესავი იყოს.

რაზომ: რაზომ წლამდის დაიჭირვის 1 (თუ) რამდენი წლის განმავლობაში დაეკავება, ჩამოერთმევა.

რაზომიც: რაზომიც სოფელი იყოს 2 რამდენი სოფელიც იყოს; რაზომიცა გინდეს იყოს 2 რამდენიც გინდა იყოს; რაზომიც მოკუდეს 28 რამდენიც მოკედეს; რაზომიც უბრალოა 28 რამდენიც უდანაშაულოა.

რაზომცალა: რაზომცალა კაცმან დააკლოს ლაშქრობა 19 რამდენმა კაცმაც თავი აარიდოს სახედრო სამსახურს.

რაჟამცა: რაჟამცა უფრო ძნელად იკითხებოდეს 1 რა დროსაც უფრო მკაცრად განისჯებოდეს.

რბევა: რბევასა შიგან 40 ძარცვის დროს.

რევა: არას ერიოს არა ცხადად და არა იღუმაღ 5 არ იყოს

გარეული (მკვლელობის საქმეში) არც აშკარად და არც ფარულად.

ჩთვა: რ თ ო დ ე ს 2. (?).

რომლისათვის: საქმისა რომლისათვისმე ჰპრიანებოდათ (შესავ.) რაიმე გარემოების გამო სურდათ.

რქმა: დამსხმელი არ ჰქვ ან 29 თავდამსხმელად არ ჩაითვლება.

ს

საავო: სა ა ე ო დაუამოს 15 დანაშაულზე წააქეზოს, შეაგულთანოს.

საბატო: იგინი სა ბ ა ტ ი ო ნ ო იქმნებიან 10 ისინი საპატიონი იქნებიან.

საბეგრო: სა ბ ე გ რ ო არ დააკლდეს 27 საბატონო სამსახური არ დააკლდეს.

სადაღე: გერში აჩნდეს სა და ღ ე ღ 31 კრილობა აჩნდეს წარუსოცლად.

საეკლესიო: სა ე კ ლ ე ს ი ო საქმე (შესავ.) საეკლესიო სასამართლოს ქვემდებარე საქმე.

საერისთავო: სა ე რ ი ს თ ა ვ ო ს ა გ ა ნ კიდე 42 საერისთავოს გარდა.

საზამთრო: მოვედით მუხრანს სა ზ ა მ თ რ ო ს ა ჩვენსა (შესავ.) მოვედით მუხრანს ჩვენს საზამთრო სასახლეში.

საკითხავი: სა ს ჯ უ ლ ო სა კ ი თ ხ ა ვ ი (შესავ.) საეკლესიო სასამართლოს ქვემდებარე საქმე.

სალაშქრო: სა ლ ა შ ქ რ ო საქმე ასრე გავაჩინეთ 19 სალაშქრო საქმე ასე დავადგინეთ; სა ლ ა შ ქ რ ო არ დააკლდეს 27 სალაშქრო სამსახური არ დააკლდეს; სა ლ ა შ ქ რ ო დ ვინლა შეიწყნაროს 27 სალაშქრო სამსახური ვინლა იკისროს; ნუცა სა ლ ა შ ქ რ ო დ, ნუცა სასაუროდ 42 ნურც სალაშქროდ და ნურც სისხლის ასაღებად.

სამართალი: სა მ ა რ თ ა ლ ი მეფის გიორგისა (შესავ.) კანონები მეფე გიორგი ბრწყინვალისა; სა მ ა რ თ ა ლ ი აღარ იყო-ლა (შესავ.) კანონები აღარ იყო; სა მ ა რ თ ა ლ ი სთხოოს 28 სასამართლოში გამოიწვიოს, დაიბაროს; სა მ ა რ თ ა ლ ი ვთხოვე და არ გამომეყვა 28 სასამართლოში დავებარე და უარი მითხრა, არ გამოცხადდა;

გაზიწიოს სამართალსა 28 დაიბაროს, გამოიწვიოს სასამართლოში; სამართალს აწვია 28 სასამართლოში გამოიწვია, დაიბარა; სამართალს ეწვიოს 28 სასამართლოში გამოეწვიოს; არც სამართალია მისაცემლად 45 არც კანონი ითვალისწინებს მიცემას; სამართალი ესრეთ ყონ 45 ამ კანონით გადაწყვიტონ იხელმძღვანელონ.

სამეკობრო: სამეკობროს საქმე ასრე გავაჩინეთ 43 ძარცვა-მტაცებლობის საქმეთა შესახებ ასე დავადგინეთ.

სამეფო: სამეფოსა ჩვენისასა (შესავ.) ჩვენი სამფლობელოს, საპატრონოს.

სამსახური: სამსახური ბატონისა 16 საბატონო ბეგარა.

სამძღვარი: ლომისის სამძღვარსა ზედა 41 ლომისის ეკლესიის საზღვარზე.

სანატრელი: სანატრელთა ჩვენთა ჩამომავალთა მეფეთაგან (შესავ.)

სანივთო: სანივთო რა ეშოვნოს 40 ნადავლი, ნაძარცვი ქონება რაც ეშოვნოს; სანივთო არ იყოს 40 ნადავლი, ნაძარცვი ქონება არ იყოს.

სარგებელი: სარგებელი არის უწესო 45 პროცენტი არის ურიგო, უკანონო.

სასამართლო: არ გამოყოლია სასამართლოდ 28 სასამართლოში არ გამოცხადებულა.

სასაპურო მკვლელობის საზღაურის (სისხლის) ნაწილი, რომელიც დაზარალებულის (მოკლული კაცის) ქვრივს ეძლევა თავის სარჩენად: სასაპურო მიეცეს 18 მკვლელობის საზღაურის წილი მიეცეს.

სასაქმო სადავო საქმე: დავსხედით მათსა სასაქმოსა (შესავ.) განვიხილეთ მათი სადავო საქმეები; მოვიკუთღვეთ მუნებური სასაქმო (შესავ.) გამოვიკვლიეთ იქაური სადავო საქმეები.

სახახო: სხუათაგან სასახოდ დაიდებოდა 15 სხვისთვის მაგალითის მიმცემად (სამაგალითოდ) გახდებოდა.

სასეფო: დაედვას სასეფოდ და საუკუნოდ 2 დაეკისროს სახაზინოდ და სამუდამოდ; სასეფოდ დაედვას 3 სახაზინოდ დაეკისროს.

სასჯულო: სასჯულო საქმე (შესავ.) საეკლესიო სასამართლოს ქვემდებარე საქმე; სასჯულო საკითხავი (შესავ.) საეკლესიო სასამართლოს ქვემდებარე საქმე.

საურავი: ვეზირთა საურავითა 9 ვეზირთა შუამდგომლობით, ზრუნვით; ებოძოს ერისთავისა და განმგებლისაგან საურავითა 19 მიეცეს ერისთავისა და გამგებლის შუამდგომლობით.

საქმე: გავიგონეთ მათნი საქმენი (შესავ.) მოვისმინეთ მათი საქმეები; ერთმანეთის საყოფთა საქმეთა (შესავ.); ურთიერთ შორის ჩასადენ საქმეთა; საქმე სასჯულო და საეკლესიო (შესავ.) რჯულისა და ეკლესიის ქვემდებარე საქმე; სალაშქრო საქმე 19 სამხედრო საქმე; კაცს კაცთანა საქმე ეღვას 28 კაცს კაცთან დავა (სარჩელი) ჰქონდეს; საქმესა დარბაზისასა იმიზეზებდეს 28 სახელმწიფო საქმით დაკავებასასახელებდეს მიზეზად; გერშის საქმე 31 კრილობის საქმე; ასოთ საქმე 32 ასოთა დაზიანების საქმე; შესწორებული საქმე 40 თანაბარი პასუხისმგებლობის საქმე; სამეკობრო საქმე 48 ძარცვა-მტაცებლობის საქმე; ვალის საქმე 45 სესხის საქმე.

საქმობა: ნუცა სალაშქროდ, ნუცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა 42 ნურც სალაშქროდ და ნურც სისხლის ასაღებად იდავებენ ერთმანეთს შორის.

საქონელი: საქონლის პატრონი 43, 44 ნიეთის პატრონი. საყოფი: ერთმანეთის საყოფთა საქმეთა (შესავ.) ურთიერთ შორის ჩადენილ ბოროტმოქმედებათა.

საჩინო: გერში საჩინოდ იყოს 31 კრილობა წარუხოცელი, შესამჩნევი იყოს.

სახლი: განმგებლის სახლი 3 მმართველის სახლი; თავადნი სახლნი 5, 6 მთავარი სახლი; სახლის კაცი 6 შორეული ნათესავი (მეყვისი).

საჯარო: საჯარო არ დააკლდეს 27 საქვეყნო ბეგარა არ დააკლდეს; საჯარო ბეგარა 27 საქვეყნო ბეგარა.

სიკუდილი მკვლელობა: ერისთვის სიკუდილი 1 ერისთვის მკვლელობა; განმგებლის სიკუდილი 8 განმგებლის, მმართველის მკვლელობა; დედ-მამათა სიკუდილი 15 დედმამის მკვლელობა.

ხისხლი: სისხლის მსუბუქობისათვის (შესავ.) მკვლელობის საზღაურის სიმცირის გამო; სისხლი დგეს ანუ სხვა სასაქმო იყოს (შესავ.) მკვლელობას ჰქონდეს ადგილი ან სხვა სადავო საქმეები იყოს; სისხლი, პატივი და სასაქმო გაჰჩენია (შესავ.) მკვლელობის საზღაური, სასჯელი და სადავო საქმეები დაგვიდგენია; სისხლი გუარსა ზედა დაიურვოს 1 მკვლელობის საზღაური საგვარეულო ღირსების მიხედვით გადაიხადოს; სისხლთა ფასად 2 მკვლელობის საზღაურის ფასად; სისხლის დაურეგბა 3 საზღაურის გადახდა; სისხლის მქნელი 3 მკვლელობის ჩამდენი, მკვლელი; სისხლი ებოძოს 3 მკვლელობის საზღაური; მიეცეს; ზემოთ გაჩენილი სისხლი 5 ზემოთ დადგენილი საზღაური; მკვლელობისათვის; სწორი სისხლი 8 თანასწორი, თანაბარი საზღაური; განაყოფის სისხლი 10 ოჯახიდან გამოყოფილი ახლო ნათესავის მკვლელობის საზღაური; სისხლი გაუნახევრეთ 10 საზღაური გაუნახევრეთ; სისხლი გაჩენით 15 საზღაური დადგენით; ნახევარი სისხლი 17 ნახევარი საზღაური; მოკლული კაცის სისხლი 18 დაზარალებულის მკვლელობის საზღაური; სისხლსა მიეფასებინ 22 საზღაურში ჩაეთვლება; სისხლის ქნა 22 მკვლელობის ჩადენა; სისხლი აროდეს გაუცუდდების 22 საზღაური არასოდეს დაეკარგება; სისხლის მეექვსედი 24 საზღაურის მეექვსედი; სისხლი აღებულ იყოს 25 საზღაური გადახდილი იყოს; გაცუდდეს მის დიაციის სისხლი 25 მოკლული დედაკაცის ოჯახს საზღაური არ მიეცეს; ორი სისხლი 25 ორმაგი საზღაური; სისხლიც სწორეა 25 მკვლელობის საზღაურიც თანასწორია; ორკეცი სისხლი 25 ორმაგი საზღაური; სისხლი და გერში ორთავე სწორია ზედა-დამსხმელისა და შინამყოფისა 28 მკვლელობისა და ქრილობის საზღაური თანასწორია თავდამსხმელისა და შინამყოფისათვის; სისხლი გასწორდების 28 საზღაური გათანასწორდება, გათანაბრდება; დამსხმელისა სისხლი არ არის 28 თავდამსხმელის მკვლელობისათვის საზღაური არ არის; ყუელას სისხლი მართალია 28

ყველას სრული საზღაური უნდა მისცენ; სისხლი უფროსი იყოს ან უმცრო 30 მკვლელობის საზღაური მეტი იყოს ან ნაკლები; სისხლის მეხუთედი 31 საზღაურის მეხუთედი; სისხლის მესამედი 32 საზღაურის მესამედი; სისხლის მეოთხედი 34 საზღაურის მეოთხედი; ნახევრის სისხლით 36 ნახევარი საზღაურით; ჯელის მესამედი სისხლი 36 ხელის მოკვეთისათვის დადგენილი საზღაურის მესამედი; სისხლი სრული 43 მკვლელობის სრული, მთელი საზღაური; სისხლი ნუ ეზღვევის 44 საზღაური ნუ მიეცემა.

სიტყუა: ერისთვის სიტყუთა 28 ერისთავის გამოძახებით, მიწვევით; სიტყუთ, და მოწმობით 28 მიწვევითა და დამოწმებით; სიტყუთა გამოერთვას 44 გამოძახებულ იქნეს და ჩამოერთვას.

სკიპტრა: პურობასა სკიპტრისასა (შესავ.) პურობად დაბა, ფაენისა, სამეფო ჯოხისა.

სოფელი 2 დაბა, სოფელი.

სოფლითნი მდაბიო კაცი: ჰეროენისა და სოფლიონისა იყოს 19 ერისგან გამორჩეულისა და მდაბიო კაცისა იყოს.

სრული: სისხლი სრული 43 სრული საზღაური.

სული: სულისათვის წაავოს 17 სულის საცხონებლად გაიხმაროს; სულისათვის გაჩენილი 17 სულის შესანდობლად დადგენილი; სულისათვის სასაუროდ 17 სულის საცხონებლად, შესანდობლად.

სწორი: სწორი ბეგარი და სისხლი 8 თანასწორი ბეგარა და საზღაური; სწორად დავადევით 10 თანასწორად განესაზღვრეთ, დავადგინეთ; სისხლიც სწორება 25 მკვლელობის საზღაური თანასწორია; სწორმან სწორსა ციხე დაუქციოს 26 თანასწორმა თანასწორს ციხე დაუნგრიოს; სისხლი და გერში ორთავე სწორია ზედა დამსხმელისა და შინამყოფისა 28 მკვლელობის და ქრილობის საზღაური თანასწორია თავდამსხმელისა და შინ მყოფისათვის.

სჯული: ქართველთ სჯული 45 ქართული სამართალი, კანონმდებლობა.

სწრება: ვერ სწრებოდეს-ლა (შესავ.) ვერ მოსწრებოდნენ.

ბ

ბანისამოსი: არა ჩნდეს ბ ა ნ ი ს ა მ ო ს ი ს ა გ ა ნ ' 37 ტანთსაც-
მლის გამო არ ჩანდეს.

უ

უარზანგობა: 30, 31, 38, 39 საუპატიო, უპატიობის საზღა-
ური, რაც სისხლის ერთ მეორმოცედ ნაწილს შეად-
გენდა. ერთი უარზანგობა 30 ერთი საუპატიო;
სამი უარზანგობა დაეურვოს 31 სამი საუპატიო მიე-
ცეს; ორ-ოლი უარზანგობა დაიურვოს 38 ორი
საუპატიო მიეცეს; თუთო უარზანგობა დაიურვოს 37
თითო საუპატიომიეცეს.

უბნობა: განმგებელს ეუბნას 28 განმგებელს, მმართველს
მოახსენოს, დაუხსნას.

უბრალე: უბრალედ დაგდება (შესავ.) უმიზეზოდ მიტო-
ვება; ცოლის დამგდებელთა უბრალესათა (შესავ.)
უმიზეზოდ ცოლის დამტოვებელთა; უბრალესა ზედა
დაესხას 28 უდანაშაულოს თავს დაესხას.

უბრძანებლად: დარბაზით უბრძანებლად 26 დარბაზის
განკარგულების გარეშე.

უგემურად: კევისბერი თუ უგემურად იყოს 20 ხევისბერი
თუ შეუძლოდ იყოს.

უთნევად: მოწმობდენ უთნევად 28 ადასტურებდნენ პირუთ-
ვნელად.

უკან: უკან წაუდგნენ 43 დაედევნონ; უკანის და პირველ-
28 (ამის) შემდგომ და წინათ; უკანის შეამცნიონ 44
შემდეგ შეაძინიონ, გამოიციონ, აღმოაჩინონ.

ულუსობა უსამართლობა, ძალმომრეობა, დანაშაული: მრავალ-
ფერნი ულუსობა (შესავ.) მრავალგვარი დანაშაული.

უმართლე: უმართლე არის 44 უადრესად მართალი არის.

უმსგავსო: უმსგავსო შეცოდება 1,15 არნახული დანა-
შაული.

უმცრო: უმცრო სისხლი 30 ნაკლები საზღაური.

უპრიანე: უპრიანი ერთგან ყოფნა 16 უმჯობესია, სა-
სურველია ერთად ყოფნა.

უსაზომო: უსაზომო შეცოდება 1 განუზომელი დანაშაული.
 უსამართლო: დიდი უსამართლო ქმნილიყო (შესავ.) დი-
 დი უკანონობა შექმნილიყო.

უსახო: 15 უმაგალითო, არნახული.

უფროსი: უფროსნი მეყვანი 27 უფრო ახლო ნათესავნი;
 უფროსი სისხლი 30 მეტი საზღაური.

უქრთამოდ: მოწმობდენ უქრთამოდ 28 ადასტურებდენ
 უანგაროდ.

ულირსი: დარბაზით ბოძებისა უღირსი იყოს 27 ვინც
 ღირსიარ არის, რომ დარბაზის განკარგულებით ებოძოს.

უჩინარი: უჩინართა (კბილთა) ჩაყრევივნებისათვის 39 გა-
 მოუჩინელ კბილთა ჩაგდებინებისათვის.

უცილებლად (შესავ.) უდავოდ, ხელშეუვალად, მოუდევრად,
 უსაცილოდ.

უციხისთაო: უციხისთაო ჯადელი კაცი 14 ხადის ციხე-
 სიმაგრის ყოფილი უფროსი.

უწესო: უწესოთა საქმეთა (შესავ.) დანაშაულობათა; უსახო
 და უმსგავსო იყო და უწესო 15 უმაგალითო, არ-
 ნახული და უჩვეულო იყო; სარგებელი აოის უწესო
 45 პროცენტი არის ურიგო, უკანონო.

ფ

ფათერაკობა: თუ კაცს ფათერაკოს 3 თუ კაცს მოეკ-
 ლას.

ფასი: სისხლთა ფასად 2 საზღაურის ფასად; სისხლთა
 ფასი 6 საზღაურის ფასი; წამლის ფასი 31, 35 მკურ-
 ნალობის ფასი.

ფერჯი: ორივე ფერჯი დაუშავდეს 35 ორივე ფეხი დაუ-
 ზიანდეს.

ქ

ქალაქი: წარვედით ქალაქით (შესავ.) წავედით თბილისი-
 დან; შემოვედით ქალაქსა (შესავ.). შემოვედით თბი-
 ლისს.

ქნა: ჩვენთა ჭამთა შიგან არ ქნილა 15 ჩვენს დროში არ
 აოწმდაროა; თუ რადვე ვერ იქნებოდენ 16 თუ ვერ

შეეწყობიან; სისხლის ქნა 22 მკვლევლობის ჩადენა; დამსხმელი არ იქნების 25 თავდამსხმელად არ ჩაითვლება.

ქონება: შევედით ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა (შესავ.) შევედით ჩვენი სამეფოს სამფლობელოში.

ქუეყანა სოფელი, დაბა, თემი: თუ ქუეყანამ მოკლას 2, 8 თუ სოფელმა (თემმა) მოკლას; ქუეყანასაც უჯობდეს 5 სოფლისთვის (თემისთვის) უმჯობესი იყოს; ქუეყნის ხუცესთა 17 სოფლის მღვდელთა; ციხე დაუქციონ... ქუეყანამან ქუეყანასა 26 თემმა თემს ციხე დაუნგროს; ქუეყანა იყოს მეკობრე 44 სოფელი (თემი) იყოს მძარცველი; ქუეყნის ჭევისბერი 44 თემის ხევისბერი.

ლ

ლალატი: ღალატად დასხმა (შესავ.) ვერაგულად, ნუხთლად თავდასხმა.

ღირ: უღირდეს სიკუდილი და გაუყრელობა 40 უჯობდეს, ღირსად მიაჩნდეს ერთად სიკვდილი და გაუყრელობა;

ღირსი: დარბაზისა ცნობასა ღირს იყოს 11,18 სამეფო საბჭოს ყურადღების ღირსი იყოს; დარბაზს არა ღირს იყოს ცნობასა 11,18 სამეფო საბჭოს ყურადღების ღირსი არ იყოს; ღირს იყვენენ ბოძებასა, დარბაზით ებოძოს 27 ბოძების ღირსი იყოს, სამეფო საბჭოს მიერ ებოძოს.

ყ

ყმა: მისთა ყმათა 40 მის დამხმარეთა, თანაშემწეთა.

ყოვლგნით (შესავ.) ყოველმხრივ.

ყოლ სრულიად: ყოლ სამართალი აღარ იყო-ლა (შესავ.) კანონი სრულიად აღარ იყო.

ყოფა: დაემართოს, რაც უარესია ყველას დამართება და ყოფა ჩაიღინოს ყველაზე. უარესი ბოროტმოქმედება საპართალი ესრეთ ყონ 45 ამ კანონით იმოქმედონ.

ყოფინება: ღმერთმან ნუ იყოფინოს 15 ღმერთმანუ ქნას.

ყოფნა: ნასყიდი ეყოფოდეს 16 შეძენილი ქონება ეყოფოდეს.

ყოფნა: ერთგან ყოფნა 16 ერთად ყოფნა.

შ

- შეგნება: ვერა შეიგნონ რა 54 ვერა გაიგონ რა.
- შეზავებული: შეზავებული იყვნენ 25 შერიგებული იყვნენ.
- შეკუთვა: სისხლი გაჩენით ამაღ არ შევაკუთეთ 15 მკვლელობის საზღაური ამიტომ არ დავადგინეთ.
- შემობმა: შემობებას 25 შეებრძოლოს; მეკობრენი შემობენენ 43 მძარცველ-მტაცებლები შეებრძოლონ.
- შემომბმელი: შემომბმელთა 44 მეკობრეთა რაზმის წევრთა.
- შემოსვლა: არ შემოვა ორსისხლად 25 ორმაგი საზღაური არ იქნება.
- შემოუშვებლობა: შეუნდობლად შემოუშვებლობა 15 სამუდამო გაძევება.
- შემოსრულობა: ეამისა შემოსრულობისათვის (შესავ.) დროთა ვითარების გამო.
- შემოტანა: შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი (შესავ.) თან შემოვიყვანეთ, ვიახელით თემების ერისთავები.
- შემოღება: აღარ შემოვიღეთ (შესავ.) აღარ დავადგინეთ, დავაწესეთ.
- შემოშვება: სამს წელიწადს უკან შემოიშვას 13 სამი წლის შემდეგ შემოსვლის ნება მიეცეს; იმავე წესით შემოიშვას 14 იმავე წესით შემოსვლის ნება მისცეს; ესეთი შემოიშვან 17 ასეთს შემოსვლის ნება დართონ.
- შემოხვეწნა: ერისთავს შემოეხუეწოს 5, 6, 17 ერისთავს ხვეწნით სთხოვოს.
- შემცნევა: უკანის შეამცნიონ 44 შემდეგ შეამჩნიონ, გაიგონ, აღმოაჩინონ.
- შენდობა: არ შეენდოს 19 არ ეპატიოს; შეენდოს ლაშქარს წაუსვლელობა 20 ეპატიოს ლაშქარში წაუსვლელობა.
- შერისხვა: ღმერთი შერისხდეს 1, 15 ღმერთი გაუწყრეს.
- შესვლა: შევედით მთიულთა შიგან (შესავ.) შევედით მთიულებში (მთიულეთში).

- შესწორებული:** შესწორებული საქმე 40 თანაბარი პასუხისმგებლობის საქმე.
- შეტანა:** თუ უნდა, მონასყიდე შეიტანს 16 თუ სურს, მსყიდველი შეიტანს.
- შეუნდობლად:** შეუნდობლად მამული სასეფეოდ დადვას 3 მამული ხაზინას გადასცეს უვადოდ, სამუდამოდ: შეუნდობლად შემოუშვებლობა 15 სამუდამო გაძევება.
- შეუცოდარი:** შეუცოდარი იყოს 16 უდანაშაულო, არაბრალეული იყოს.
- შექნა:** სამი შეიქნას 43 სამი გახდეს.
- შეყრა:** თუ არ შეყროდეს 23 თუ პატივი არ აეხადოს.
- შეცოდება:** შეცოდება აზომ დიდი 1 დანაშაული ამდენად დიდი; უსაზომო შეცოდება 1 განუზომელი დანაშაული; უმსგავსო შეცოდება 1 არნახული, გაუგონარი დანაშაული; სხვა არა შეეცოდოს რა 19 სხვა რამ ცოდვა, დანაშაული არ ჩაედინოს.
- შეშვება:** ერისთავმან და განმგებელმან შეუშვან 11 ერისთავმა და გამგებელმა მისცენ შესელის ნება.
- შეწირული:** მეფეთაგან შეწირული 41 მეფის მიერ შეწირული.
- შეწყნარება:** ვინღა შეიწყნაროს 27 ვინც თავისთავზე მიიღოს, იკისროს.
- შვილი:** მოკლულის კაცის შვილი 17 დაზარალებულის მემკვიდრე.
- შინა-მყოფი:** ზედა-დამსხმელისა და შინამყოფისა 28 თავ-დამსხმელისა და სახლში მყოფისა (ვისაც თავს დაესხენ).
- შოვნა:** სანიეთო რა ეშოვნოს 40 რაც ნადავლი, ნაძარცი ქონება ეშოვნოს.
- შუა:** 25 შორის.
- შუად:** შუად მივიდეს 25 გამშველებლად, გამზავებლად მივიდეს.

ჩ

- ჩაგდებინება:** კბილი ჩააგდებინოს 38 კბილი ჩააყრევინოს.
- ჩამომავალი:** ჩვენთა ჩამომავალთა მეფეთაგან (შესავ.) ჩვენი წინაპარი მეფეების მიერ.

ჩამოვლა: ჩამოვიარეთ ცხრაზმის ქვეი (შესავ.) ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხეობა.

ჩაყრევიანება: კბილთა ჩაყრევიანებისათვის 38 კბილებს ჩაგდებისათვის.

ჩენა: გერში აჩნდეს სადაღედ 31 წარუხოცელი ქრილობა აჩნდეს.

ც

ცერი: ცერი მოჭკუეთოს 36 ცერი მოსკრას.

ცილება: შვილი ნასყიდს ვერ ეცილოს 16 შვილი შეძენილ ქონებაზე ვერ შეეცილება.

ციხე: ციხე და მამული სასეფოდ დადვას 5 ციხე და მამული ხაზინას გადასცეს; ციხის დაქცევისათვის 26 ციხის დანგრევისათვის; ციხის პატრონი 26 ციხის მესაკუთლე; ციხე ააგოს დამქცეველმან 26 ციხე ააშენოს მან, ვინც დაანგრია; ციხე დაუქციოს 42 ციხე დაუნგრეოს.

ციხისთავი: ციხისთავნი ჯადას ორნი იყვნენ 13 ხადის ციხე-სიმაგრეში ორი ციხისთავი იყოს; ციხისთავად იდგეს ბრძანებით 13 ციხისთავად იყოს დანიშნული ბრძანებით; ციხისთავად დგომილიყოს 14 ციხისთავად წამსახური იყოს.

ცნობა: ესცანით ესე (შესავ.) ეს გავიგეთ, შევიტყვეთ; დარბაზის ცნობას ღირსი 11,18 ვინც ღირსია, რომ მის შესახებ დარბაზს ეცნობოს.

ცოლი: მოკლულის კაცის ცოლი 18 დაზარალებულის დაქოივებული მეუღლე; გვრგვან-ნაყურთხი ცოლი 23 ეკლესიის წესით შეუღლებული კანონიერი ცოლი; ჯუარ-გაცულილი ცოლი 24 დანიშნული, დაწინჯული საცოლე.

ცოლ წაგურილი: 22 ვისაც ცოლი წაართვეს.

ცხადი: ცხადად და იღუმალ 5 აშკარად და ფარულად.

ცხრაზმა: ჩამოვიარეთ ცხრაზმის ქვეი (შესავ.) ჩამოვეღეთ ცხრაზმის ხეობა.

ძ

ძალი: ძალისა მსგავსად 18 საქმის ვითარების მიხედვით, შეძლებისდაგვარად.

ძეგლი: ძეგლის დადება (შესავ.) კანონმდებლობა, სჯულ-
ნდებლობა, სამართლის წიგნის შედგენა.

ძეს: ძეს წესად 45 ძეს, არის ჩვეულებად.

ძმა: ძმის სისხლისათვის 17 ძმის მკვლელობის საზღაური-
სათვის.

ძმისწული: 7 ძმის შვილი.

წ

წაგება დახარჯვა, მოხმარა, გამოყენება: ნახევარი ნამული
მისის სულისათვის წააგოს 17 ნახევარი ნამული მისი
სულის შესანდობარს მოახმაროს; ერისთავმან და გამ-
გებელმან წაუგოს 17 ერისთავმა და გამგებელმა
მოახმარონ.

წაგურა: ცოლის წაგურა (შესავ.) ცოლის მოტაცება; ჯარი
წაეგუაროს 19 ხარი წაერთვას, გადახდეს; ცოლი
წაგუაროს 23, 29 ცოლი მოსტაცოს.

წადგომა: უკან წაუდგნენ 43 უკან დაედევნონ.

წამალი: წამლის ფასი 31, 35 მკურნალობის ფასი.

წამგურელი: ცოლის წამგურელთა (შესავ.) ცოლის მომ-
ტაცებელთა.

წამოვარდნა: კაცსა თუ თვალი წამოვარდეს 34 კაცს თუ
თვალი ბუდიდან გადმოუვარდეს, დაუზიანდეს.

წამყუანელი: ასაბიეთ წამყუანელი კაცი 40 ვინც ასა-
ბიად (დამხმარედ) წაიყვანა კაცი.

წართმევა: თუ ცოლი წაართვას 22 თუ ცოლი მოსტაცოს.

წაუსვლელობა: შეენდოს ლაშქარს წაუსვლელობა 19
ეპატოს ლაშქარში წაუსვლელობა.

წაღება: ჭევისბერობაც წაეღოს 5 ხევისბერის თანამდე-
ბობაც ჩამოერთვას; რარიგად წაუღოს 22 რამდენიც
წაართვას; მამული წაეღოს 42 მამული ჩამოერ-
თვას.

წაღმა: დღეისითგან წაღმა (შესავ.) დღეიდან, ამიერიდან.

წაჭლომა: თვალნი წაუჭდეს 35 თვალეზი დაუზიანდეს; ასო
წაუჭდეს 35 ორგანო დაუზიანდეს.

წარჯდომა: რაც წარჯდომოდეს 43 რაც დაჰკარგოდეს.

წვევა: ქუეყანა და თემი აწვივნეს 19 სოფელი და თემი
გაიწვიეს; სამართალს სამჯერ აწვია 28 სამჯერ გა-

მოიწვია სასამართლოში; სამჯერ სამართალს ეწვიოს 28 სამჯერ სასამართლოში გამოეწვიოს.

წესი: არცა ჩუნენ წესადვე ედებდით 1 არც ჩვენ ვაკანონებდით; წესითა დარბაზისათა 9 დარბაზის წესის მიხედვით; რასაც რამ გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს 17 საგვარეულო ღირსების მიხედვით გადაიხადოს საზღაური; ძეს წესად 45 არის ჩვეულებად, კანონად.

წინათლა: დღესით წინათლა (შესავ.) დღემდე.

წირვა 26 ღვთისმსახურება.

ბ

ხანი: ხანი გამოსულიყოს 45 დრო გასულიყოს; ხანი დაეყოს 45 დრო დაეყოს, ყოფილიყოს.

ხლება: ჭევისბერს ახლავან 10 ხევისბერის მეთაურობის ქვეშ არიან, ხევისბერს თან ახლავან; რომე არა ეახლოს 10 რომ მას თან არ ახლდეს; ასაბია ეახლოს 40 დამხმარე თან ახლდეს.

ხმარება: მარცხენა ჯელს მარჯვენად იხმარებდეს 34 მარცხენა ხელის ნაცვლად მარჯვენას ხმარობდეს.

ხუცესი: ქუეყნის ხუცესთა ჯელითა 17 სოფლის მღვდლების მეშვეობით; მწირველი ხუცესი 25 ღვთის მსახური მღვდელი.

გ

ჯადა 13 სოფელი და ციხე სიმაგრე მთიულეთში.

ჯადა-ცხაოტი: მუნით მივედით ჯადა-ცხაოტს (შესავ.) იქედან მივედით ხადა-ცხაოტში.

ჯადელი: ჯადელი კაცი 13, 14 ხადის ციხის კაცი, ხადის მცხოვრები.

ჯარი: 19 თჯთო ჯარი წაეგუაროს 19 თითო ხარი წაერთვას.

ჯევი (შესავ.) ხეობა; სოფელი.

ჯევისბერი: (შესავ.) ჯევისბერობაც წაელოს 5 ხევისბერის თანამდებობაც ჩამოერთვას; ჯევისბერის გვარის კაცი 5 ხევისბერის შორეული (განაყოფი) ნათესავი; ჯევისბერობა ებოძოს 5 ხევისბერის თანამდებობა მიეცეს; ჯევისბერთა ასრე გავაჩინეთ ი ხევის-

ბერთა შესახებ ასე დავადგინეთ; ჭევეისბერის განაყოფი 9, 10 ხევისბერის ოჯახიდან განაყოფი (შორეული) ნათესავი; ჭევეისბერის მოახლე 9, 10 ხევისბერის ახლობელი ნათესავი; ჭევეისბერის მეყვანი 9, 10 ხევისბერის შორეული ნათესავი; ქუეყნის ჭევეისბერი 44 აოფლის (თემის) ხევისბერი.

ჭევეისთავი (შესავ.) ხევის თავკაცი.

ჭელი: ნასყიდში არა ჭელი აქვს 16 შეძენილ ქონებაზე უფლება არა აქვს; კაცთა ჭელითა 17 კაცთა მეშვეობით; მარჯუნა ჭელი 32; მარცხენა ჭელი 38; ორივე ჭელი დაუშავდეს 35 ორივე ხელი დაუზიანდეს; ჭელის განაჩენით ნახევარის სისხლით დაიურვოს 36 ხელის დაზიანებისათვის დადგენილი საზღაურის ნახევარი მისცეს; ჭელის მესამედი სისხლი დაუურვოს 36 ხელის დაზიანებისათვის დადგენილი საზღაურის მესამედი მისცეს.

ჯ

ჯუარ გაცულილი: ჯუარ გაცულილი კოლი 24 დანიშნული, დაწინდული საცოლე.

ჯუართა ყელი: (შესავ.) ჯვრის გადასავალი.

ჯობნა: ქვეყანასაც უჯობდეს 5 სოფლისათვის (თემისათვის) უმჯობესი იყოს.

ჰ

ჰეროვანი (შესავ.) ერისგან, ხალხისგან გამორჩეული, სოფლის თავკაცი; ჰეროვანი კაცი 11 სოფლის თავკაცი, გამორჩეული (თემიდან, საზოგადოებიდან); ვინც ჰეროვანი კაცი მოკლას ჰეროვანმანვე 11 თუ ჰეროვანი მოკლას ჰეროვანმა; ჰეროვანის სისხლი დაეურვოს 14 ჰეროვანის მკვლელობისათვის დადგენილი საზღაური გადაუსადოს; ესე ჰეროვანისა და სოფლიონისა იყოს 19 ერისგან გამორჩეულისა და მდაბიო კაცისა იყოს; ჰეროვანთა ოცდაათი თეთრი არის ერთი უარზანგობა 30 ჰეროვანთა ერთი საუბატიო ოცდაათი თეთრია.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	86
წინასიტყვაობა	3— 4
I. ძეგლის შედგენის დრო და მოქმედების ტერიტორია	5— 29
§ 1 ძეგლის შედგენის დრო 5—15. § 2. ძეგლის შედგენის მიზე- ხები 15—19. § 3. აზრი გიორგი ბრწყინვალის სჯულ- მდებლობის შესახებ 19—23. § 4. ძეგლის მოქმედების ტერიტორია 23—29.	
II. ძეგლის წყაროები და სისტემა	29— 53.
§ 1. ძეგლის წყაროები: ა) ადათობრივი სამართალი 29—42; ბ) კანონმდებლობა 42—48. § 2. ძეგლის სისტემა 48—53	
III. ძეგლის ზოგიერთი იურიდიული ტერმინი	53— 86
§ 1. საქონელი 53—58. § 2. სანივთო 58—62. § 3. სასაქმო 62—68. § 4. გაპატიება 68- 70. § 5. უარზანგობა 70—77. § 6. ულუსობა 77—80. § 7. ჰეროვანი 80—87.	
IV. ძეგლის გამოცემები და თარგმანები	87-- 97
ძეგლის დადება	97—121
(ტექსტი)	
ტექსტისათვის	99—103.
ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ	103—120
ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი	121—156



ტექნიკური რედაქტორი პ. ლაბარტყავა
კორექტორი რ. ჩირგაძე
გამომშვები შ. დოლიძე

*

უე 00649.

შეკვეთის № 518.

ტირაჟი 3.000.

გადაეცა წარმოებას 13/III-57 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IX57 წ.
ანაწყოების ზომა 5,5×9,5, ქალაღდის ზომა 60×92, სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 10, სააღრიცხვო საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 7,12.

შასი 6 შან. 30 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბა, უნივერსიტეტის ქ., 1.

Типография издательства ТГУ им. Сталина, Университетская. 1.